

K 7940
4


ქართული
ენების ენციკლოპედია





ნოდარ დჟანბერიძე


საქართველოს
საქართველოს

АРХИТЕКТУРА ДОМА ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

„ХЕЛОВНЕБА“

1957

ნოდარ ჯანბერიძე



საქართველოს სსრ ეთავკრობის სახლის აკრძიბეშტუკა

K7.940
4

„სენციპედიკა“
1957



საქართველო
პრეზიუმთა

საქართველო
საქართველო
საქართველო



საქართველოს სსრ მთავრობის სახლის არქიტექტურას, რომელსაც ეძღვნება ეს ნაშრომი, საბჭოთა საქართველოს ხუროთმოძღვრების ისტორიაში ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მშენებლობა ორ რიგად მიმდინარეობდა: 1933—38 წ. და 1946—53 წ. ეს ორი რიგი ემთხვევა ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორიის ორ მეტად საინტერესო ეტაპს და ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების განვითარების მკაფიო მაგალითს წარმოადგენს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ საქართველოს სსრ მთავრობის სახლის არქიტექტურის, მისი დაპროექტებისა და მშენებლობის შესწავლა ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორიის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

დღეს, როდესაც პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ამზილეს უცანასკნელი წლების სერიოზული შეცდომები ხუროთმოძღვრე-

ბის დარგში და ახალი, გადაუღებელი ამოცანები დაუსახეს საბჭოთა არქიტექტორებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა ხუროთმოძღვრების წარსული მიღწევებისა და ნაკლოვანებების კრიტიკულ შეფასებას.

ერთ გამოკვლევაში ძნელია შევეხოთ ყველა საკითხს, რომელიც წამოიჭრება თვით ერთი ობიექტის ანალიზის დროსაც კი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის გადამუშავებულ და შემოკლებულ გამოცემას, ჩვენ არა ჭკაქვს საშუალება დაწვრილებით შევჩერდეთ ყველა საკითხზე.

საქართველოს მთავრობის სახლის არქიტექტურის განხილვისას ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა ის შინაგანი წინააღმდეგობანი, რომელიც უფრო მეტად ამქადაგებენ როგორც მისი არქიტექტურის პროგრესულ მხარეებს, ისე ნაკლსაც.



1. 1932—35 წ. კონსერსი

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის აგება თბილისში გადაწყდა 1932 წელს. საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებას თანახმად, ამ სახლში უნდა განლაგებულიყო უმაღლესი სახელმწიფოებრივი ორგანოები — მაშინ ცაკი და სახკომსაბქო — ყრილობა. თა დარბაზით, სახელმწიფო საგემო კომისია, სახალხო კომისარიატები და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი დაწესებულებანი.

მთავრობის სახლის შენობას ერთ არქიტექტურულ ორგანიზმში უნდა გააერთიანებია რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი, რაც მუშაობის უკეთეს პირობებს ქმნიდა როგორც ხელმძღვანელი აპარატისათვის, ისე მშრომელთა მომსახურებისათვის. ამასთან ერთად, ამოწყდებოდა კომუნალური მეურნეობის ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი: ქალაქში თავისუფლდებოდა დიდი ფართობი საცხოვრებელსა თუ საზოგადოებრივ შენობებში, რასაც იმ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოს მთავრობის სახლი უნდა ყოფილიყო ჩვენი ეპოქის მონუმენტური ძეგლი, რომელიც არქიტექტურულ საშუალებებით გამოხატავდა იმ დიდ მიღწევებს, რომლებიც ქართველმა ხალხმა, მთელ საბჭოთა ხალხებთან ერთად, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მოიპოვა.

1932 წელს, საქართველოს მთავრობასთან შეიქმნა მთავრობის სახლის მშენებლობის კომიტეტი, რომელმაც შეიმუშავა და დაამ-

ტყცა პროექტის მოცემულობა და გამოჰყო ნაკვეთი მშენებლობისათვის.

საქართველოს მთავრობის სახლისათვის შეჩვენული იქნა ადგილი ქალაქის ცენტრში, რუსთაველის პროსპექტზე, იქ, სადაც უწინ ყოფილი სამხედრო ტაძრის „მავრულ-მიზანტიურ“ სტილით ნაგები შენობა იდგა.

რუსთაველის პროსპექტი ქალაქის ძირითადი მაგისტრალია, რომელიც მტკვრის პარალელურად მიემართება. მშენებლობისათვის გამოყოფილი ნაკვეთი პროსპექტის დასაწყისშია, ქალაქის ცენტრალურ (ლენინის სახ.) მოედანთან ახლოს. თავდაპირველად მშენებლობის ტერიტორია იფარგლებოდა ჩრდ. აღმოსავლეთით — რუსთაველის პროსპექტით, სამხრ. — აღმოსავლეთით — ჩიტაძის ქუჩით, სამხრ.-დასავლეთით — ათარბუგოვის ქუჩითა და ჩრდ.-დასავლეთით — ჭინაძის ქუჩებით. მისი ფართობი 90 X 145 მ-ს შეადგენდა. მაგრამ კონსერსის პირველმა ეტაპმა ცხადჰყო, რომ ასეთი დიდი პროგრამისათვის ფართობი საკმარისი არ იყო. ამიტომ ნაკვეთს მიემატა სკოლის ტერიტორია რუსთაველის პროსპექტზე, ზევით კი იგი გაგრძელდა ძერჟინსკის ქუჩამდე. მიწის ეს მონაკვეთი ციკაბო ჭანოზს წარმოადგენს (ჩიტაძის ქუჩაზე ქვედა და ზედა ნიშნულთა სხვაობა ამ მონაკვეთისათვის თითქმის 22 მეტრამდე).

მთავრობის სახლის მშენებლობის კომიტეტმა პროექტის შედგენის ორგანიზაციისა და განხილვისათვის შექმნა ჟიური — ცნო-



ბილ არქიტექტორთა-აკადემიოს ა. ვ. შნუსევის, პროფ. ვ. ა. ვენისნის, პროფ. ი. პ. მაჭოვისა და პროფ. დ. მ. მიხაილოვის შემადგენლობით.

პროექტების განხილვისა და მონაწილეთა დახმარებისათვის შეიქმნა აგრეთვე მუდმივი კონსულტაცია, რომელშიც შედიოლანენ კულტურის სხვადასხვა დარგის მოღვაწეები: არქიტექტორები პროფ. ა. კალვინი, მ. შავიშვილი, ა. ქურდიანი, პროფ. ნ. სევეროვი, პროფ. მ. ტერ-მიქელოვი, დერიბინი, მხატვრები პროფ. დ. კაპაძე, პროფ. ლ. გუღუაშვილი, პროფ. ს. სიღამონ-ერისთავი, მოქანდაკე პროფ. ი. ნიკოლაძე, ხელოვნებათმცოდნე პროფ. გ. ჩუბინაშვილი და სხვ.

კონკურსი მთავრობის სახლის პროექტის შესადგენად 1932 წლიდან 1935-მდე, როცა ამ პერიოდის კონკურსის უკანასკნელი ტური მოეწყო — ხუთი ძირითადი ეტაპისაგან შედგებოდა. ამ კონკურსს საქართველოს საბჭოთა არქიტექტურის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

პირველი ხუთწლიდან ბოლო და მეორის დასაწყისი მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი იყო როგორც საერთოდ საბჭოთა არქიტექტურისათვის, ისე საქართველოს არქიტექტურის მთელი შემდგომი მსვლელობისათვის. ყოველგვარ ფორმალისტურ, ჩვენი არქიტექტურისათვის უცხო, მავნე მიმართულებებთან ბრძოლაში ყალიბდებოდა, ისახებოდა საბჭოთა არქიტექტურის განვითარების გზები. ეს იყო გარდამტეხი პერიოდი საბჭოთა არქიტექტურის ისტორიაში.

სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა საქართველოს მთავრობის სახლის პროექტორების კონკურსიც.

კონკურსს წინ უძღოდა და თვით კონკურსის ხანებში ქვეყნდებოდა ჩვენი პარტიისა და მთავრობის ისტორიული დადგენილებანი, სკპ (ბ) ცკ დადგენილება „ყოფის გარდასაქმნელად მუშაობის შესახებ“ (16 მაისი 1930), სკპ (ბ) ცკ 1931 წ. ივნისის პლენუმისა — „მოსკოვის საქალაქო მეურნეო-

ბისა და სსრკ საქალაქო მეურნეობის განვითარების შესახებ“, სკპ (ბ) ცკ დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრულ ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ“ (23.4.32), საბჭოების სასახლის მშენებლობის საბჭოს დადგენილებები (1932—33 წ.) და საბჭოების სასახლის კონკურსი. საბჭოთა არქიტექტორების წინაშე უდიდესი პრობლემები დაისვა: უნდა შექმნილიყო ჩვენი ეპოქის შესაფერი მაღალი-დედური და მაღალმხატვრული არქიტექტურული ძეგლები. ამისათვის მთელი მუშაობა უნდა წარმართულიყო კლასიკური მემკვიდრეობის ათვისებისა და არქიტექტურის, მშენებლობის და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების გამოყენების გზით.

ეს პერიოდი ხასიათდება კონსტრუქტივისტული და სხვაგვარ ფორმალისტურ მიმდინარეობასთან ბრძოლით, მემკვიდრეობისადმი ნიჟლისტური დამოკიდებულების უკუგდებით. საბჭოთა არქიტექტურა მთელი ფრონტით შემობრუნდა კლასიკური მემკვიდრეობის ათვისებისაკენ, რაც ყოველგვარ ფსევდონოვგატორულ მიმდინარეობათა განადგურებით დამთავრდა. ჩვენი არქიტექტურა კლასიკურ და ეროვნულ ტრადიციების გამოყენებისაკენ იყო მიმართული.

კონკურსი მთავრობის სახლის დასაპროექტებლად რთულ და წინააღმდეგობებით სავსე პროცესს წარმოადგენდა. სწორედ ამ წინააღმდეგობათა დაძლევით ვითარდებოდა ის ახალი, რომელმაც შემდეგ განაზღვრა და განმტკიცა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური საბჭოთა ქართული არქიტექტურა. საკონკურსო მოცემულმა მიუთითებდა, რომ განსაკუთრებით უნდა ყოფილიყო ხაზგასმული არქიტექტურული ნაგებობის დიდებული სისადავე, სიმშვიდე და მონუმენტალობა. რომ დიდი შინაარსი, რომელიც საფუძვლად ედებოდა მას, ეროვნული ფორმებით („ეროვნული კოლორიტით“, როგორც მაშინ მიუთითებდნენ) გადაწყვეტილიყო.



როგორ მიმდინარეობდა და რით ხასიათდებოდა მთავრობის სახლის პროექტორების კონკურსი, მისი ეტაპები?

* *

1 ეტაპი. როგორც უკვე ითქვა, 1932 წლის მარტში, ყივრიმ დაამტკიცა პროგრამა კონკურსისათვის და დაუყვეთა პროექტები: 1. პროფ. კოკორინს, 2. პროფ. ჩერნიშოვს და 3. არქ. კოჟინს, გოლცს, პარუსნიკოვსა და სობოლევს (აქედ. ჟოლტოვსკის ჯგუფი).

სამივე პროექტი ამოცანა სრულიად სხვადასხვაგვარად იყო გადაწყვეტილი.

გეგმები სამივე პროექტში მკაფიოდ და მარტივად წყდება. ყველა ავტორს აქვს გამოყენებული შიდა ეზოს პრინციპი, მაგრამ ყოველი მათგანი განსხვავებულად წყვეტს მას. კოკორინის პროექტში შიდა ეზო დიაა, დანარჩენებში კი „ჩაკეტილია“. კოკორინის პროექტში კორპუსები ნათლადა ერთმანეთისაგან გამოყოფილი. დანარჩენებში კი შენობის ფასადები ერთ მილიან მასივად იყო გადაწყვეტილი.

კოჟინის, გოლცის, პარუსნიკოვის და სობოლევის პროექტი. (ტაბ. 2) როგორც შინა, ისე გარე გაფორმებით მილიან სახეს ატარებდა, შეკრული იყო. ავტორებმა ნაგებობის არქიტექტურულ გადაწყვეტისათვის რენესანსული ფორმები აირჩიეს. ავტორები დაემორჩილენ ამ წინასწარ არჩეულ სქემას (სასახლის რენესანსული ფორმებით გადმოცემის სქემას) და ამიტომ ვერ აიცილეს თავიდან გეგმის დეფექტები: სადგომთა ნაწილი ბნელი იყო, რაც გამოწვეული იყო ხერკობთა მკიდრ ფართობითა და სარკმელთა მცირე რაოდენობით. სარკმელთა განლაგება, მათი რიტმი, რომელიც შერჩეული იყო ადრინდელი რენესანსის პალატის მიხედვით (კედლის დიდი ფართობი — ცოტა სარკმელი — ციხე-სიმაგრესავით) ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე შენობის გეგმის მოთხოვნილებას.

შენობა შესაბამისად ნაგებობას ვერ აგავდა. ბუნებრივია, მისი მხატვრული მოუღებელი იყო.

ამ პროექტში ყურადღებას იპყრობს შესასვლელი შენობის ცენტრში, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ სახკომსაბუხოსა და ცაქის ვესტიბულებია მოთავსებული. ეს შესასვლელი აკავშირებს შიდა ეზოს სივრცეს რუსთაველის პროსპექტთან. საინტერესოა აგრეთვე, შიდა ეზოს გარშემო თაღებით შემოფარგულა.

პროფ. ჩერნიშოვმა კლასიციზმის პრინციპები და არქიტექტურული ფორმები გამოიყენა. მთავარი ფასადი სავსიმიო კოლონადით, მონუმენტურ ფორმებშია გადაწყვეტილი, მაგრამ სრულიად არ არის დატულა კავშირი გვერდისა და მთავარ ფასადებს შორის. გვერდის ფასადები მშრალი და მონოტონურია. მთავარი ფასადის ყრუ კედელი, რომელსაც მხოლოდ ერთ სართულში აქვს ფანჯრები, შენობის წინა ნაწილის სადგომებს შუქს აკლებს და ქმნის კონტრასტს გვერდის ფასადებთან, თანაც მეტად მკაცრ გამოიმეტყველებას ანიჭებს არქიტექტურულ სახეს.

პროფ. კოკორინის პროექტი ზემოთჩამოთვლილებისაგან მკვეთრად განირჩევა გენერალური გეგმის გადაწყვეტითვე (ტაბ. 2). შენობა სამი კორპუსისაგან შემდგარ კომპლექსს წარმოადგენს. კორპუსთა შორის კავშირი გადასასვლელებით მყარდება. ყრილობათა დარბაზის კორპუსი ნახევარწრისებური ნაწილით პროსპექტისკენაა მიმართული. ავტორი რელიეფს მასების პერსპექტიული ზრდით ითვისებს.

შენობისათვის „აღმოსავლურ“ იერის მიცემის სურვილმა, ავტორი ეკლექტიზმამდე მიიყვანა: პროექტი საესეა სხვადასხვა დროისა და სტილის არქიტექტურული ელემენტებითა და ფორმებით. ფასადების გაფორმება თეატრალურ-დეკორატიულია. ფანჯარათა მრავალნაირ ფორმებიდან დაწყებული, კონსტრუქციის სტრუქტურული კოლოფების მასათა



ჩათვლით, პროექტი სავსე იყო არქიტექტურული სიყალბით და ჯერ სრულიად ნელდ მასალას წარმოადგენდა.

მაგრამ ამ პროექტში თვით საკითხის დასმა სანტერესო. პროფ. კოკორინი, განსხვავებით კონკურსში მონაწილე სხვა ავტორებისაგან, განსაკუთრებით ამხვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ეს ახალი, სოციალ-სტერი შინაარსით ამეტყველებული არქიტექტურული ნაგებობა, შეუფარდოს ადგილობრივ ტრადიციებსა და პირობებს, გამოიყენოს ეროვნული ფორმები. მას, როგორც მისი წინააღმდეგობრივ და გამოსვლებიდან ჩანს, სწორად ჰქონდა გაგებული საბჭოთა რეალისტური არქიტექტურის არსი. ავტორი ცდილობდა ფართოდ გამოეყენებინა მემკვიდრეობა თანამედროვე მიღწევებზე დაყრდნობით. ამიტომ იყო, რომ პროფ. კოკორინი ნაციონალურ ძირებს ეძებს თავის პროექტის გადაწყვეტისათვის, მაგრამ ამ სწორი იდეის ხორცშესხმა პრაქტიკულ მუშაობაში მას ჯერ კიდევ არ შეეძლო, რადგან იგი არ იყო გათავისუფლებული კონსტრუქციების განვითარებისაგან, იმავე დროს, ჯერ კიდევ არ იცნობდა სათანადოდ საქართველოს კულტურას, ზერეღე წარმოადგენა ჰქინდა მასზე. ამიტომ მისი პროექტები «ეზობიკურული ფორმებით იყო გადატვირთული.

ამრიგად, პროფ. ვ. კოკორინის მიერ საბჭოთა რეალისტური არქიტექტურის არსის ძირითადად სწორად გაგება ვერ პოულობდა სათანადო ხორცშესხმას მთავრობის სახლას საკონკურსო მასალებში.

მიუხედავად პროექტის მოუმწიფებლობისა, ყოფი შეჩერდა კოკორინის პროექტზე, ამ პროექტში, მართალია ჯერ უწყლო, მაგრამ მაინც იყო ცდა ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებისა. პროფ. კოკორინს დავალა პროექტის შემდგომი დამუშავება.

კონკურსის ამ პირველმა ეტაპმა ცხადჰყო, რომ საპროგრამო მოცემულობა ძალზე დიდი იყო და ამიტომ კომიტეტმა გაზარდა

ტერიტორია რუსთაველის პირველ ეტაპში შირგამბელობის სახლამდე და შევიდა კონკურსის ქუჩამდე.

II ეტაპი. პროფ. ვ. კოკორინმა გადამუშავებული პროექტი წარმოადგინა 1933 წ. დასაწყისში (ტაბ. 3). ამ პროექტით ახალ ნაკვეთზე დაგეგმარებული იყო სახელოსნოსა და ცაის კორპუსები. ამია შემცირდა სხვა კორპუსების სათუთლიანობა.

ახალი პროექტით მთელი შენობის კომპლექსი 4 კორპუსისაგან შედგებოდა, რომელთაც პირობითად ასე აღნიშნავდნენ — «ა», «ბ», «ვ» და «გ» კორპუსები. ავტორმა განავითარა «ბ» და «ვ» კორპუსთა შორის შიდა ეზო, როგორც ერთერთი მნიშვნელოვანი ელემენტი საერთო კომპოზიციაში და სივრცობრივი გასასვლელი «ბ» კორპუსის ეზოსაკენ, რითაც ჩასახული იყო პროპილევების, გამჭოლი სივრცითი ღერძის, იდეა. შენობის გეგმა მკაფიო და სადაა. სადგომთა განაწილების საფუძვლად აღებულია დერეფნული სისტემა: ზოგან ორმხრივი, ზოგან — ცალმხრივი. პროსპექტზე ფასადის ხაზი შეტეხილია, მთავარი ყურადღება ექცევა სხდომათა დარბაზს, რომელიც გეგმაში ნახევარწრისებრ გამოდის შენობის წინ.

კონკურსის ამ ეტაპზე ავტორი ცდილობდა გადაწყვიტოს შენობის ფუნქციური ორგანიზაცია, შექმნას ისეთი გადაწყვეტა გეგმისა, რომელიც ყოველგვარ პირობებს შეუქმნის მუშაობისათვის, როგორც მოსამსახურეთ, ისე მომსვლელებს. ფასადის არქიტექტურული კომპოზიცია ჯერ სქემატურია, მხოლოდ ჩანაფიქრის პირველი გახსნა, რომელშიც ჩანს, რომ მთავარ ელემენტად შენობის არქიტექტურაში მიჩნეულია ყრილობათა დარბაზი — როგორც იდეური მახვილი მთელ მხატვრულ სახეში. ამითა გამოწვეული მისი ხაზგასმა მთელ ფასადზე.

ფასადის კომპოზიცია, წინა პროექტთან შედარებით, უფრო მარტივი და სადაა. მაგრამ მას აკლია წონასწორობა. ფასადი არ იკითხება როგორც მთლიანი, კონკი შემთბ-



გვეითა და არ ეფარდება საერთო კომპოზიციას. დარბაზის კორპუსის კოლონადა არ უკავშირდება ფასადს. კონსტრუქტივისტული ელემენტები საცხოვრებელი ტიპის აივნები, გადასასვლელი, აღრიბებენ შენობის არქიტექტურას. ავტორს სურს ქართული არქიტექტურის დამახასიათებელი მეტოთავისუფალი კედლის სიბრტყე შექმნას, მაგრამ მას რომბებით ყოფს და ზედმეტად დეკორატიულად აქცევს.

ფაქტურად ავტორი ახლა იწყებს ამ მაღალი დანიშნულების ნაგებობისათვის არქიტექტურული სახის ძიებას.

იმვე წლის თებერვალში არქიტექტორმა მ. ჩხიკვაძემ საკუთარი ინიციატივით შეადგინა მთავრობის სახლის პროექტი და წარუდგინა მთავრობის სახლის მშენებლობის კომიტეტს (ტაბ. 4).

პროექტი ფართოდ იყო ჩაფიქრებული. უნდა გადაკეთებულიყო ახლო მდებარე ადგილები, ყველაფერი მთავარი ყურადღება სასახლეზე უნდა გაემახვილებინა.

ჩხიკვაძის პროექტის მიხედვით შენობის წინ მოედანია დემონსტრაციებისათვის. ქუჩის სიგანე თითქმის ორჯერ ფართოვდება (82 მ). ავტორი, პროექტით, ანგრევდა რუსთაველის პროსპექტზე ყოფ. ნაციონალურ გალერეის შენობას, „ქვაშეფის“, სასტუმრო „ორიანტს“. სასახლის წინ, მის პირდაპირ, ავტორი აპროექტებდა პარკს სკულპტურულ და არქიტექტურული ელემენტებით — შადრევნებით, ფართო კიბეებით და ტრიბუნებით.

შენობის ფასადი მარტივად წყდება. მთავარი კორპუსის მთელი ფრონტი დამუშავებულია ღია მაღალი თაღებით, რომელიც 4 სართულის სიმაღლისაა. გვერდებზე ყრუ კედლებია, — წინ სკულპტურული ჯგუფებით. განაპირა ნაწილებში თავისუფალი სიბრტყეებია რომლებზედაც ეყრამყვლი ბარელიეფებია, რეალისტური ემბემები.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტში შენობის აკლდა მონუმენტალობა და ფორმათა

დაზვეწა ესაქიროებოდა და წყნარ მდგომარეობაში არ იყო გახსნილი-მთავრობის სახლს მხატვრული სახე, პროექტი კონსტრუქციისა და მუშევარია სწორედ ეროვნული ფორმების ძიების თვალსაზრისით.

არქიტექტორმა მ. ჩხიკვაძემ ქართული ისტორიული არქიტექტურის ტრადიციული ფორმა — თაღები, ახალი, თანამედროვე ნაგებობის მასშტაბს დაუკავშირა, შექმნა თაღების თავისებური ორდერი ოთხი სართულის სიმაღლისა. თაღები კარგად იკეტებოდა ყრუ კედლის სიბრტყეებით, რომლებიც ამავე დროს ქანდაკებისათვის ფონს წარმოადგენდა. თაღებით შექმნილი ორმა ლოჯია პლასტიკურობას ანიჭებდა ფასადს. მაგრამ საერთო ამოცანა, რა თქმა უნდა, ჯერ გადაუწყვეტილი იყო.

არქიტექტორ მ. ჩხიკვაძის ინიციატივამ კიდევ უფრო გამახვილა ყურადღება ეროვნულ ფორმათა გამოყენების პრობლემაზე და ამით თავისი როლი ითამაშა კონკურსის შემდგომ მსვლელობაში.

III ეტაპი. 1933 წ. სექტემბერში განხილულ იქნა პროფ. ვ. კოკორინის შესამე პროექტი. შენობა ისევ 4 კორპუსისაგან შედგებოდა — საერთო მოცულობით — 300.000 მ³ (ტაბ. 4ა).

ამ პროექტში თავიდანვე იპყრობდა ყურადღებას გამოკლი ღერძის იდეა, როგორც მთავარი კომპოზიციური ღერძისა — მთელ არქიტექტურულ კომპლექსში. ეს იდეა დამკვიდრდა და განხორციელებულ პროექტში მიიღო საბოლოო, დამთავრებული სახე. ეს კომპოზიციური ზერძი ჩანასახის სახით მოცემული იყო ჯერ კიდევ კონკურსის პირველ ეტაპზე კოკორინისა და კოეინის, გოლცის, პარუსნიკოვისა და სობოლევის ჯგუფის პროექტებში. მაგრამ აქ იგი სიერცობლავი ღერძი კი არ იყო, იგი მხოლოდ სხვადასხვა დანიშნულების დაწესებულებათა დიფერენცირებისათვის ცალკე შესასვლელებს ქმნიდა მარჯვნივ და მარცხნივ. კოკორინის ახალ პროექტში კი პრო-



ბილევები, რომლებიც ამ სივრცობაზე ღერძს გამოხატავდნენ, გადატეხული იყო შენობის იდეურ-მხატვრული სახის გასწის ერთობით საშუალებად. ამ გამოქვლივ ღერძის გასწვრივ ღრმა პერსპექტივი რუსთაველის პროსპექტიდან ათარბეგოვის ქუჩამდე, შენობის გაშლილი შიდა ეზო ფართო კიბეებთან და ტერასებით — მიამოხივდა არქიტექტურულ კომპოზიციას ქმნიდა.

რელიეფის გამოყენების რთული ამოცანა კორპუსების მსგების განაწილებით სავსებით დამაკმაყოფილებლად იყო გადაწყვეტილი. ფასადთა არქიტექტურულ გადაწყვეტაში ავტორის ჭერ ვერ ჰქონდა დაძლეული ყველა ის ნაკლი, რომლებიც მის პროექტს წინა ეტაპებზე ახასიათებდა: კონსტრუქციის რთული კოლოფები და კორპუსთა შორის „დაკლებული“ გადასასვლელები, რაც განსაკუთრებით გვერდით ფასადზე იყო, სხვადასხვა აღმოსავლური არქიტექტურული ელემენტების ელემენტური გამოყენება („ეკვიპირტი“ პილონები პრობილევების გვერდით) — ამხინჯებენ სეარათი იდეურ — მხატვრულ ჩანაფიქრს. მთავარი ფასადი დაწვევებული იყო სხვადასხვა ელემენტებით, რომელთაც სრულიად შემთხვევითი ხასიათი აქვთ (პრობილევების პილონთა დამაგვირგვინებელი კარნიზი; გადასასვლელი ქანდაკებების ჭგუფით პრობილევების თავზე; „რუსტირება“ მხოლოდ მეოთხე სართულზე და სხვ.) ფასადის შემადგენელი ნაწილები მხატვრულად ვერ უკავშირდება ერთმანეთს.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ვარიანტში უკვე გამოჩნდა ავტორის შემოქმედებითა ძიების შედეგები. წინსვლა დიდი წინააღმდეგობით ხდებოდა, მაგნე, ხავსმოკიდებული დორმალისტური გამოვლენები ჭერ კიდევ უშლიდნენ ხელს ახალი სახის შექმნას, მაგრამ უკვე აშკარად ჩანდა განსაკუთრებული ხერხები, რომელნიც შემდგომ დაძულებულში საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ: ეს იყო გენგემის მათეო გადაწყვეტა შუაში შიდა

ეზოს შექმნით, პრობილევების — გასწილი სივრცობივი ღერძის შექმნით, გემის მოხერხებული და მარტივი გადაწყვეტა, ადგობობრივი პირობებისათვის შესაფერ დიათლედისა და ლოკიების შექმნა და სხვ.

პროფ. კოკორინის ამ პროექტს ყოფრამ მაღალი შეფასება მისცა. ყოფრის დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ პროექტის მთელი ღირსება იმაშია, რომ ავტორი იძლევა დამუშავებას, რომელიც შეეფერება ქართული არქიტექტურის ხასიათს, ქართული არქიტექტურის, რომელსაც უწინ არ ჰქონდა ამის მსგავსი მონუმენტალური სამოქალაქო ნაგებობანი ასეთი მოცულობითი მასშტაბისაო. მართლაც, ეს გარემოება მეტად ართულებდა ამოცანას, მაგრამ ეროვნული, ქართული არქიტექტურის ხასიათის გადმოცემისათვის მარტო ზონგერთი არქიტექტურული მოტივისა და ელემენტების გამოყენება როდი კმაროდა, პროექტს ღრმა იდეური შინაარსის ეროვნულ ფორმებში გადმოცემისათვის ჭერ კიდევ ბევრი ესაჭიროებოდა.

მთავრობის სახლის მშენებლობის კომიტეტმა 1933 წლის 15 სექტემბერს ეს პროექტი დაამტკიცა და საჭიროდ მიიჩნია ფასადის მხატვრულ გადაწყვეტაზე მუშაობის გაგრძელება.

პირველ რიგში უნდა დაწყებულიყო „ბ“ კორპუსის მშენებლობა, ამიტომ მის გეგმაში დამატებები იქნა შეტანილი — კიბეების, გესტიბიულების, ლიფტების და სხვ. სადგომთა განლაგების მხრივ. დაგეგმარების საფუძველი კი იგივე დარჩა.

საქართველოს მთავრობის სახლის დაპროექტება დიდი მნიშვნელობის ფაქტი იყო რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. ფართო საზოგადოებრივობა პროექტის განხილვისადმი დიდ ინტერესს იჩენდა. ეწყობოდა გამოფენები, კონკურსის დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი ადგილობრივ პრესაში. მთავრობის სახლის შექმნა მარტო



არქიტექტორების საქმე როდი იყო, სასახლე ხალხისათვის შენდებოდა, ხალხი იყო დამცეითი. სწორედ ამიტომ, სრულიად ბუნებრივი იყო მშენებლობის მუდმივ კონსულტაციაში არქიტექტორების გვერდით მხატვრების, მოქანდაკეების, ხელოვნებათმცოდნეებისა და სხვათა ყოფნა. ეწეობა სპეციალური სხდომები, რომლებიც იხილავენ საერთოდ ქართული საბჭოთა არქიტექტურის წინაშე მდგომ პრობლემებს. განსაკუთრებით მახვილდება ყურადღება ეროვნული ფორმის პრობლემაზე. მთავრობის სახლის მშენებლობის სამმართველოსა და მუდმივ კონსულტაციის გაერთიანებულ სხდომაზე ისმენენ მოხსენებებს ძველი ქართული ხე-როთმოდღვრების, მთავრობის სახლის დაპროექტების შესახებ და სხვ.

მთავრობის სახლის დაპროექტება ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენაა და ქვეყნით.

პროფ. კოკორინის პროექტის განხილვის შემდეგ არქიტექტორი მ. ჩხიკვაძე კომიტეტში ადგენს მეორე პროექტს, რომელიც დამუშავებული იყო მხატვ. დ. კაკვაძესთან და ლ. გუდიაშვილთან და არქ. გ. ხიმშიაშვილთან ერთად. (ტაბ. 51).

ამ პროექტში ფასადის კომპოზიციურ საფუძველს მაღალი თალღის თემა წარმოადგინდა, ისევე, როგორც ჩხიკვაძის პირველ პროექტში. ორდარი უფრო დახვეწილი და სასიამოვნო პროპორციების გახდა. მაგრამ წინა პროექტთან შედარებით, შენობის არქიტექტურა გადაიტვიტა გვერდითი მსახეობითა და მოცულობებით, რომლებიც არც მისტაბილუ და არც არქიტექტურული დამუშავების ხასიათით არ შეეფარდებოდნენ ცენტრალურ ნაწილს, ისევე, როგორც ცენტრალურ ნაწილზე საფუძვრებად მოთავსებული ზედა სართულები. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ავტორები ცდილობდნენ პროექტში ნაციონალური არქიტექტურული მემკვიდრეობა გამოეყენებინათ. აქ იყო ცლა

ქართული ისტორიული არქიტექტურის ფორმებზე დაყრდნობით შექმნილი ნამედროვე ნაგებობის შესაძლებლობა ისევე, როგორც მოცემული იყო საქუთხა ნიშნის თავისებური ინტერპრეტაცია და სხვა. ასე რომ, ავტორები კომიტეტის წინაშე მთელი სიმამხლით სვამდნენ ეროვნული ფორმების გამოყენების საკითხს, და თუმცე ჯერ დაუმუშავებელს, მაგრამ მიანიც თავის კონკრეტულ წინადადებებსაც იძლეოდნენ.

ამჟამა გახდა, რომ ამოცანა ჯერ ვერ არის გადაჭრილი, რომ საჭიროა საერთო ენერგითი მუშაობა მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის — სოციალისტური შინაარსის, ეროვნული ფორმებზე დაყრდნობით მოცემის — გადასაწყვეტად.

პროფ. კოკორინის პროექტის მიღების შემდეგ, მისი გაუმჯობესების მიზნით, კომიტეტი მოუწოდებდა ადგილობრივ არქიტექტურულ-მხატვრულ საზოგადოებას, სხვადასხვა შემოქმედებით ორგანიზაციებს (მხატვართა, არქიტექტორთა) და მუდმივი კონსულტაციის წევრებს გრაფიკული კონსულტაციის მეთოდით მიელოთ მონაწილეობა თესადთა დამუშავებაში. ძირითად ამოცანად კომიტეტი კომპოზიციაში ნაგებობის სისადავის, სიდიადისა და მონუმენტურობის ხაზგასმას სახავდა. ამასთან შენობას უნდა ჰქონოდა „ქართული კოლორიტი“ (როგორც მაშინ იყო ნათქვამი).

ფასადის დამუშავება უნდა მომხდარიყო კ. კოკორინის დამტკიცებული პროექტის საფუძველზე და პირველი რიგის მშენებლობასთან — „ხ“ კორპუსთან ორგანულ კავშირში.

ამის შემდეგ პროექტები წარმოადგინეს არქიტექტორებმა ჩხიკვაძემ, ჯანელიძემ და ურუშაძემ (ერთად), თავაძემ, კალგინმა, დერიანიმა, მხატვარმა სიღამონ-ერისთავამ, მხატვართა კავშირმა, არქიტექტორთა კავშირმა (არქ. ზალიშვილის მიერ შესრულე-

ბული) და არქიტექტორთა ჯგუფმა (ნებრინ-
ცივი, კალაშნიკოვი, თოიძე, თულაშვილი).

პროექტები განხილულ იქნა 1934 წ. აპ-
რილში.

ავტორთა ერთი ნაწილი იცავდა ვ. კოკო-
რინის პროექტის საერთო კომპოზიციასა და
გეგმას და მხოლოდ მთავარი ფასადის გადა-
მუშავებას იძლეოდა (კალგინი, სიღამონ-
ერისთავი, გრიგუცკი, დერიაზინი), მეორე,
ნაწილი კი სრულიად ახლებურად აპროექ-
ტებდა შენობას.

პროფ. კალგინი თავის პროექტში ძი-
რითად არქიტექტურულ მოტივად თაღს
იღებს და თითქმის ყველა ხერხელობს ღია
ან დეკორატიულ თაღით ფარგლავს. მაგრამ
ფასადს აკლია მხატვრული სიმბავილე. იგი
ერთფეროვანი და მონოტონურია. ავტორი
თითქმის გადაუშუშავებლად, მექანიკურად
იყენებს ქართულ ორნამენტებსა და სამ-
კაულებს.

მხატვარი სიღამონ-ერისთავი ამა-
რტივებდა პორტალის ნაწილს და დარბაზის
კორპუსის თაღების თავზე ბარელიეფებით
დაფარულ ფრიზს იძლეოდა. შიშველ და
სქემატურად გამოიყურება პორტალი პრო-
პილუების თავზე; მისი დამავიჯირგვინებელი
ნაწილი მეტად არაბუნებრივად მეორდება-
და შენობის ცენტრალურ ნაწილში. ფასადი,
მხატვრული გაერთიანების ნაცვლად, რასაც
ეს ხერხი გულისხმობდა, კიდევ უფრო და-
ნაწევრდა. შემადგენელ ნაწილთა სხვადა-
სხვაგვარმა გადაწყვეტამ შენობაზე ზედმეტი
აქცენტები გამოიწვია, ღია თაღები ქვედა
სართულზე ამოვარდა საერთო მასშტა-
ბიდან.


დარბაზის კორპუსის გაოწანსწორებისათ-
ვის არქიტ. დერიაზინი საგრძნობლად
ადიდებდა პორტალის მასას და გასასვლელს
ერთი დიდი თაღით წყვეტდა (ტაბ. 5ა).
დარბაზის კოლონადის ბიჯი გადიდებული
იყო, რითაც იგი უკეთ უკავშირდებოდა
მთელ შენობას. ფასადის მორთულობაში
ქართული ელემენტები ეკლექტიკურად იყო

შეზავებული მარტოთან და სხვ. სტილთან.
ყველა ეს პროექტი მეტად სტრუქტურული და
მშრალია თავისი არქიტექტურით და ვერ
წყვეტს მთავრობის სახლის არქიტექტურის
თემას.

სრულიად სხვაგვარად მიუღწენ საკითხის
გადაწყვეტას ახალგაზრდა არქიტექტორები
ჩანელიძე და ურუშაძე. ისინი იყე-
ნებდნენ ძირითადად კოკორინის გეგმას, მაგ-
რამ ფასადზე დარბაზის ნაწილის გასაწო-
ნასწორებლად მის საწინააღმდეგო მხარეს,
ფასადის მარცხნივ მაღალ, ასმეტრიან კოშკს
დგამდნენ, რითაც ქალაქში იქმნებოდა ახალი
დომინანტი; მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ
გათვალისწინებული არ იყო თვით შენობის
კონკრეტული ადგილი, მისი აღქმა რუსთა-
ველის პროსპექტიდან. პროექტის შესრულე-
ბიდანაც კარგად ჩანს ავტორების ვატაცება
გიგანტურობით. აღსანიშნავია ისიც, რომ
კოშკის დიდი მოცულობა (მთელი საფასადო
კორპუსის მოცულობის ნახევარზე მეტი)
პრაქტიკულადაც ვერ მართლდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორები მეტად
საინტერესოდ სვამენ ამოცანას და მრავალ-
სართულიანი ვანაშენიანების იდეას იძლე-
ოდნენ, პროექტი არ შეეფარდებოდა ადგილს
და ამიტომაც მოკლებული იყო რეალობას.

დარბაზის გამოწვეული ნაწილის გასაწო-
ნასწორებლად ფასადზე კოშკს დგამდა არ-
ქიტექტორთა ჯგუფი ც (ნებრინ-
ცივი, კალაშნიკოვი, თულაშვილი,
თოიძე). კოშკი, თითქმის სულ ნაპა-
რას, შენობის კუთხეში იყო დაგეგმილი,
მაგრამ მისი არქიტექტურა ვერ პასუხობდა
დარბაზის მასიურ გადაწყვეტას და ავტორ-
თა მიზანაც მიუღწეველი რჩებოდა. წინა-
აღმდეგ კოკორინის პროექტისა, ეზოს გამ-
ჭოლი ღერძი აქ შეგნებულად მიჩქმალული
იყო და მასში გასასვლელი უსიამოვნო შთა-
ბეჭდილებას ტოვებდა. ფასადის საერთო
კომპოზიცილაში დისონანსი შექმნიდა დარბა-
ზის მასიურ ნაწილს ორმაგი არქიტექტურითა
და ქვედა სართულის ღია თაღებით, რომ-



ლებიც „წყვეტდნენ“ ამ ნაწილს მთელ შენობას. ფასადზე სხვადასხვა ორდერის მიხმარება კიდევ უფრო საგარძნობს ხდიდა ამას.

ავტორები ცდილობენ კლასიკურ არქიტექტურულ ფორმათა მოცემას. ხმარობენ ქართულ ნაციონალურ არქიტექტურულ მოტივებსა და დეკორატიულ ელემენტებს. მაგრამ ვერ სცილდებიან მოდერნიზაციისა და გაუბრალებას (კოშკი, არქიტრაფი, სვეტები, ცოკოლის სართული და სხვ.).

არქიტ. თავადის პროექტში დარბაზი გადატანილი იყო შენობის ცენტრში. შიდა ეზოსაკენ შესასვლელი, პროპილედების ღერძის სიმეტრულად, მეორე მხარესაც ეწყობოდა (ეს გაუმართლებელი იყო, რადგან საზეიმო შესასვლელს მეორეხარისხოვან ეზოში შეჰყავდა მომსვლელი). ფასადის ხაზი მოუსვენრად მიედინებოდა. შენობის ცენტრის კოშკური კომპოზიცია ამ ადგილზე არაფრით არ მართლდებოდა. მიეღი შენობა თითქმის შემოხვევით მოტანილ მასათაგან იყო შედგენილი. (ტაბ. 5ა).

არქიტექტორმა მ. ჩხიკვაძემ ორი პროექტი წარმოადგინა: ერთი დამოუკიდებელი, ხოლო მეორე კი მხატვრებთან — ე.ე. შელაგასთან და ნადარეიშვილთან ერთად, რომელიც საქ. მხატვართა კავშირის სახელით გამოდიოდა. ეს უკანასკნელი პროექტი კოკორინის ძირითად სქემას ემყარებოდა (ტაბ. 6), მაგრამ ფასადის გადაწყვეტა სრულად თავისებური იყო. ავტორები ფასადის დამუშავების ძირითად მოტივად ქართულ ისტორიულ არქიტექტურაში ცნობილი სამკუთხა ნიშების გადაღმუშავებულ სახეს იძლევიან. ფასადის სიმეტრიული კომპოზიცია (უნდა აღინიშნოს: გეგმა ასიმეტრულია) ერთიან სახეს ჰქმნიდა, მაგრამ მისი არქიტექტურა არ იყო შეადფერი მთავრობის სახლის თემისათვის.

სრულიად ასცდა წინა პროექტებში აღებული გზას არქ. ჩხიკვაძე თავის დამოუკიდებელ პროექტში. მისი პირველი პროექტის

წყნარი, მიეღ ფრანტზე გაყოლებული შენობის ერთიანი რიტმი, აქ მასალა და მოცულობათა სრულიად ნებისმიერ გადაკვირთულმა განაწილებამ შეცვალა.

ავტორი მიეღ შენობას ტერასებად ყოფს, რომლებიც სხვადასხვა კორპუსებში გადასასვლელებს წარმოადგენენ და ფართო კიბეებით ერთიანდებიან. მასათა დისპარმონია, არქიტექტურულ მოტივთა და ფორმათა სიმრავლე, მათ შორის თანხმობის უქონლობა, შენობის დაქუცმაცება ცალკეულ ნაწილებად — შორს იდგა არქიტექტურულ სახის რეალურ გადაწყვეტისაგან.

საქართველოს საბჭოთა არქიტექტორთა კავშირის პროექტში, რომელიც არქიტექტორ შაალიშვილის მიერ იყო დამუშავებული, შენობა ციხე-სიმაგრის გალავანს უფრო წააგავდა, ვიდრე თანამედროვე სახლს — განსაკუთრებით ეს ითქმის შიდა ეზოს შესასვლელზე, რომელიც შუასაუკუნებრივ ნაგებობას ჰგავდა. ავტორი ცდილა გამოეყენებინა ქართული არქიტექტურული ფორმები და ელემენტები (დაა თაღული პროპორციები, სვეტებისა და სვეტისთავეების დამუშავება, ორნამენტული როზეტები და სხვ.). მაგრამ ეს მხოლოდ რესტავრატორულ ხასიათს ატარებდა (ტაბ. 6ა).

მუდმივი კონსულტაციისა და კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე, არქიტექტორთა, მხატვართა, მოქანდაკეთა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად ამ პროექტების დაწერილებითი განხილვის შემდეგ, კომიტეტმა არცერთი წარდგენილი პროექტი არ ცნო დამაკმაყოფილებლად და შემდგომი დამუშავებისათვის მიიჩნია არქიტექტორების კოკორინის, ჯანელიძისა და ურუშაძის და არქიტექტორთა ჯგუფის პროექტები.

ამრიგად, მთავრობის სახლის დამოუკიდებელ მესამე ეტაპზე ფართო მასშტაბი მიიღო. მთავრობის სახლის არქიტექტურული სახის შექმნა საზოგადოებრიობის საერთო საქმედ იქცა. წინა ეტაპებთან შედარებით, ახლა აშკარად გამოჩნდა კონსტრუქტივიზ-



მის გადმონათებითან ბრძოლა, არქიტექტორები ცდილობენ შექმნან მონუმენტური, ჩვენი დროის იდეების გამოხატველი მხატვრული სახე, ფართოდ გამოიყენონ კლასიკური და ეროვნული მემკვიდრეობა. ეს პრობლემა ჯერ კიდევ ცალმხრივად წყდება, ვერ არის მიღწეული ნავთობის ერთიანობა, მხატვრულ ფორმათა დახვეწილობა, მაგრამ ამ ეტაპის მნიშვნელობა მაინც დიდი იყო: უკვე ყველასათვის აშკარა გახდა, რომ სოციალისტური არქიტექტურის შექმნისათვის, შემოქმედმა უნდა გამოიყენოს ის დიდი მარაგი, რაც კაცობრიობას შეუქმნია, რომ პროგრესულ ტრადიციათა ჰარმონული შერწყმა ახალ ამოცანებთან — საბჭოთა ხელოვნობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

კონკურსის ამ ეტაპზე, კოკორინის პროექტის მიხედვით, დაიწყო „ბ“ კორპუსის მშენებლობა და ტექნიკური პროექტების დამუშავება.

IV ეტაპი. მთავრობის სახლის პროექტირების მეოთხე ეტაპზე 8 პროექტი იყო წარმოდგენილი. კონკურსის ამ ეტაპში მონაწილეობდნენ: პროფ. ვ. კოკორინი, არქიტექტორები ნეპრინცევი, კალაშნიკოვი (რომელთაც კომიტეტის მითითებით ერთად უნდა ემუშავათ, მაგრამ ცალ-ცალკე დამუშავებული პროექტები წარმოადგინეს), ჯანელიძე, ჩხიკვაძე და თავაძე (ერთად), „საქსასხელემშენის“ არქიტექტორთა, ე. წ. „ახალ-გაზრდათა ჯგუფი“: ჯაფარიძის, მამრაძის, თოიძისა და თულაშვილის შემადგენლობით, ურუშაძე და ჯანაშია.

ამ პროექტების განხილვა მოხდა 1934 წ. ოქტომბერში.

პროფ. კოკორინმა ამ პროექტში, კონსულტაციის მითითების შესაბამისად, ყრილობათა დარბაზი შეწია პროსპექტიდან ეზოსაკენ. ამით ფასადის ხაზი პროსპექტზე წყნარად მიედინებოდა. ამან, წინა პროექტებთან შედარებით, გეგმის შეცვლაც გამოიწვია, თუმცა მისი კომპოზიცია ძირითა-

დად იგივე რჩებოდა (ტაბ. 7).
 ფასადის არქიტექტურა წინა პროექტებთან შედარებით დაიხვეწა, შექმნილი კიდევ აქვდა მთლიანობა, მოცულობათა და ფორმათა კომპაქტურობა. ცენტრალური ნაწილი, შედარებით უწინდელთან, უკეთ იყო დამუშავებული. კოლონადის წყნარი მეტრი და ბარელიეფიანი ფრიზი კარგად უბასუხებდა აღმინისტრაციული სახლის თემას. მაგრამ ეს ნაწილი ვერ იყო მკიდროდ დაკავშირებული ვერც კოშთან და ვერც პროპილევების პორტალთან, ამით ფასადი დაქუცმაცებული იყო. გარდა იმისა, რომ ამ ადგილზე ვერტიკალი არ იყო საჭირო, კოშკი, რომლის სიმაღლე 63 მეტრს უდრიდა, არ იყო ფასადის კომპოზიციაში ორგანულად ჩართული. პორტალის გადაწყვეტა მოკლებული იყო არქიტექტურულ ლოკაცას (დამაგვირგვინებელი კარნიზი, შიდა სვეტები და სხვ.).

ასევე, ვერტიკალის საშუალებით ანიჭებს შენობას დომინანტის როლს ქალაქში არქ. ჯანელიძე.

არქ. ლ. ჯანელიძის პროექტი იმავე კომპოზიციურ გადაწყვეტას ემყარებოდა, რასაც წინა ეტაპზე. (ტაბ. 8). კოკორინის პირვანდელი გეგმა ძირითადად უცვლელად იყო დატოვებული. კოშკის სიმაღლე შემცირდა. ავტორმა შეძლო შენობა ერთიან ორგანიზმად წარმოედგინა. ფასადი მხატვრულად გაფორმებულია ქართული არქიტექტურული მოტივებით. კარგად არის გამოყენებული კედლის დეკორატიული თალი, რომელიც ხელს უწყობს შენობის არქიტექტურული ხასიათის ერთიანობას. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, იგი ისევე, როგორც ჯანელიძის წინა პროექტი, ვერ იგუებოდა ადგილმდებარეობას და ამიტომ მიუღებელი რჩებოდა.

არქ. ჩხიკვაძისა და თავაძის პროექტზე (მთა ორი ვარიანტი წარმოადგინეს) დატოვებული იყო თავაძის წინა პროექტის ძირითადი სქემა. ფასადი უფრო



საქართველოს მწერთა კავშირი

საქართველოს მწერთა კავშირი

დაწინარებულია, მისი ხაზი გამარტივებული, მაგრამ მაინც ერთიანობა არ არის შენარჩუნებული: ცენტრალური ნაწილი არ ეთანხმება ფასადს მივლ ფრონტს, გვერდებზე ბარელიეფებიანი სიბრტყეები შემთხვევით მიდგმულს ჰკვანან. კოშკს გარს ერტყმის გაურკვეველი დანიშნულების ღია კბეები. ფორმათა ასეთი მექანიკური გამოყენება და მასათა დაქუცმაცება ვერ ქმნის მთლიან მხატვრულ სახეს.

თუ ეს ავტორები ვერტიკალით იზიდავდნენ შენობისადმი ყურადღებას, არქ. კალაშნიკოვი მა შენობის პორიანოტული კომპოზიცია აირჩია (ტაბ. 72). აქ მახვილი დასმული იყო მოცულობით — სივრცობივი გადაწყვეტის გზით. საზეიმო ეზო — მოედანი, რომელსაც „ბ“ კორპუსის კურონერი შეადგენდა, ტრიუმფალური სვეტებითა და შენობის ღია თაღებზე ქანდაკებებით ირთებოდა. „ბ“ და „ა“ კორპუსის საღოუმები ერთ მასივში იყო გაერთიანებული (დარბაზი ეზოსაკენ არის მოთავსებული). ეს მასა ძლევდა „ბ“ კორპუსის ფრთას, რაც შენობის პერსპექტივაში აღქმისას ძალზე საკარძობი გახდებოდა.

მოედნის ასე გადაწყვეტა არ იყო შეთანხმებული ადგილთან (რთული რელიეფი, მოედნის მარცხნივ იქვე ქუჩა, რომლისკენაც შენობის ფრთა უხეირო ტიხარს ჰქმნიდა).

მოედანი ძალზე წააგავდა ვენეციის პიაცეტას. ავტორი კედლის სიბრტყის რომბული ნახატი შედგენილი ქვის წყობით ამუშავებდა. მას მცდარად მიაჩნდა, რომ ეს ხერხი ძველ ქართულ არქიტექტურულ ტრადიციებს უკავშირდება, თითქოს ძველ ქართულ ნაგებობებში მოსაპირკეთებელი ქვა მხოლოდ დეკორატიულს და არა კონსტრუქციულს წარმოადგენდა. რაღა თქმა უნდა, ამით ამ პროექტს ნაციონალური მემკვიდრეობის ათვისების საქმე წინ არ წაუწვია.

2. ნ. ჯანბერიძე.

კალაშნიკოვმა მეორე ვარიანტს შექმნა ადგინა, სადაც ეზო დახურული იყო, მაგრამ ეს ნაკლებ საინტერესო იყო.

არქ. მ. ნეპრინცევი მა თავის პროექტში ეზოს წინ დარბაზი დაგეგმა, რითაც კოკორინის პროექტის წამყვანი კომპოზიციური ღერძი — პროპაღენდი უზღუდებულყო.

ფასადი გადაწყვეტილი იყო კლასიციზმის საფუძვლებზე დაყრდნობითა და მასთან ქართული არქიტექტურული ელემენტების შერწყმით (ორნამენტები, დეკორატიული წყვილსვეტების გამოყენება, ლიუნეტების ორნამენტებით შევსება და სხვ.). მაგრამ ეს მხოლოდ ცდა იყო და ჯერ ისევ მექანიკური შეერთების სურათს იძლეოდა.

ახალგაზრდა არქიტექტორთა ჯგუფი (თუ ლაშვილი, თოიძე, ჯაფარიძე და მამარაძე) შიდა ეზოს რუსთაველის პოსაპექტისაკენ ღიას ტოვებდა. ეზოს საფასადო მხარეს, სივრცობივი კოლონადა იყო ბარელიეფიანი ფრთხით. კოლონადის ორდერი გრძელდება თვით საფასადო კორპუსზეც, რომელაც ბილონებიან ნაწილით იცენტრება. მასათა განაწილება და ღია კოლონადა ეზოს წინ მეტად ხელოვნურია. ფასადი თითქმის შემთხვევით მიდგმულ ნაწილებსაგან შედგება (ტაბ. 73).

უფრო ესკიზურად იყო წარმოდგენილი არქ. ურუშაძისა და ჯანაშიას პროექტები. პირველში არის ჯანელიძის პროექტის მსგავსი ზოგიერთი მომენტი, ხოლო მეორე კი უფრო თავისუფალ ნახატს წარმოადგენდა, ვიდრე არქიტექტურულ პროექტს.

V ეტაპი. კონკურსის IV ეტაპის შედეგად შერჩეულ იქნა შემდგომი დამუშავებისათვის და დეკვივით პროექტების შედგენა არქიტექტორებს ვ. კოკორინს, მ. ნეპრინცევის და ჯანელიძესა და ურუშაძეს (ერთად). მაგრამ უკანასკნელებმა ცალ-ცალკე წარმოადგინეს პროექტები. ამ ეტაპზე კონ-



კურსში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ინტ. ლენტოვსკიამც.

კონკურსის ამ ეტაპზე პროფ. კოკორინი პროექტს ამუშავებს არქიტექტორ გიორგი ლუქავას მონაწილეობით. აქ იწყება მათი შემოქმედებითი შეგობობა. უფრო გვიან, ისინი ერთად აღგენენ მთავრობის სახლის მთავარი კორპუსის პროექტს, რომლის მიხედვითაცაა აშენებული შენობა.

პროფ. კოკორინის პროექტში (არქ. გ. ლუქავას მონაწილეობით) შენობა წითელ ხაზისაკენ წინ იყო წამოწეული (ტაბ. 82). პროსპექტის გაგანიერება იკულისხმებოდა მოპირდაპირე მხარეს. ავტორი ამოცანას ქალაქთშენებლობის თვალსაზრისით მიუღდა. სასტუმროს ადგილზე ბალი იყო დაგეგმილი, ხდებოდა კომუნარების ბაღის რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც იგი გადაიტეოდა ქალაქის ცენტრში მნიშვნელოვან მწვანე მასივად. ბაღის ცენტრალური ხეივანი მთავრობის სახლისკენ მიემართებოდა, ხოლო სასახლის წინ მდებარე ტრიბუნა ამთავრებდა პერსპექტივს.

შენობის წინ წამოწევიმ ავტორს შესაძლებლობა მისცა გეგმაში დარბაზის ნაწილი უფრო მკაფიოდ დაეპროექტებინა.

კოკორინის წინა პროექტებისაგან განსხვავებით, ფასადი სიმეტრულად იყო გადაწყვეტილი. დარბაზის შესასვლელიც პროპილევების პორტალისებრ წყდებოდა. ამით ფასადზე ორი სიმეტრული აქცენტი შეიქმნა, რომლებიც ხაზგასმული იყო სივრცითი კომპოზიციით. ფასადის ძირითადი მასივი ერთიანი კოლონადით იყო გაერთიანებული.

მაგრამ კომპეხი ბუტაფორულს ჰგავდენ. მათი უცხო, ზოდერინისტული „ეკსოტიკით“ გამოწვეული ფორმები, არღვევდენ საერთო შთაბეჭდილებას. ავტორი გაუტაცია „სუფთა ფორმას“, რამაც შენობის არქიტექტურის სრულიად ზედმეტი გადატვირთვა გამოიწვია და უპირველესად ეს სწორედ ამ კომპურ ნაწილებს შეეხებოდა.

ინტერიერის მხატვრულ განწყობის არქიტექტორი ქართული არქიტექტურის ტრადიციებს იყენებს. ფოიეში გამოყენებულია ცნობილი ქართული „დარბაზის“ ელემენტები: ერლოიანი გადახურვა ზედა სინათლით, კოჭები და სხვ. თუმცა, ხის ელემენტთა ქვეში პირდაპირ ვადმოტანა, მასშტაბის დაუცველობა — გამომეტყველებას უკარგავდა მათ.

ამრიგად, ამ პროექტში ავტორი ცდილობს არა მარტო ფასადის მორთულობა, არამედ მთელი არქიტექტურული ორგანიზმი დაუკავშიროს ეროვნულ ტრადიციებს — რაც განასხვავებს კიდეც მას წინა პროექტებისაგან. მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით ეს ამოცანა ჯერ კიდევ გადაუწყვეტილი რჩებოდა.

არქ. ლ. ჯანელიძის პროექტი ძველის მხოლოდ ვარიანტს წარმოადგენდა: დარბაზის ნაწილი წინ აღარ გამოდის და თაღებს — არქიტრავეული გადაწყვეტა ცვლის. წინა პროექტის დაღებითა მხარეებმა ვერ ჰპოვეს შემდგომი განვითარება და დეკარგეს ხასიათი. დეკარგა ფასადის სტილისტიკური მთლიანობა. ფასადი მშრალი გახდა. ქვედა სართულის თაღები ამოვარდა კომპოზიციიდან, კედლის დამუშავება გაუხეშდა.

ასევე ვერტიკალური მომენტი შეჭქონდა კომპოზიციიში არქ. ურუშაძესაც (პროფ. კალგინის კოსულტაციით), ოღონდ მას სიმეტრულად ვანლაგებული ორი კომპური ნაწილი ჰქონდა. ფასადზე ვერტიკალური და ჰორიზონტულ მასათა შორის წონასწორობა არ არის. მეტად მსუბუქია ცენტრალური, ჰორიზონტული მასივის არქიტექტურა. ფასადზე ქართული მოტივებია გამოყენებული, მაგრამ ზერელედ, ერთმანეთში გარდამავალი დეკორატიული თაღების ხმაურება ვერ ეგუება ფასადის საერთო არქიტექტურულ კომპოზიციას და ხელს უშლის კომპეხისა და ჰორიზონტულ ნაწილთა და-



კავშირებას. ამასთან თაღედის თემა კარგავს თავის ბუნებას და მკერულს უფრო წააგავს ვიდრე ქართულს.

არქ. მ. ნეკრესელი ამ ეტაპზე ორი ვარიანტი წარმოადგინა, რომლებშიც მახვილი დარბაზის ნაწილზე იყო დასმული (ისევე, როგორც უწინ, იგი პრობლეების იდეას უარყოფდა).

როგორც კონკურსის წინა ეტაპზე, ამ პროექტის კომპოზიციაც კლასიციზმის საფუძვლებზეა გადაწყვეტილი, ამასთან ავტორი ცდილობდა მიეცა შენობისათვის ნაციონალური ხასიათი, მაგრამ ძველი ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ფორმები და დეტალები ორგანულად ვერ უკავშირდებოდა შენობის არქიტექტურას და მხოლოდ მშრალ „მორთულობას“ წარმოადგენდა.

ზედმეტად დეკორატიული იყო ინტელექტუალური პროექტი.

საქართველოს შთაგრძობის სახლის დაპროექტების კონკურსის ამ ეტაპის შემდეგ გადაწყდა, რომ მეორე რიგის, ე. ი. შთაგრძობის კორპუსის მშენებლობა ჯერ-ჯერობით გადაედოთ და არქიტექტორებს კოკორინსა და ნებრინცევს დაევალიათ წარმოადგინათ „ბ“ კორპუსის გაფორმების პროექტი რუსთაველის პროსპექტის მხრიდან. პროექტი მხოლოდ პროფ. კოკორინმა წარმოადგინა, რომელიც 28. X. 35 წ. მიღებულ იქნა კონსულტაციის სხდომაზე.

ამრიგად, კონკურსის შედეგად მიღებულ იქნა პროფ. კოკორინის პროექტი (გ. ლეჟავას მონაწილეობით), რომელიც კიდევ უნდა დამუშავებულიყო. როგორც უკვე აღვნიშნავდით, ამ პროექტს ჰქონდა მთელი რიგი ნაკლოვანებანი, ჩანაფიქრს ჯერ სათანადო მხატვრული ხორცშესხმა არ გააჩნდა, მაგრამ აშკარად კი ჩანდა, რომ ავტორი თავისი ძიებით სწორ გზაზე იდგა.

ამით საქართველოს შთაგრძობის სახლის დაპროექტების კონკურსის პირველი ბერადი დამთავრდა.

ჩვენ მიერ მოცემული საკონკურსო პროექტების მოკლე განხილვა და კონკურსის ეტაპების სველეობის გაცნობა საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ ზოგადი დასკვნა:

საქართველოს სსრ შთაგრძობის სახლის დაპროექტების ამ კონკურსს საქართველოს საბჭოთა არქიტექტურის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს საბჭოთა საქართველოს არქიტექტურაში რევოლუციური არქიტექტურის დამკვიდრებისათვის ბრძოლის ნათელ სურათს. სურათს, რომელშიც აშკარად ჩანს მომავლად გასა და დრომოქმულთან — მხარდის, პროგრესულის და პირისპირება, ახლისა და ძველს შორის ბრძოლის დიალექტიკური პროცესი. კონკურსის ეტაპების შედარებისას ჩანს კონსტრუქტივიზმის მიწვევად მიზნებთან ბრძოლა, არქიტექტორები ცდილობენ კლასიკურ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით შექმნან საბჭოთა შთაგრძობის სახლის — არქიტექტურის ისტორიაში სრულიად ახალი ტიპის ნაგებობის არქიტექტურული სახე. მართალია, მემკვიდრეობისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების გამო-აშკარაებამ არქიტექტორთა ნაწილი მეორე უკიდურესობაში — მემკვიდრეობის ბრძოლაში მოყენებაში ჩააგდო. როგორც დავინახეთ, ბევრი ავტორი იყენებდა სხვადასხვა სტილისა და დროის არქიტექტურულ ფორმებს, რაც ეკლოტიზმამდე მიიღოდა. ზოგიერთ შემთხვევაში პროექტები არ იყო გათავისუფლებული კონსტრუქტივისტული გამოვლენებისაგან. მაგრამ სწორედ ამასთან შედარებით უფრო მეტად ჩანდა ის ჯანსაღი ელემენტები, რომლებიც პროექტებში გეგმის კომპაქტურ გადაწყვეტაში, ფასადის კომპოზიციასა და პროპორციების დახვეწაში, ეროვნულ ფორმების თამამ გამოყენებაში იგრძნობოდა.



კონკურსმა დიდი როლი ითამაშა სოციალისტური შინაარსის შესაფერ ერთნაირი არქიტექტურული ფორმების ძიების საქმეში, საბჭოთა ქართული არქიტექტურის ჩამოყალიბების საქმეში. მართალია, „ერთნაირი ფორმები“ უმეტესად შემთხვევითი ხასიათისა იყო, პროექტებში ადგილი ჰქონდა რეტროსპექტივებს, მაგრამ აშკარად ჩანდა ცდა, ძიება ქართული არქიტექტურული ფორმების ახლებურად ამუშავებისა. მაგ. ავტორები ცდილობდნენ შეექმნათ ახალი ქართული ორდერი, ახლებურად გამოეყენებინათ ძველი ტრადიციები (კედლის თავისუფალი სიბრტყე, სამკუთხა ნიშები, ღია სტოა — გალერეები, ორნამენტული სამკაულები და სხვ.), მაგრამ მათ აკლდათ შემოქმედებათი ოსტატობა და ამოცანა გადაწყვეტილი რჩებოდა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ არქიტექტორებისათვის სავსებით ნათელი გახდა, რომ სოციალისტური არქიტექტურის წინაშე მდგომ ამოცანათა გადაწყვეტისათვის, ღრმა იდეური შინაარსის გახსნისას, საჭირო იყო კლასიკური და ეროვნული ტრადიციების ღრმა გადამუშავება და მათი შერწყმა მშენებლობისა და არქიტექტურის ახალ მიღწევებთან, რომ მხოლოდ ასე შეიძლება და შექმნილიყო, სოციალისტური არქიტექტურის ნაწარმოების

მხატვრული სახე.

ამ კონკურსმა გამოავლინა, საკუთარ საქართველოს ახალგაზრდა არქიტექტურული ძალები (არქ. ჩხიკვაძე, ჯანელიძე, ურუშაძე, ზალოშვილი და სხვ.). ძველ, უკვე ცნობილ არქიტექტურათა გვერდით გამოდის ნიჭიერი ახალგაზრდობა, უკვე ადგილობრივ მიღებული განათლების მქონენი, რომელთათვის კონკურსი ერთგვარ სკოლას წარმოადგენდა. და მართლაც, კონკურსის შემდეგ ბევრი ახალგაზრდა არქიტექტორი — კონკურსის მონაწილე — ქპნის არქიტექტურის დასრულებულ ნაწარმოებებს.

საქართველოს მთავრობის სახლის დაპროექტება, მშენებლობა, ქუშმარიტად სახალხო საქმედ იქცა. პროექტების განხილვაში მონაწილეობდა ფართო საზოგადოებრივობა, მხატვრული შემოქმედების თითქმის ყველა დარგის მუშაკები. ამას უშედეგოდ არ ჩაუვლია: კონკურსის მსვლელობაში, იხვეწებოდა უკვე მშენებლობაში მყოფ კორპუს „ბ“-ს სახე, ავტორი ითვალისწინებდა იმ მითითებებს და გამოცდილებას, რასაც კონკურსის პროექტების განხილვა იძლეოდა.

შემოთქმული აშკარად გვიჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სსრ მთავრობის სახლის კონკურსს საბჭოთა საქართველოს არქიტექტურის ისტორიისათვის.

2. 1946 წლის კონკურსი

როგორც უკვე იყო აღნიშნული, მთავრობის სახლის „ბ“ კორპუსის აშენების შემდეგ გადაწყვეტილი იყო მთავარი, წინა კორპუსის მშენებლობა დროებით შეჩერებულიყო.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წელს არქიტექტორი არჩილ ქურიანი დაკვეთით ადგენს მთავრობის სახლის მთავარი (წინა) კორპუსის პროექტს (ტაბ. 9).

მთავარი კორპუსი ძველს წინ ედგებოდა. თუ წინა საკონკურსო მოცემულობით ტერიტორია ლ. უკრაინკას ქუჩამდე იყო, ახლა იგი შემცირდა და შენობისათვის მხოლოდ ჩიტაძისა და ჭიჭინაძის ქუჩებს შორის არსებული მონაკვეთი გამოიყო.

მთავრობის სახლის მთავარი კორპუსი ამ პროექტით მინისტრთა საბჭოსა და უმაღლეს საბჭოს სადგომებს ეკავათ, რომლებიც შენობის ორ ფართში იყვნენ მოთავსებულ-



ნი. შენობის ეს ორი შემადგენელი ნაწილი, გეგმის ცენტრში სხლომათა დარბაზის ბლოკით ერთიანდებოდა.

შენობის გეგმა მკაფიოდაა გადაწყვეტილი. სამუშაო ოთახები მოხერხებულია და განლაგებული და ნათელია. ინტერიერში განსაკუთრებით გამოირჩევა სამსინათლიანი დარბაზი გუმბათოვანი გადახურვით.

დარბაზის გუმბათი შენობის საერთო მოცულობაში მთავარ აქცენტს წარმოადგენს. მთავარ ფასადზე ორი წინ წამოწეული რიზალიტი მცირე კურდონერს ქმნის. ფასადის კომპოზიციის მთავარი თემა მაღალი თაღელია.

არქიტექტორი ეროვნულ ტრადიციებზე დაყრდნობით ცდილობს გახსნას მთავრობის სახლის მაღალი შინაარსი, მაგრამ პროექტამ მხრივ ბოლომდე დამუშავებულ არ არის.

ფასადის არქიტექტურა ზედმეტად დეკორატიულია და გადაწყვეტილი. ქვევით დავიწროებული სვეტები (მსგავსად ავტორის მიერ სსს. სამეურნეო გამოფენის პავილიონზე გამოყენებული სვეტებისა). საერთოდ, პროექტზე იგრძნობა პავილიონის ფასადის კომპოზიციის ერთგვარი გამოძახილი, რიზალიტების ლოჯიის კედლები, რომლებიც კერამიკული ორნამენტული ხალიჩითა დაფარული — ზედმეტად დეკორატიულია და ნაკლებად პასუხობს მთავრობის სახლას თემას. ამასთან მასიური გუმბათის დამუშავება ეწინააღმდეგება კოლონადის ასე „მსუბუქ“ გადაწყვეტას. სემიტურთა ზერელობთა განაწილება მთავარი ფასადის ცენტრალურ ნაწილზე, კოლონადის ორივე მხარეს. პროექტი ჯერ არ იყო სავსებით დასრულებული, შენობის მხატვრული სახე თხოულობდა შემდგომ დამუშავებას.

არქიტექტურული საზოგადოება დიდ ინტერესს იჩენდა მთავრობის სახლის დაპროექტებისადმი, ამიტომ გადაწყდა გამოცხადებულიყო კონკურსი.

ამრიგად, 1946 წელს, კვლავ შედგა კონ-

კურსი საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მთავარი (წინა) კორპუსის შესადგენად. მთავარ კორპუსში, უნდა მოთავსებულიყო რესპუბლიკის კულტურის საბჭო და მინისტრთა საბჭო. წინა კონკურსთან შედარებით, როგორც ზევით ითქვა, შეიცვალა ტერიტორიის საზღვრებიც: თუ უწინ მთავარ კორპუსს სკოლის ტერიტორიაც უნდა დაეკავებინა და ჩიტაძის ქუჩიდან ლ. უკრაინის ქუჩამდე უნდა გადაკომპლექსო, ახლა შენობისათვის მხოლოდ ძველი „ბ“ კორპუსის წინ მდებარე მონაკვეთი იყო გამოყოფილი. ე. ი. ჩიტაძის ქუჩიდან კიკინაძის ქუჩამდე. საპროექტო მოცულობით წინასწარ ისაზღვრებოდა აგრეთვე შენობის სიმაღლე: პროსპექტის მხარეს 5 სართული, ხოლო შიდა ეზოსაკენ 3—4 სართული.

კონკურსში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის მოწინავე არქიტექტორებმა.

წარმოდგენილ იქნა არქიტექტორების ა. ქუჩრიანი და მ. მელიანი (ქ. ფორაქიშვილის-სკოლოვას მონაწილეობით), მ. შავიშვილის, მ. ნებრაძე, ე. ვისი, ი. ჩხენკელის და ვ. კოკორინის ნაშრომები. ლეჟავას პროექტები, კონკურსის ეთერში, 1946 წლის 7 ივნისს სხლომაზე, უკეთესად ცნო პროფ. ვ. კოკორინისა და არქიტექტორ გ. ლეჟავას მიერ შედგენილი პროექტი, რომელიც მიღებულ იქნა მშენებლობისათვის.

1946 წლის კონკურსი კიდევ ერთი მკაფიო დადასტურება იყო იმისა, თუ რა დიდი ნაბიჯები გადადგა წინ ქართულმა საბჭოთა არქიტექტურამ თავისი განვითარების გზაზე. თითქოს არც თუ ისე დიდი ხანი იყო განვლილი წინა კონკურსიდან, მაგრამ ნათლად ჩანდა არქიტექტურათა დაოსტატება, შემოქმედებითი წინსვლა, წინა კონკურსის პროექტთა ფორმალისტური, სტილიზატო-

1 არქ. ა. ქუჩრიანი და მ. მელიანი, ქ. ფორაქიშვილის-სკოლოვას მონაწილეობით, წარმოადგინეს პროექტის სამი ვარიანტი, ჩხენკელმა ორი, შავიშვილმა კი სამი.



რული არქიტექტურა შეცვალა არქიტექტურულ ფორმებისა და ელემენტების გააზრებულმა გამოყენებამ.

კონკურსზე წარმოდგენილ ყველა პროექტთან, მხატვრული ჩანაფიქრითა და ნაგებობის კომპოზიციური გადაწყვეტით, სხვებისაგან მკვეთრად განიჩნეოდა კოკორინისა და ლეჟავას პროექტი, რომელშიც ავტორები აგრძელებდნენ ძველი პროექტის ერთ-ერთ წამყვან თემას — პროპილეზს, როგორც მთელი ნაგებობის საერთო კომპოზიციური ცენტრის და მინისტრთა საბჭოსა და უმაღლეს საბჭოს კორპუსებს მკაფიოდ აცალკევებდნენ.

სხვა ავტორებიც, რა თქმა უნდა თავისებურად უდგებოდნენ საკითხის გადაწყვეტას, მაგრამ მათ ამოცანისადმი მიდგომაში ბევრი საერთოც იყო: პროექტთა უმრავლესობაში შენობა მოცემულია მთლიანი ფორმით, შეუტეხავად პროსპექტის ხაზზე (ჩხენკელი, ნეპრინცევი, შავიშვილი — III ვარიანტი), რაც ხელს უწყობდა ქუჩის განაშენიანებაში შენობის ბუნებრივად ჩაწერას.

გეგმის გადაწყვეტიტას ავტორები დერეფნულ სისტემას ირჩევენ. ზოგი ოთახების ცალმხრივი განლაგებით, ზოგი კი ორმხრივით. მთავარი ვესტიბულები და სხდომათა დარბაზი გეგმის ცენტრშია დაგეგმილი. ზოგიერთი ავტორი, ვარდა მთავარი ვესტიბულისა, მინისტრთა საბჭოს აპარატებში შესასვლელებთან ცალკე ვესტიბულებს ითვალისწინებს (ქურდიანი და მელია, ჩხენკელი, ნეპრინცევი).

თუ შავიშვილისა (ტაბ. 10) და ნეპრინცევის პროექტში დარბაზის ცენტრალური მდებარეობა შიდა ეზოს არქიტექტურას გამოსახელებლას არ უკარგავდა, ქურდიანისა და მელიას, აგრეთვე ჩხენკელის პროექტებზე დარბაზი არ იწერებოდა ორგანულად გენგეგმის („ბ“ კორპუსის ჩათვლით) გადაწყვეტაში. უკანასკნელთაგან პირველ პროექტ-

ში იგი მეტად ვიწრო სივრცეს ქმნიდა გვერდით ფრთებთან, რითაც შიდაკარგის სივრცე ქუცმაცდებოდა.

ავტორები მთავრობის სახლის არქიტექტურულ სახეს წყვეტენ კლასიკური არქიტექტურის ფორმებით (როგორც ამას საპროექტო მოცემულობა თხოვულობდა)¹. თითქმის ყველა პროექტი დიდი ორდერითაა გადაწყვეტილი.

თუ არქიტექტორ შავიშვილის პროექტში მიღწეულია ადმინისტრაციული სახლის თემის გახსნა, რომელიც მეტად თუ ნაკლებად შესაფერია მთავრობის სახლის არქიტექტურისათვის, ამას ვერ ვიტყვით ქურდიანისა და მელიას და განსაკუთრებით კი ნეპრინცევის პროექტზე. ქურდიანის და მელიას პროექტში (ვარიანტებით) საერთო შთაბეჭდილებას არღვევს აგრეთვე გვერდების მშრალი დამუშავება. დარღვეულია ფასადის არქიტექტურულ ელემენტთა ურთიერთკავშირი. შავიშვილის პროექტში (ძირითადი ვარიანტი) ფასადის შიგნითავე მომრგვალებული ხაზი პროსპექტს კარგად ვერ დაუკავშირებოდა. ცოკოლი ცუდად ერწყმის შენობას, ხოლო ფასადის გვერდების გადაწყვეტა — როგორც ცოკოლის, ისე მთელი კედლისა, გადატვირთულია მორთულობებით. მ. ნეპრინცევის პროექტი რუსული კლასიციზმის მოღერნის ტულ გადაიმორცხვას წარმოადგენდა. პორტიკა, რიზალიტების დამუშავებას, პარაპეტის კარტუსს — მშრალი აკადემიზმის დალი აზის.

¹ უნდა აღინიშნოს, რომ საპროგრამო მოცემულობაში ეს მეტად ბუნდოვანად და არა ზუსტად იყო აღნიშნული. მიითვებოდა იყო, რომ შენობის არქიტექტურა უნდა ყოფილიყო „ფერობულ კლასიკის ყაიდაზე“.

საინტერესოს ის ფაქტიც, რომ კოკორინისა და ლეჟავას პროექტში ავტორებმა გვერდი აუხვიეს ამას და ეროვნულ ფორმებზე დაყრდნობით მთავრობის სახლის ახლებური გახსნა მოვეცეს. კეთილმეც სრულიად სამართლიანად — საკითხის ასე გადაწყვეტა უფრო მიზანშეწონილია ცნო.



ი. ჩხენკელის პროექტში კურდონერიანი ვარიანტი უფრო საზეიმო სახეს ატარებდა, მაგრამ მოცემულ ადგილს ნაკლებად შეეფერებოდა, რადგანაც ზედმეტად ტენდა პრის-პექტის ხაზს. პირველი ვარიანტი კი მოკლებული იყო საჭირო მონუმენტულობას, რიზალიტები ვიწრო იყო, ფსადის სიბრტყე ცენტრში — ზედმეტად დეკორატიული. შენობის არქიტექტურა ვერ ხსნის თემის შინაარსს!

ვ. კოკორინი და გ. ლეყავა თავის პროექტში (ტაბ. 11) შენობას წყვეტდენ როგორც ორი ძირითადი კორპუსისაგან შემდგარს, რომელთა შორის გადასასვლელთა სახით კავშირი მყარდებოდა. ეს ორი შემადგენელი ნაწილი ფსადზე გაერთიანებულია მაღალი თაღებით, რომელიც ფსადის მთელ ფრონტს იკავებს¹. ავტორები ძველ კორპუსთან კავშირში აგებენ ახალ კორპუსს და საერთო კომპოზიციის ცენტრად პროპილეების გამკოლ ლერძს იყენებენ. კომპოზიციის ცენტრი მკვეთრადაა გამოყოფილი რელიეფიანი ფრონტით, პარალელური კიბების წინ წამოწევიდა და შესასვლელის ორივე მხარეს ქანდაკებათა მოთავსებით.

შენობის შემადგენელი ორივე ფრთის გეგმა ერთ საერთო პრინციპს ემორჩილებოდა. ეს იყო ცენტრალური ვესტიბიულეზი, რომელთა გარშემო გეგმარდება სამუშაო თუ სხვ. სადგომები.

კონკურსის ყიურიმ ეს პროექტი სცნო უკეთესად. არქიტექტორების კოკორინისა

და ლეყავას პროექტი მიღებულ იქნა მშენებლობისათვის. ბუნებრივია, ყიურის მიღება თებდა ზოგიერთ შენიშვნებზე, რაც დამატებების შემდეგ ეტაპებზე გათვალისწინებული იყო.

კონკურსის ეს მეორე პერიოდი ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორიისათვის არ იყო ისეთი ეტაპური მნიშვნელობისა, როგორც პირველი. მაგრამ მაინც, როგორც შემოთ აღწინშე, კონკურსის პირველ პერიოდთან შედარება გვიჩვენებს ქართველ არქიტექტორთა პროფესიულ წინსვლას. ეს განსაკუთრებით ჩანს მიღებულ პროექტში, რომელსაც ქვემოთ დაწერილებით განვიხილავთ.

* *

შენებლობისთვის მიღებულმა კოკორინისა და ლეყავას ესკიზურმა პროექტმა, სანამ საბოლოო სახეს მიღწევდა, მთელი რიგი ცვლილებები განიცადა. იგი თანდათან იხვეწებოდა, მაგრამ მისი კომპოზიციურა პრინციპი, თავიდან ბოლომდე უცვლელი დარჩა.

პროექტმა, სანამ საბოლოო სახით იქნებოდა წარმოდგენილი, ძირითადად ორი ეტაპი განვლო, მესამეს უკვე საბოლოო პროექტი შეადგენდა.

ესკიზური პროექტის დამტკიცების შემდეგ უმთავრესი ცვლილებანი გეგმაში იქნა შეტანილი. უმაღლესი საბჭოს ფრთა, რომელიც პროპილეებიდან მარცხნივ იყო მოთავსებული, ავტორებმა გადაიტანეს მარჯვენა მხარეს (11ა, 12). უკეთესი ორიენტაცია მიიღეს მინისტრთა საბჭოს სამუშაო ოთახებმა. თვით ყრილობათა დარბაზის სწორკუთხოვანი მოხაზულობა გეგმაში შეიცვალა ნახევარწრისებურად.

შენობაში შესასვლელი პროსპექტისაკენ უფრო ახლო გადმოადგოდა, რითაც შეიცვალა პროპილეების თაღდის რიტმი.

ეს იყო უმთავრესად ის ცვლილებანი,

¹ საერთოდ კი, ჩვენი აზრით, ეს პროექტი თვით არც ჩხენკელის შემოქმედებისათვის საყურადღებოა რადგორც იმ მხატვრული ძიების ერთერთი მაგალითი, რომელსაც ავტორი თავის მთელ რიგ პროექტებში ავლენდა (გავისწვით სახ. სახლი პლენაროვის პარსპექტზე და საოლქო კომიტეტის შენობის პროექტი).

² საინტერესოა, რომ შენობის ფსადის ერთიანი თაღდის ფრონტით წარმოდგენის ცდა უკვე ჩხეკვაძის მოაგრობის სახლის საკონკურსო პროექტში (1933 წ.) იყო. თაღდის აბლებურად წარმოდგენის მხრივ, მეტად საინტერესოა ლეყავას პროექტი „მეტეხის“ კონკურსისათვის.



რომლითაც ხასიათდებოდა პროექტის დამუშავების მეორე ეტაპი.

ამის შემდეგ ავტორებმა შექმნეს საბოლოო პროექტი, რომელშიაც უკვე მნიშვნელოვანი შესწორებანი იქნა შეტანილი.

წინა პროექტში (ტაბ. 11) ფასადზე თაღიანი ცოკოლის სართულს ეყრდნობოდა და საფასადო ლოჯია მხოლოდ სამი სართულის სიმაღლისა იყო, ეხლა (ტაბ. 13) ცოკოლის სართულიც უკან შეიწია და გეგმაში გაუწივრდა ზედა სართულების კედლის ხაზს. ამით თაღის ორდერი გაიზარდა. თაღის პროპორცია შეიცვალა, ცოკოლი დადბლდა, სვეტი უფრო ტანადი გახდა. ორდერი უკეთესად შეუფრთხა პროსპექტის საერთო განაშენიანების მასშტაბს.

გეგმაში ცოკოლის სართული სიღრმეში „შეიწია“. გასწორდა ეზოს ფასადის შეტეხილი ხაზი, შენობაში შესასვლელები გამკლი ღერძის გასწვრივ კვლე სიღრმისაკენ გადაადგოდა.

3. მშენებლობის ისტორია

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მშენებლობა, ისევე როგორც მისი დაპროექტება, ორ რიგად წარმოებდა.

პირველი რიგი, „ბ“ კორპუსის მშენებლობა, დაიწყო პროექტის მიღებიდან ერთი თვის შემდეგ: 1933 წლის 17 ოქტომბერს საზემოდ მოხდა საბირკელის ჩაყრა. 1935 წლის 1-ლ ივლისს კი შენობა ჩაბარდა ექსპლოატაციისათვის.

მთავრობის სახლი საქართველოს სსრ-ში ყველაზე დიდი სამოქალაქო ნაგებობაა. ამიტომ, ბუნებრივია, მის მშენებლობაში მონაწილეობდნენ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი და ორგანიზაციები. კონსტრუქციების დაეგმარებისას, შემუშავებულ იქნა სპეციალური ტექნიკური პირობები, რომელიც მშენებლობის კომიტეტის მიერ იყო დამტკიცებული. მშენებლობის გენერალური და კალენდარული გეგმების, საერთოდ მშე-

გაიზარდა დარბაზის ტეფლები, თუმცა დარბაზი 600 კაციისათვის იყო ნაკარგული. ახლა ავტორებს წაუყენეს პროექტი დარბაზში 1000 კაცი უნდა მოთავსდესო. ამან კარდინალურად შეცვალა დარბაზის გეგმა. ნახევარწრისებურიდან იგი ისევ სწორკუთხა გახდა.

ყველა ამ ცვლილებამ მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანა პროექტში. ავტორებმა, მითითებათა დაკვირვებული შესწავლითა და ყოველი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ელემენტის ღრმა გაზარებით, ჩამოაყალიბეს მთავრობის სახლის საბოლოო პროექტი. მაგრამ მათი შემოქმედებითი მუშაობის პროცესი ამითაც არ დამთავრებულა. პროექტის დამუშავება თვით მშენებლობის დროსაც გრძელდებოდა. საქართველოს სსრ მთავრობის სახლის არქიტექტურა შეუწყლებელი მუშაობით იხვეწებოდა თვით მშენებლობის პროცესში.

ნებლობის ორგანიზაციის პროექტების შედგენა-დამუშავებაში მონაწილეობას ლებულობდა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „გიპრობორგსტროი“, ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტი (ზის) და სხვ.

მთავრობის სახლის მშენებლობაზე ორგანიზებული იყო საეულ ლაბორატორია, რომელიც მასალათა შესწავლის საფუძველზე ადგენდა სახელმძღვანელო ინსტრუქციებს, არჩევდა კარიერებს, ბეტონის შემადგენლობას და სხვ.

ტექნიკის უჩანასკნელი მიღწევების ფართო გამოყენებისა და დანერგვისათვის, საბოლოო კავშირის უმსხვილეს მშენებლობებზე ეგზავნებოდნენ მშენებლები, ხდებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა და გამოცდილების გაზიარება.

სეისმიური პირობები, რელიეფისა და ყაბირის გეოლოგიური აღნაგობის სირთულე,



მთელ რიგ ამოცანებს სვამდენ მშენებელთა წინაშე. მშენებლები კონსტრუქციების არჩევასა და თვით მშენებლობის წარმოების დროს იბრძოდნენ იმისათვის, რომ მიეღწიათ ხარისხობრივად უკეთეს და ამავე დროს ეკონომიურ მშენებლობისათვის.

საძირკვლები ყორებეტონის, ბეტონის, რკინაბეტონის და პემზაბეტონისაა (ყამირი თიხნაროანია, ლორღის ფენებით. დას. კონფ: 2,5 კვსმ²). საძირკვლების ჩაყრაში, კედლების ამოყვანაში და ზოგიერთ რკინაბეტონის კონსტრუქციაშიც კი, გამოყენებულია ყორებეტონი, რაც აიაფებს მშენებლობას. ცალკეულ შემთხვევებში გამოყენებული იყო ავურის ნატეხები, რითაც მშენებლობის მოედანზე დაშლილ ძველ შენობათა მასალების უტილიზაცია ხდებოდა. ეს კი ინერტულ მასალათა ხარჯვას ამცირებდა.

როგორია შენობის კონსტრუქციული გადაწყვეტა?

ხელოვნური ეზო წარმოადგენს ერთსართულიან რკ.-ბეტონის კონსტრუქციას, რომელიც ზევიდან დაფარული ასფალტის ორი ფენით. ეზო შენობისაგან გამოიყოფა მთელ კონტურზე ტემპერატურულ-ჯდენითი ნაქერით.

მთავრობის სახლი ერთერთი პირველი ობიექტია საბჭოთა კავშირში, რომელსა დაფარო მასშტაბითაა გამოყენებული მსუბუქი რკინა-ბეტონი და ამ მხრივ დადგინდა დღეს იმისაზღვრებს.

კორპუსი „ბ“, რომელიც ცხრა სართულიანსაგან (აქედან ორი ცოკოლის სართულია), ხოლო ფრთებზე მხოლოდ ექვსი სართულია), შედგება, კარკასული კონსტრუქციისაა.

რკ.-ბეტონის კარკასი შევსებულია პემზაბეტონის ბლოკებით. პემზის გამოყენება მრავალ უპირატესობას იძლეოდა. ამით მიღწეული იყო დეფიციტური მასალის — ავურის შეცვლა; რაც რა თქმა უნდა, რენტაბელური იყო.

„ბ“ კორპუსის მშენებლობაზე ჩვეულებრივ რკინა-ბეტონის ჩარჩოსთან ერთად გამოყენებული იყო პემზა-რკინა-ბეტონის ჩარჩოებიც (გვ. ფრთების ზედა სართულებზე). ეს ჩვენ პრაქტიკაში მსუბუქი რკ.-ბეტონის პირველი საცდელი ჩარჩოები იყო. თუ რა ეკონომიური მაჩვენებლებით ხასიათდება მსუბუქი რკ.-ბეტონის ჩარჩო ჩვეულებრივ რკ.-ბეტონის ჩარჩოსთან შედარებით, ჩანს მასალათა ხარჯვის შემდეგ ცხრილში:

| კონსტრუქცია | მასალა | ლითონი | | ბეტონი | | ცემენტი | | წონა | |
|--------------------|------------------|--------|-------|----------------|-------|---------|-------|------|-------|
| | | ტონა | კვან. | მ ³ | კვან. | ტონა | კვან. | ტონა | კვან. |
| ჩარჩო მე-12 ტიპისა | პემზა-რკ. ბეტ. | 2,30 | 43% | 22,3 | 5% | 4,00 | 36% | 26,9 | 52% |
| | მძიმე რკ. ბეტონი | 4,08 | — | 23,40 | — | 6,30 | — | 56,0 | — |
| V ტიპის ჩარჩო | პემზა-რკ. ბეტ. | 2,81 | 31% | 27,30 | 5% | 4,90 | 36% | 32,8 | 52% |
| | მძიმე რკ. ბეტ. | 4,06 | — | 28,7 | — | 7,70 | — | 68,8 | — |

¹ მთავრობის სახლის კონსტრუქციებზე და მსუბუქი რკ.-ბეტონის გამოყენებაზე ნახ. მშენებლობის მთავარი კონსტრუქტორის პროფ. იაპულოვიჩის შრომები, კვრ.

შილ «Обобщение опыта применения легкого ж/б. на строительстве Дома Правительства ГССР» ИСД АН ГССР. Тбилиси, 1950.

² იხ. დასახლებული შრომა, გვ. 35.

საერთოდ მშენებლობაზე მსუბუქ ჩარჩოთა გამოყენებამ მშენებლებს საშუალოდ ლითონის ხარჯვაში 37,5%, ცემენტში— 36% და წონაში— 52% ეკონომია მისცა.


მშენებლების ყურადღება განსაკუთრებით იყო გამახვილებული სართულშუა გადახურვის კონსტრუქციაზე. საგანგებო გამოკვლევათა შედეგად, მსუბუქი რკ.-ბეტონის — პემზა-რკ.-ბეტონის გადახურვებთან ერთად მიღებულ იქნა ხშირწიბოვანი გადახურვა პემზა-ბეტონის სადებით და ჩვეულებრივი წიბოვანი გადახურვები. ამათგან პირველი — ცდის სახით იყო მოცემული და ამიტომ შედარებით მცირე ფართობს იკავებდა მშენებლობაზე.

„საქსასახლმშენის“ საპროექტო განყოფილების მიერ შემუშავებულ იქნა ახალი სისტემა ხშირწიბოვანი გადახურვისა პემზა-ბეტონის სადებით ე. წ. „გრუზდვორც-სტროი“. იგი წარმოადგენს რემის ცნობილ სისტემის გადახურვის გაუმჯობესებულ კონსტრუქციას: ეს არის ხშირწიბოვანი სისტემა ერთმანეთისაგან 50—50 სმ დაშორებულ კოჭებით (კვეთა 10×27 სმ). კოჭები მრავალმალანია და ჩვეულებრივ მძიმე რკინა-ბეტონისაგან არის შესრულებული.

მშენებლობაზე ფართოდ იქნა დანერგილი ახალი კონსტრუქცია, როგორც კესონური, ისე წიბოვან კონსტრუქტურაზე დაყრდნობილ ფილებიან გადახურვისა, რომლებიც პირველად იქნა ჩვენში გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ პემზა — რკ.-ბეტონის წიბოვან კონსტრუქტურაზე დაყრდნობილ ფილებიანი გადახურვა, „გრუზდვორც-სტროის“ ხშირწიბოვან სისტემასთან შედარებით, ბეტონის იმავე კუბატურის ხარჯვისას იძლეოდა ლითონის 30%, ცემენტის 10% და წონაში 30% ეკონომიას.

ასევე ეკონომიურია კესონური გადახურვა (მაგ. შიდა ეზოში გამოიყენა გვერდის ფრთების გალერეის გადახურვა). ამგვარად, მსუბუქ რკ.-ბეტონის კონსტრუქციების გამოყენებაში მთავრობის სახლს მშენებლო-

ბაზე მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი შედეგები, რამაც შემდგომში დიდი გავრცელება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის სხვა მშენებლობაზე.



სურ. 1. სართულშუა გადახურვის კონსტრუქციები
 1—პემზა-რკინაბეტონის წიბოვანი კონსტრუქტურაზე დაყრდნობილი გადახურვა
 2—„გრუზდვორც-სტროის“ გადახურვა პემზა-ბეტონის სადებით
 3—პემზა-რკინა-ბეტონის კესონური გადახურვა (პროფ. იაქუბოვიჩის მიხედვით)

„ბ“ კორპუსის სახურავი უმთავრესად ბრტყელია, მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოყენებული რკინის სახურავი ხის ნინევიგებზე. რკინის სახურავი დაგებულია რკ.-ბეტონისა და პემზა-რკ. ბეტონის გადახურვებზე. წყალსაიდინარები თვით შენობის შიგნით არის მოწყობილი.

არქ. კოკორინი ცდილობდა შენობის მოპირკეთებისას ეკონომიურობისათვის მიეღწია. რა თქმა უნდა, ამას არ უნდა ექსპერტულა ნაგებობის მხატვრული დააწყვეტა.



ამ მხრივ საგულისხმოა ჩიტაძის ქუჩის ფასადი, სადაც ბუნებრივი ქვა კარგად არის შეთავსებული კედლის შეღვევასთან. ავტორი ძირითად კომპოზიციურ ელემენტებს უსვამს ხაზს უფრო ძვირფასი ბუნებრივი მასალით.

ქვევს ფიზიკურ-მექანიკური და მხატვრული თვისებების შესწავლის შემდეგ, მშენებლობისთვის შერჩეულ იქნა სხვადასხვა სახის ბუნებრივი მასალები, უპირატესად ადგილობრივი წარმოშობისა, რაც მშენებლობის ეკონომიურობის თვალსაზრისით სრულიად მიზანშეწონილი იყო. კედლის ნოსაპირკეთებლად შერჩეულ იქნა მოკვითალო-მოოქროსფერო ტალღოვანი მარღების მქონე ბოლნისის ტუფი, პილიასტრებისათვის მოყვითალო ფერის აირუმის ტუფი, ჩიტაძის ქუჩაზე ლოჯიის თაღებსა და შიდა ეზოს გალერეის სვეტებისათვის ოსკაის მარმარილოსებრი კირქვა, პროპილუების სვეტებისათვის სადახლოს მარმარილო და სხვა. ვესტიბულის იატაკებისათვის, კიბეებისათვის და სხვადასხვა დარბაზების პილიასტრებისათვის სამხრეთ ოსეთის, ირალიური და ლაზოტის მარმარილოები. ცოკლი რუხი ტეშენიტისა.

საერთოდ, არქიტექტორის მოღვაწეობაში პროფ. კოკორინი თვით მშენებლობის პროცესს დიდ მნიშვნელობას ნიჭებდა: «В строительстве, как процессе воспроизведения архитектурных форм, нужно видеть не механическую их передачу в материале, а творческий труд, который должен довести до совершенства задуманную автором и переданную графически форму»¹. მშენებლობა წარმოებდა ავტორის—ვ. კოკორინის უშუალო მონაწილეობით. იგი ხშირად ჩამოდიოდა და ადგილზე ხელმძღვანელობდა დეტალების დამუშავებას. პროექტის დეტალურ დამუშავებას და მშენებლობაზე ნახაზების შედგენას ხელმძღვანელობდა ხე-

ლოვნების დამს. მოღვაწე მ. ნეპოჩუცკი.
შენობის საერთო მოცულობაა 136,000 მ³.
სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 21,794,000 მან.

* *

მეორე რიგის მშენებლობა დაიწყო 1946 წლის შემოდგომაზე. ახალი კორპუსის მშენებლობის დაწყებისას, ერთობლივ რთული საკითხი, რომელიც მშენებელთა წინ წამოიჭრა, იყო ყოფილი სამხედრო ტაძრის საძირკველთა გათვალისწინება ახალი მშენებლობისათვის. ეს ძველი საძირკველი, რომელსაც 1000 მ² ფართობი ეჭირა, ნაშენები იყო მტკიცე ხსნარზე ყოველ ქვის წყობისაგან და ბეტონისაგან. კონსტრუქტორთა შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო: ზოგს საჭიროდ მიანდა ამ საძირკველთა გამოყენება ახალ მშენებლობისათვის, ზოგს არა. ამ საკითხისა და სხვა რთული საკითხების გადასაწყვეტად, საკვლევი-სამეცნიერო მუშაობა წარმოებდა სპეციალური პროგრამის მიხედვით, თბილისის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში — „ტნისგვი“². ძველი საძირკვის გამოყენება არ იყო რაციონალური და გადაწყდა საძირკველი, ისევე, როგორც სარდაფის სართულის კედლები, მაღალი მარჯის ყორებეტონისგან აგებულიყო. საძირკველები ძირითადად ლენტეხისა.

მთავარი კორპუსის კედლები უმთავრესად აგურისაგან არის ამოყვანილი. სვეტები და ბოძები რკინა-ბეტონისაა, პარაპეტები — მსუბუქი ბეტონის, ადგილ-ადგილ კონსტრუქციული არმირებით შედგენილი.

გადახურვები რკინა-ბეტონისა და მსუბუქი — ბემზარკინა-ბეტონისაა.

¹ მოცემულია ინტროდუქციულ ფასეში.
² იხ „ტნისგვი“-ს გამოკვლევები: «По инженерно-геологическому обследованию участка фасадного корпуса ДП Гр.» „По установлению типа фундаментов фасадного корпуса ДП Гр. ССР с учетом существующих фундаментов в. Военного Собора» და სხვ.

¹ В. Кокорин. Творческий опыт. «Арх-ра СССР» № 6. 1935 г. стр. 35.



სახურავი რკინისა კორპუსის ორივე ნაწილის ცენტრში ლითონის ფერმებზე, ხოლო დანარჩენ ადგილას ხის ნივნივებზე. სამუშაო ოთახების სართულშუა გადახურვისათვის შემუშავებული იყო «СМК—ДПГ» (сборно-монолитная конструкция междуэтажного перекрытия ДП Гр. ССР).

პრობლემებისა და მთავარ ფასადის თაღის გადახურვა კამაროვანია — მსუბუქი რკინაბეტონისაგან.

მსუბუქი რკ.—ბეტონის ხშირწახანოვანი გადახურვა ხის გამრუდებულ საღებთ, რომელიც გამოყენებული იყო მთავარი კორპუსის მშენებლობაზე, გაუმჯობესებული იყო. თუ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის შენობაზე თბილისში, სადაც ასეთი კონსტრუქცია პირველად იყო გამოყენებული, ხის მრუდ იყო ნახშირი, მთავრობის სახლზე ფრიფიკარიც გამოიყენეს, რაც კონსტრუქციას აიაფებდა.

მთავრობის სახლის წინა კორპუსის მშენებლობაზე გამოყენებულ იქნა კონსტრუქციულ დაკრძობილი ფილებიანი წიბოვანი გადახურვები, როგორც ჩვეულებრივ რკ.—ბეტონისა (მარკა 140), ისე მსუბუქ რკინაბეტონისა (მარკა 70). უკანასკნელი პირველთან შედარებით ლითონის ხარჯვაში 9—14%, ცემენტში — 30%, ხოლო საკუთარ წონაში — 70% ეკონომიას იძლეოდა¹.

უმალესი საბჭოს ვესტიბიულის გადახურვა ჯვაროვან კამაროვანია, იგი გადაწყვეტილია კესონური გადახურვის კონსტრუქციით — უჯრედებით 3,00×3,00 მ²;

გეგმა თვით მშენებლობის პროცესში იხვეწებოდა, რაც ზოგიერთ გადაკეთებას თხოვლობდა. ძირითადად ეს უმალეს საბჭოს სხდომათა დარბაზს შეეხება. სხდომათა დარბაზში ადგილების რაოდენობა თვით მშენებლობის დროს იქნა გაზრდილი, რამაც, ბუნებრივია, სხდომათა დარბაზის გადაკეთება გამოიწვია: დარბაზი გადიდებულ იქნა

სივანეში. ამიტომ განაბირა ლერქებს აღარ ხვდებოდნენ, გადაწყვიტეს კედლის ხაზიდან. სექტების სახლი ადგილი კი მალის შუაში აღმოჩნდა, ამიტომ სართულშუა გადახურვაში სპეციალური რკინაბეტონის კოჭები გახდა საჭირო, რომლებიც ზოდადა მხოლოდ იარუსის დატვირთვისადაც იყენებდნენ. ე. ი. ნახევარი სვეტი მუშაობს როგორც კონსტრუქციული ელემენტი, ხოლო ზედა ნახევარი კი ბუტაფორულია და შეკიდებულია ფერმაზე. ასეთმა კონსტრუქციულმა გადაწყვეტამ შესაძლებლობა მისცა ავტორებს სართულშუა გადახურვა დარბაზის დონეზე ისეთი კვეთის რკ.—ბეტონის კოჭებით გადაეწყვიტათ, რომელიც ქვევით ინტერიერს არ დაამახინჯებდა.

მინისტრთა საბჭოს ვესტიბიულის გადახურვა მოწყობილია რკინაბეტონის გაძლიერებული კოჭებით. ეს კოჭები კედლებშია ღრმად ჩამაგრებული. კოჭები ერთმანეთს ოთხ წერტილში ჰკვეთენ. ამ გადაკეთების შემდეგ მიღებულ ოთხკუთხედში ჩადგმულია კოჭები, რომლებიც ჰქმნიან რვა წახანგს და წარმოადგენენ გუმბათის საფუძველს. თვით გუმბათი — ლითონისაა. იგი ეყრდნობა ამ კოჭებს და ამავე დროს გადახურვის ძირითად ლითონის ფერმებზეც არის შეკიდებული.

მთავრობის სახლის მთავარი კორპუსის ფასადები, გარდა გადასასვლელი ნაწილისა და ეზოს ფასადისა, რომლებიც მოყვითალოდაა შეღესილი, მოპირკეთებულია ბოლნისის ლა ოქროსფერი, ტალღისებრ ძარღვიანი ტუფის ფილებით. ცოკოლი და ვარეკიბები რუხი ფერის კერამიკის ტეშენიტისაა. უმალესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს პორტალები შესრულებულია ეკლარის თეთრი ბუნებრივი ქვისაგან.

ინტერიერების მოსაპირკეთებლად ძირითადად ხელოვნური მასალა გამოყენებული. ვესტიბიულების იატაკი და კიბის უჯრედი (შესასვლელ ტამბურთა ჩათვლით) დავე-

¹ იხ. იაქუბოვიჩის დასახლებული შიშმა. გვ. 71-28



ბულია სვანეთის მუქი ნაცრისფერ, ლობოტის თეთრ და შავ, შროშის წითელ მარმარილოსაგან. კიბებზე — ლობოტის მარმარილოა.

მშენებლობის დროს დიდი ყურადღება ექცეოდა მასალის ეკონომიურ ხარჯვას, მის რაციონალურად გამოყენებას. ბუნებრივ მოსაპირკეთებელ მასალების გვერდით დიდი რაოდენობით იყო გამოყენებული ხელოვნური მასალებიც, რაც უშეუბამო შენობებში სასურველ ეფექტს აღწევდა. ინტერიერში სვეტები ხელოვნური მარმარილოთა შესრულებული. კაპიტლები, ორნამენტები — თაბაშირისა და ცემენტისაგან, სათანადო "ფაქტურის" მიზაძვით.

მთავარი კორპუსის საერთო მოცულობა 78.250 მ³ აღწევს. მშენებლობის ღირებულება 23.964.000 მან. შენობა საექსპლოატა-

ციოდ გადაეცა 1953 წლის 25 თებერვალს მთავრობის სახლის მთავარ მშენებლობა სამაგალითო იყო საავტორო შედამხვედველობის მხრივ. მშენებლობის პროცესში ავტორებს ჰყავდათ თანამონაწილე — არქიტექტორი ვ. ვ. ნასარიძე, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია ნახაზების შედგენა — დამუშავებასა და მშენებლობის ხელმძღვანელობაში.

მშენებლობის დროს კეთდებოდა არქიტექტურულ ელემენტთა მოდელები ნატურალურ ზომით, მოწმდებოდა მათი მხატვრული გადაწყვეტა, უმჯობესდებოდა ნახატი და სხვ.

მთავრობის სახლის მშენებლობის მიეღი პერიოდი ავტორთა შემოქმედებითი ზრდის მნიშვნელოვანი პროცესი იყო.



როგორც უკვე იყო აღნიშნული, 1938 წელს დამთავრდა „ბ“ კორპუსის მშენებლობა. ეს კორპუსი ნაწილი იყო პროექტით გათვალისწინებულ მთელი კომპლექსისა, ამიტომ მისი განხილვა, როგორც დამთავრებულ ნაწარმოებისა, არ იქნებოდა სწორი. ეს განსაკუთრებით შეეხება პროსპექტისაკენ გამომავალ ფასადს, რომელიც იმის გამო, რომ წინა (მთავარი) კორპუსი არ აშენებულა, ეზოს ფასადიდან, როგორც იგი იყო პროექტით გათვალისწინებული, ძალუენებურად გადაიქცა მთავარ ფასადად. მართალია, მშენებლობის დამთავრებისას გათვალისწინებული იქნა, რომ წინა კორპუსის მშენებლობა დროებით ჩერდებოდა. ამის გამო ჩატარდა მუშაობა ძირითად შენობის წინამდებარე მონაკვეთის კეთილმოსაწყობად, რითაც ეს შენობა პროსპექტის მწყობრში ჩადგა. მაგრამ მაინც, პროსპექტზე გამომავალ ფასადის არქიტექტურას შენობაში მხოლოდ შემთხვევით ეჭირა მთავარი როლი.

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის „ბ“ კორპუსი, კურდინერის სახით გამოდიოდა რუსთაველის პროსპექტზე. (ტაბ. 14). მისი „II“-სებური გეგმა, სამი მხრიდან ერტყმოდა შიდა ეზოს, რომლის ცენტრიც პროსპექტიდან პროპილეების ლერძზე მიმავალმა საზეიმო კიბეებმა დაიჭირა. ეზო გაფორმებული იყო მწვანე ნარგავების პარტერებით, შადრევნითა და აუზებით. შენობის წინ, ქუჩის წითელ ხაზამდე, მთელი მონაკვეთი დანაწევრებული იყო მწვანე პარტერითა და მოსაფლტებულ მისასვლე-

ლებით, როგორც ცენტრალურ კიბეებისაკენ, ისე გარაეში შესასვლელად. პროსპექტის მხარეს თუჯის გამჟოლი ჭიშკარი კეტავდა შენობის წინა მოედანს.

თვით შენობა, მონაკვეთის რთული რელიეფის გამო, ტერასებად იყო გადაშლილი. რვა-სართულიან ფრთებით სამი მხრიდან გარშემორტყმულ ეზოში, შენობის ცენტრი მკაფიოდ არის გამოყოფილი გამოწვეული მოცულობით. მისი სამი თალი და სხვაგვარი დანაწევრება თავიდანვე იპყრობს ყურადღებას. გვერდის ფრთების ქვემო სართულები ეზოს ღია თაღოვანი გალერით ფარგლავენ. ფართო კიბეები აკავშირებენ პროსპექტს ათარბეგოვის ქუჩასთან, რომელიც მის პარალელურად მდებარეობს (მათ შორის ნიშნულთა სხვაობა 15 მ-ია).

ქუჩისაკენ გამომავალ სამ დანარჩენ ფასადს ანაწევრებს კედლის სვეტთა ღიბი ორდერი. თუ ათარბეგოვის ქუჩაზე შენობა ერთი მთლიანი მოცულობითაა წარმოდგენილი, გვერდის ფასადებზე იგი, ძირითადად, ორ ნაწილისაგან შედგება: ვერტიკალურად და ჰორიზონტულად გადაჭიმულ მოცულობათაგან.

მთელი შენობა მტკიცედ დგას ტეშენიტის რუხი ფერის ცოკოლზე, რომელიც გვერდის ფასადებზე ქუჩების დაქანების გამო, ორი სართულის სიმაღლისაა, ხოლო ათარბეგოვის ქუჩაზე კი შუაში მხოლოდ 0,8 მ სიმაღლე აქვს.

შენობაში შესასვლელი ათარბეგოვის ქუჩის მხრიდან არის, ამიტომ ამ ფასადს შე-

ნობის საერთო მოცულობაში მთავარი მნიშვნელობა ენიჭება.


პროპილედების მხრივ, შენობის ორ მხარეს გაკეთებული შესასვლელები აადვილებს მომსვლელთა რეგულირებას: ამით თავიდანა აცილებული ვესტიბულის გადატვირთვა ხალხის ნაკადით. ბუნებრივია, რომ ასეთი დიდი მოცულობის ადმინისტრაციულ ნაგებობაში ხალხის დიდი მოძრაობაა. ამიტომ ვესტიბიულების ცალკე მოთავსება თავის შესასვლელებით კარგად ანაწილებს მომსვლელებს მთელ შენობაში.

ვესტიბიულებს (ტაბ. 19), რომლებიდანაც ხდება შენობაში მომსვლელთა ძირითადი

დივართ, ეზოს მხარეს, ქვევით, მას ცოკოლის ორი სართულიც ემატება.

გეგმათა რაციონალური ორგანიზაციისათვის ავტორმა შესასვლელები გვერდის ფრთებში, ეზოს მხარესაც მოათავსა. აქ მეორე ცოკოლის სართულზე, ორივე ფრთაში ფართო ვესტიბიულებია, რომლებიც დაკავშირებულია კიბის უჯრედთან.

ავტორმა ამ კორპუსის დაგეგმარებისათვის დერეფნული სისტემა აირჩია, ძირითადად ოთახების ორმხრივი განლაგებით. შენობის გეგმა პროპილედების ღერძის მიმართ სიმეტრულადაა გადაწყვეტილი (სურ. 2, 3, 4, 5). პირველ ცოკოლის სართულში



სურ. 2. ხედა კორპუსი. პირველი სართულის გეგმა

ნაკადის შესვლა, გეგმაში წაგრძელებული ფორმა აქვთ. ამით მომსვლელი თავიდანვე გრძნობს გასასვლელს სადარბაზო კიბეებისაკენ, რომლებიც შენობის ცენტრალურ ნაწილის განაპირა მხარეებშია მოთავსებული. როგორც ითქვა, რთულმა რელიეფმა შენობის განსხვავებული სართულიანობა გამოიწვია: თუ ათარბეგოვის ქუჩიდან პირდაპირ შენობაში, პირველ სართულზე შე-

მომსვლელი ხვდება როგორც ვესტიბულთაგან. ისე შიდა ეზოს მწვანე ნარგავებიან ტერასაზე გამომავალ ღია დერეფნის საშუალებით. აქ, ტერასისაკენ, სამუშაო ოთახებია დაგეგმილი. ხოლო მათ უკან კი დამხმარე სადგომები. ძირითადი სამუშაო ოთახები ამ სართულზე გვერდის ფრთებზეა, სადაც ისინი ნაწილებიან დერეფნის მხარეებზე. აქ არის დამატებითი კიბის უჯრე-



ლიც, რომელიც ცოცხლის სართულებს ერთმანეთთან აკავშირებს.


თუ ქვედა სართულის გვერდის ფრთებში ეზოს ღია გალერეის გამო, ოთახები ღერეუ-ნის ცალ მხარესაა, პირველ სართულზე ოთახები მთელ ღერეულს ორივე მხარეს ერთმანეთს უმთავრესი მნიშვნელობის სადგომები — მინისტრთა კაბინეტები — მდებარეობს შენობის ცენტრალურ და გვერდის ნაწილებს გადაკვეთაზე, კუთხეში, აქ დაგეგმილია კაბინეტები, მისაღები, სამუშაო, მდივნისა და სხვ. ოთახები (თავის სანკვანძით). ჩიტაძის ქუჩის ფრთაში სამუშაო ოთახები გადის გრძელ ღია ლოჯიაში, რომელიც ორი სართულის სიმაღლისაა.

ლური ნაწილის შუაში მოთავსებული ორსართულიანი სხდომათა დარბაზი მხარეს ცენტრალურ ნაწილის ოთახები ღია აივანზე გამოდიან. გვერდის ფრთებში ღერეულის ნახევარს ოთახები ცალ მხარეს აქვს: ეზოს მხარეს აქ ტერასებია.

მეხუთე სართულზე, დარბაზის თავზე, ისევე ორსართულიანი სხდომათა დარბაზია, ზუსტად იმავე გაბარბიტებისა, როგორც ქვედა.

მეშვიდე სართული, მხოლოდ შენობის ცენტრალურ ნაწილშია. იგიც ასევე იმეორებს ქვედა სართულთა გეგმას. ამ სართულიდან შეიძლება გავსვა გვერდის ფრთების გადახურვის ტერასიან ნაწილზე.

ამრიგად, არქიტექტორმა მთელი შენობის



სურ. 3. ზედა კორპუსი. მეორე სართულის ვეგმა

შენობის ზედა სართულები ძირითადად იმეორებს ამავე გეგმას. ასევეა ღერეულის გარშემო ოთახები, ღერეულთან გადაკვეთაზე მცირე ფოიები, კუთხეებში კაბინეტები დამხმარე სადგომებით, კიბის უჩრდო და ლიფტი და სხვ.

შენობის მესამე სართულზე, რომელიც აგრეთვე ძირითადად იმეორებს ქვედა სართულის დაგეგმარების პრინციპს, ცენტრალურ

დაგეგმარება ძირითადად ერთი სართულის გეგმას დაუძორილია, სართულები იმეორებენ ერთი სართულის დამახასიათებელ გეგმას. რა თქმა უნდა, აქ სრული გამეორება არა გვაქვს, მაგრამ ჩვენ ვგულისხმობთ გეგმის გადაწყვეტის ძირითად პრინციპს, რაც მთელი შენობისათვის საერთოა. შენობის გეგმა სადაა და მკაფიოდ იკითხება. სადგომები


კარგადაა განაწილებული, დამხმარე სადგომები მათთან მოხერხებულადაა დაკავშირებული.

შენობის გეგმას, როგორც უკვე აღინიშნა, ავტორმა დერეფნული სისტემა დაუდო საფუძვლად. ფართო დერეფნები კარგად აკავშირებენ ოთახებს ერთმანეთთან. კარგად არის გათვალისწინებული მომუშავეთა და მომსახურებელი ხშირი მოძრაობა. კიბის უჯრედებთან, დერეფანთა გადაკვეთაზე, მცირე ჰოლებია მოთავსებული. გარდა ცენტრალურ კიბის უჯრედებისა, არის სხვა კიბეებიც და ლიფტები. ამგვარად, კიბეები ყველა ოთახთან საკმარისად ახლოა და თან არც გადატვირთულია.

თან. ასე რომ ახლოა ლიფტთანაც და კარგად უჯრედთანაც. მათ აქვთ აივნები, მზის სხივების მიხედვით ლოჯია-აივანიც.

ვინაიდან ეს კორპუსი მთავრობის სახლის მთელი კომპლექსის ნაწილს წარმოადგენდა, აქ დიდი დარბაზი არ არის, არის მხოლოდ მცირე სასახლო დარბაზები (ცენტრალურ ნაწილში შესაძლოა და მეხუთე სართულზეც), რომლებიც დიდად არ გამოირჩევიან თავისი მხატვრული დამუშავებით.

საერთოდ ამ კორპუსს ავტორმა წმინდა „სამუშაო“ სახე მისცა. იგი მოკლებულია საზეიმო, პარადულ დამუშავებას, ფუნქციურად კი კარგადაა გადაწყვეტილი. ინტერიერში დაცულია შენობის კონსტრუქციული



სურ. 4. ზედა კორპუსი. შესაძლო სართულის გეგმა

ყველა სამუშაო ოთახი ნათელია. მინისტრთა კაბინეტები მოხერხებულადაა დაგეგმილი; მათ აქვთ სამუშაო და მისაღები ოთახები სანკვანძით, რაც მდივნის ოთახთან ერთად კომპაქტურ ბლოკს ქმნის. მინისტრთა კაბინეტები (ამ კორპუსში სხვადასხვა სამინისტროებია მოთავსებული), ძირითადად მოთავსებულია ცენტრალურ კიბის უჯრედ-
3. ნ. ჯანბერიძე.

სიცხადე, აქ არავითარი ზედმეტი მორთულობა არ არის. თვით სამუშაო ოთახებს, სხდომათა დარბაზებს, კაბინეტებს, შენარჩუნებული აქვთ მკაცრი საქმიანობის სახე.

ამრიგად, არქიტექტორი მთავრობის სახლის ამ კორპუსის ინტერიერს თავშეკავებულიად აფორმებს. მის მხატვრულ სახეს საქმიანი იერი აქვს მიცემული. მთავრობის

სახლის კომპლექსში ინტერიერის დამუშავებაში მხატვრული აქცენტი გადატანილია მთავარ კორპუსში, რომელშიც ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებია მოთავსებული. ამიტომ ზედა, „ბ“ კორპუსში ინტერიერთა ასე დამუშავება მიზანშეწონილია და მხატვრული ამოცანის ასე გადაწყვეტაც გამართლებულია.


ათარბეგოვის ქუჩაზე, ფასადის სიბრტყე ჰორიზონტალურად წაგრძელებულ სწორკუთხედშია მოქცეული (ტაბ. 15).

ცენტრში სამი სართულის სიმაღლის პორტალი ხაზს უსვამს შესასვლელს. ფასადის ცენტრალური ნაწილი დანაწევრებულია დიდი ორდერით, რომელსაც მეხუთე სარ-

დე სართულში კუთხის ლოჯიებს უკავშირდებიან მცირე კონსტრუქციებზე დაყრდნობილი სადაპროექტო კარნიზი ამთავრებს შენობას.

კედლის ძირითადი სიბრტყე შედგენილია მხოლოდ სვეტები თუ სარტყლები, პორტალისა და კიბის უჯრედის ზოლის საპირეები და აივნის ბუნებრივი ქვით მოპირკეთებული. ფასადის მარჯვენა განაპირა ნაწილი დაფარულია ბოლნისის ტუფით. (მისი სიმეტრული მარცხენა მხარე ფასადზე, დღემდე მოპირკეთების გარეშეა).

ფასადის საერთო კომპოზიცია მარტივია. იგი ფრონტალურია და სიმეტრულადაა გადაწყვეტილი. ავტორი მას ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დანაწევრებათა გაწონას-



სურ. 5. ზედა კორპუსი. მეშვიდე სართულის გეგმა

თულზე ანტაბლემენტი ჰკრავს. მძლავრი სარტყელითაა დაგვირგვინებული მეექვსე სართულიც. შენობის ეს ცენტრალური ნაწილი, რომელსაც ფასადის დიდი ფართობი უკავია, ორივე მხრიდან ჩაკეტილია კიბის უჯრედის ვერტიკალური ზოლებით, რომლებიც მთელი ფასადის სიმაღლეზეა აყოლებული. ფასადის განაპირა მხარეები დაყოფილია შეწყვილებული კვადრატული ფანჯრებით, რომლებიც მესამე, მეხუთე და მეშვი-

ვრებაზე აგებს. თუ დიდ ორდერს და კიბის უჯრედთა ზოლს ვერტიკალური მომენტი შეაქვთ ფასადზე, ორი მძლავრი სარტყელი, გვერდის ლოჯიები, ფასადის შუაში აივნის თარაზული ზოლი და ორნამენტული მოჩარჩოება, კედლის ძირითადი სიბრტყეზე კვადრატულ ფანჯრების შეწყვილება — აწონასწორებს მას.

კედლის სიბრტყის დანაწევრებაში ერთერთ მთავარ ელემენტს ბილიასტრების დი-



დი ორდერი შეადგენს. მისი საშუალებით კედელი ხუთი სართლის სიმაღლეზე ვერტიკალურ არეგბად იყოფა. არქიტექტორს აღებული აქვს შეწყვილებული ნახევარწრიული კეობის სვეტები, რომლებიც ბრტყელ პილიასტრზეა მიყრდნობილი. სვეტის დიამეტრი განსაზღვრული იყო ფანჯრებს შორის დატოვებული არეებით. ავტორმა შეწყვილებული ნახევარსვეტები აირჩია, რადგან მხოლოდ ერთი ნახევარსვეტის შემთხვევაში გაიზრდებოდა სვეტის დიამეტრი და დარღვევდა ფასადის საერთო მასშტაბურობა. შეწყვილებული ნახევარსვეტები საშუალებას იძლევა დიდ სიმაღლეზე ნაკლები გამოწვევით იქნას მოცემული მაღალი ორდერი. მთელი ხუთი სართლის სიმაღლისათვის იგი მაინც საკმარისი არ არის, დაეკარგება ძალა. ამიტომ მესამე სართლის დონეზე შეწყვილებული სვეტები გადაკეთოლია სარტყლით — აბაკო, რომლის ზემოთაც გრძელდება უკვე მხოლოდ ერთი ნახევარსვეტი, იმავე დიამეტრისა, რაც ქვევითა სვეტებია. ამით ავტორმა მოგვცა ტანადი პროპორცია ორდერისა და თან, საშისართლის სიმაღლეზე აბაკის ნაშეერთა საშუალებით, შექმნა კიდევ ერთი პორიზონტალური აბზაკი. ამრიგად, მთელი ორდერი ორ მკვეთრად გამოვლენილ იარუსისაგან შედგება.

ორდერი გაუბრალოებული და სქემატიზებულია. აქ უკაპიტელო და უბაზო შეწყვილებული სვეტები რამდენადმე მოვავაონებენ არქ. ი. ფომინის ცნობილ არქიტექტურულ ელემენტებს. თავისი შემოქმედების იმ პერიოდში, როცა აკად. ფომინი გამოდიოდა კლასიკის რეკონსტრუქციის იდეების პროპაგანდისტად, მან შექმნა გამართებული ორდერი, რომლის საფუძვლად იგი დორიულ ორდერს თვლიდა. თანამედროვე ნაგებობის მთელ სიმაღლეზე სვეტს რომ დიდი დიამეტრი არ დასჭირებოდა, იგი შეწყვილებულ სვეტებს იყენებდა. ორდერი მაქსიმალურად — იყო განტვირთული სხვადა-

სხვა ელემენტებისაგან. მატერიალურად ეს ორდერი ყოველთვის ნაგებობის ტექტონიკურ საფუძველს ავლენდა.


საქ. მთავრობის სახლის „ბ“ კორპუსის არქიტექტურაში კი, ამ შეწყვილებულ, გაუბრალოებულ სვეტებს, დეკორატიული ფუნქცია ჰქონდათ დაკისრებული. და ამიტომ მათი ასე გადაწყვეტა უფრო აუბრალოებდა საერთო არქიტექტურულ სახეს და სიმშრალესა და სქემატურობას ანიჭებდა მას.

ფასადის სიმეტრულ კომპოზიციაში ცენტრს განსაყუთრებული როლი ეკისრება. აქ გამოიღის პროპორციების გამჭოლი ღერძი და შენობაში შესასვლელებიც აქედან არის. კარგად არის ნაპოვნი პორტალის ზომები. ავტორმა სამი სართლის სიმაღლის ხერხელოში მთელი შენობის სიღრმეში კი არ გააბარა, არამედ მხოლოდ 5,7 მ-ით შეწია კედლის სიღრმეში, ხოლო თვით გამჭოლი ღერძი — გასასვლელი, ერთი სართლის სიმაღლის არის. ამით თავიდანაა აცილებული ორ სართულზე ფართობის ზედმეტი კარგვა და დატულია გეგმის ერთიანობა მთელ შენობაში. პორტალის ამ ნიშის სიღრმე სრულიად საკმარისია, რომ ფასადის ფრონტალურ კომპოზიციაში სივრცობლივი მომენტი შეიტანოს. თავიდანვე იგრძნობა გამჭოლი სივრცობლივი ღერძი, როგორც მთელი კომპლექსის კომპოზიციური ცენტრი. პორტალის ნიშიდან, როგორც დავინახეთ, ხდება მომსვლელთა განაწილება შენობაში მარჯვნივ და მარცხნივ შესვლისათვის.

პორტალის ნიშა, პროპორციების წინა სივრცეს ქმნის და მის პირველ საფეხურს წარმოადგენს. პროპორციების ღერძი ორ „საფეხურადაა“ გადაწყვეტილი, რომლებიც ორივე მხრიდან — შევიდან ქვევით ჩასვლისას, თუ პირიქით, ამოსვლისას, მკაფიოდ იკითხება. ათარბეგოვის ქუჩიდან, საიდანაც შენობაში შესასვლელებია, პორტალის ნიშის სივრცე ერთგვარ პაუზას იწვევს. აქ

მახვილია დასმული, რასაც ზევით უკვე აღნიშნულ ხერხებთან ერთად, თვით იატაკის გადაწყვეტაც კი უსვამს ხაზს. მიუხედავად იმისა, რომ მთელი გასასვლელი ერთ დონეზეა, იატაკი შესასვლელთა წინ სხვაგვარი ნახატივსა ვიდრე სვეტებიან გასასვლელში, სადაც ხერხობის სიგანეც შემცირებულია. ამრიგად, პორტალის ნიშა პროპილეების სივრცით გადაწყვეტაში ერთერთი საფეხურია, რომელიც პასუხობს შენობაში შემსვლელთა განაწილების კონკრეტულ ამოცანას. პორტალის დიდი მასშტაბი გასასვლელში დაყვანილია ადამიანის სიმაღლის შესაფერ ზომამდე. ბოლნისის ოქროსფერ ტუფის ფონზე, სადახლოს მარმარილოთი მოპირკეთებული მრგვალი სვეტები, ორიგინალური სვეტისთავებით, მეტად ეფექტურია (ტაბ.

სივრცეს ქმნის — შენობის სიმძიმე არ იწვევს ადამიანს. თავისებური, კანკა ნახატი მქონე სვეტისთავები თავიდანვე იპყრობენ ყურადღებას და ხაზს უსვამენ პროპილეების ღერძს. არქიტექტორს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია შენობის ცენტრალური ნაწილის პროპორციებისათვის. ფასადის ცენტრის არე, პორტალის ხერხობის მსგავსე სწორკუთხედს წარმოადგენს. თვით სწორკუთხედები აგებულია მათ ფუძეთა კვადრატების დიაგონალებზე. ცენტრალური არის სწორკუთხედში პორტალის სამაღლე ოქროს კვეთის მწკრივის დიდ მონაკვეთს შეადგენს. ფასადი სავსებით ფრონტალურად ვერც ერთ წერტილიდან ვერ აღიქმის, ამიტომ



სურ. 6. ათარბეგოვის ქუჩის ფასადი, ცენტრალური ნაწილის პროპორციული აგების სქემა.

18ა). ეს საზღვრავს გასასვლელის მხატვრულ სახეს. სვეტები კედელთან ახლოს დგანან, მაგრამ კედლის სიბრტყეზე არ არიან მიდგმულნი. ესეც სავსებით ამოცანის გადაწყვეტას პასუხობს: ჰაერით გარშემორტყმული სვეტები, შუაში ფართო თავისუფალი გასასვლელით, ქერის სწორკუთხედებად დაყოფა, მიუხედავად იმისა, რომ გასასვლელის სიმაღლე დაბალია, თავისუფალ

მთელი ყურადღება ცენტრზეა კონცენტრირებული. ორნამენტულ-დეკორატიული ელემენტები, რომლებიც ძუნწადაა ფასადზე გამოყენებული, მხოლოდ ცენტრალურ ნაწილშია აქცენტირებული. ორნამენტული არშიები პორტალისა და აივნის გარშემო კიდევ უფრო უსვამენ ცენტრს ხაზს. მთელი ფასადის აღქმისას მაყურებელს თავიდანვე ეცემა თვალში განაპირა, მინის



ვერტიკალური ზოლები, თითქმის მთელი შენობის სიმაღლეზე. ისინი აწონასწორებენ ფასადის პორიზონტულ ელემენტებს, მაგრამ მაინც არღვევენ მხატვრული სახის მთლიანობას. კიბის უჯრედის ფასადზე ასე გამოძლევენ, რასაც დიდად იყენებდნენ კონსტრუქტივისტები, საფუძველშივე მცდარ გადაწყვეტას წარმოადგენს, ეწინააღმდეგება არქიტექტურულ ლოგიკას. საეპკო არაა, ის, რომ ყოველგვარ იდეურ-მხატვრული სახის შექმნისას, მის მხატვრულ კომპოზიციკაში, მახვილი ესმის თვით თემის შინაარსით გამოწვეულ ადგილებს, ეს შეეხება ხელოვნების ყველა დარგს და, რა თქმა უნდა, არქიტექტურასაც. ამით, აიხსნება, რომ, მაგალითად, საზოგადოებრივ დანიშნულების ნაგებობებში ყველაზე დიდი ყურადღება ექცევა ხალხმრავალ სადგომებს, შესასვლელების მკაფიოდ გამოყოფას და სხვა. კიბის უჯრედებზე, თუ სხვა დამხმარე დანიშნულების სადგომებზე აქცენტის დასმა, და თანაც ისე, რომ იგი ფასადზე პირველ შეხედვისთანავე იპყრობს უმთავრეს ყურადღებას, ისე, როგორც მთავრობის სახლის „ბ“ კორპუსზეა, მოკლებულია გამართლებას და იმას მოწმობს, რომ ავტორი ჭერ ვერ იყო გათავისუფლებული კონსტრუქტივისტულ გავლენებისაგან.

კუთხის ლოკიების გადაწყვეტაც მეტად სქემატურია. ხელოვნურადაა მიღებული ლოკიასთან, კედლის კუთხეში კედლის სვეტები—ორნამენტულ კაპიტელებით, რომლებიც სრულიად შემთხვევით სახეს ატარებენ. არგვარად, თუმცა ფასადზე მიღწეულია არქიტექტურულ ელემენტთა წონასწორობა, არ არის დაცული მხატვრული ენის ერთიანობა. დეკორივ შემთხვევით ხასიათს ატარებს, არ ემორჩილება ერთ მთლიან სისტემას: კუთხის კედლის სვეტები, დიდი ორდერის ზედა რეგისტრის ბურთობიანი კაპიტელები და ხის ორნამენტული ჩანადგარები კიბის უჯრედის ზოლებში ვერ ახდენენ გავლენას არქიტექტურულ კომპოზიციკაზე

და მხოლოდ თავისთავადი მნიშვნელობა აქვთ. დაუსაბუთებელია ფასადის ვერტიკალური არეზე კარნიზების შეწყვეტა. მეექვსე სართულის სარტყლის შემდეგ, დამაგვირგვინებელი კარნიზი მეტად უმნიშვნელოა ასეთი შენობისათვის. თუ გვერდის ფასადისათვის მისი შეერილი და სიმაღლე საკმარისია, ამ ფასადის გრძელ ფრონტისთვის იგი სუსტია.

გვერდის ფასადები, როგორც უკვე ითქვა, ორი მასისაგან შედგება, რომელთაგან ერთი—შეერილი—ვერტიკალურადაა აღმართული ქუჩის ქანობის ზედა მხარეს, ხოლო მეორე—პორიზონტულადაა გადაწოლილი გვერდის ფასადის თითქმის მთელ ფრონტზე. ამ ნაწილებს შორის გადასვლაზე ფასადის ხაზი შეტეხილია, და სიბრტყეთა სხვაობა მკაფიოდ ჩანს. კიკინაძის ქუჩის ფასადზე (ტაბ. 16ა) კედლის ძირითად სიბრტყეს (შვერილი ნაწილის გამოკლებით) ყოფს პილასტრების ადი ორდერი, რომელიც აქაც მსგავსად ათარბეგოვის ქუჩის ფასადისა, ხუთ სართულს სწევდება და კედელს ვერტიკალურად ანაწევრებს. ცოკოლის სართული ქუჩის ციკამო აღმართის „გამო, ქვევით ორი სართულის სიმაღლისაა და ზევითკენ თანდათანობით კლებულობს. კედელი შელუსილია, (მხოლოდ გრანიტის ცოკოლზე დაყრდნობილი პილასტრები და არქიტრავია ბუნებრივი ქვით მოპირკეთებული). ფასადის შეერილი ნაწილის შუა ლერაზე, მთელ სიმაღლეზე აყოლებული ფართო ბუნებრივი ქვის საპირე ერთ გრძიდ ზოლში აერთიანებს ლოკიებს. მისი განაპირა ყრუ ავადიო კარგად ამთავრებს ფასადს, ხოლო მეორე მხარეს ფანჯრების ქსელით უკავშირდება მთავარ მოცულობას. ამ კავშირისათვის ავტორი აიგნებაც იყენებს, რომლებიც კუთხეში „კრავს“ შენობის ორ ნაწილს. ფასადის ძირითადი მასის კომპოზიციკის ჰექტაგ კიბის უჯრედის ვერტიკალური ზოლი, რომელიც



მეტი სიმკვებით გამოვლენისათვის — ერკერადა გადაწყვეტილი.

თუ ჭიქინაძის ქუჩაზე ფასადის მასა ორბარუსიან ორდერის საშუალებით ვერტიკალურადაა დანაწევრებული, ჩიტაძის ქუჩაზე (ტაბ. 16), ცოკოლის სართულზე დაყრდნობილია ღია თაღოვანი გალერია, რომელსაც ორი სართულის სიმაღლე აქვს და გადაწყვეტ როლს თამაშობს ფასადის არქიტექტურულ კომპოზიციაში. მესამე, მეოთხე და მეხუთე სართულები ისევ ვერტიკალურ უჯრედებადაა დაყოფილი პილასტრებით, მაგრამ ამ ფასადის კომპოზიცია პორიზონტული დანაწევრებით განისაზღვრება და არა ვერტიკალურით, როგორც მაგ. ჭიქინაძის ქუჩის ფასადზეა.


ლოჯიის თაღედის ელემენტის შეტანა ფასადს აცოცხლებს და მიმზიდველს ხდის.

ჭიქინაძის ქუჩა მეტად ვიწროა, თვალი ნორმალურად ვერც აღიქვამს შენობას, ამიტომ ავტორმა ამ ფასადს ნაკლები ყურადღება დაუთმო, ხოლო ჩიტაძის ქუჩაზე გა-

სადი ჩანს ქალაქის მრავალწრივობა. გარდა ამისა თვით ქუჩაც, სწორედ ამგვარი ბული საადმინისტრაციო შენობებით, მნიშვნელოვანია და ხალხმრავალი.

ჩიტაძის ქუჩის დიდი ქანობის (ფასადის ფრონტზე — 8 მ) გამო ავტორმა შენობისათვის საფეხუროვანი კომპოზიცია აირჩია, რამაც შენობა ქუჩის რთულ რელიეფთან დაკავშირა: შენობა კარგად დგას ქუჩის აღმართზე.

არქიტექტორმა ფასადი ისე დანაწევრა, რომ მთლიან კომპოზიციაში; მიუხედავად ასიმეტრულობისა, წონასწორობისათვის მივიღწია. კედლის სიბრტყის პილასტრებით დანაწევრება ვერტიკალური მასის სწორკუთხედთან მსგავსებით ზიდის, რაც საერთო პროპორციათა ხასიათის ერთიანობას ქმნის. აქ აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორი ფასადის მარჯვენა კუთხეში გამოჰყოფს კიბის უჯრედის ვერტიკალურ ზოლს ერეკრით, ე. ი. მოცულობით, თანაც ცოკოლის ხაზის



სურ. 7. ჩიტაძის ქუჩის ფასადი. პროპორციული აგების სქემა.

მომავალ ფასადს ერთ-ერთი მთავარი როლი მიანიჭა. საკითხის ასე გადაწყვეტა სრულიად სწორი იყო, რადგან ჩიტაძის ქუჩის ფა-

კეშით აგრძელებს მას. ამით ეს ნაწილი, რომელიც გარკვეულროლს თამაშობს მასათა გათანაბრებაში, ხაზს უსვამს კომპოზი-



ციის ახიმეტრულობას და დინამიკურობა შეაქვს მასში.

ფასადის პროპორციების შერჩევისას ავტორი გარკვეულ კანონზომიერებას იცავს (იხ. ნახ.). ფასადის ვერტიკალური და ჰორიზონტული მასები ერთმანეთს აწონასწორობენ, რაც სწორკუთხედთან პროპორციული უკუფარდობითაა მიღწეული.

კომპოზიციაში წამყვანი მაინც მარჯვენა — „ჰორიზონტული“ ნაწილია, რომლის დანაწევრება სიმაღლეზე, ემყარება „ოქროს კვეთის“ ჰარმონიულ მწყობრს (რა თქმა უნდა, არა აბსოლუტური სიზუსტით). ასეთი გადაწყვეტით ხუროთმოძღვარი სასიამოვნო პროპორციულ დანაწევრებას ქმნის. ამასთან ერთად, ჰორიზონტულ და ვერტიკალურ მასათა ურთიერთფარდობა საერთო შთაბეჭდილების მთლიანობას იძლევა. ფასადის ძირითად არქიტექტურულ მოტივებს, როგორც ვთქვით, თაღი და წარმოადგენს. მისი პროპორციები დახვეწილი და სასიამოვნოა. თაღების თითოეული რგოლი ჩაწერილია სწორკუთხედში, რომელთა გვერდების თანფარდობაა 1:√2; კარგადაა განსაზღვრული სვეტის, თაღის, მოაჯირის სიმაღლეები და მათი თანფარდობა (აბსოლუტური ზომები ასეთია: კაპიტელის სიგანე 130 სმ; სიმაღლე 90 სმ; სვეტის სიმაღლე 350 სმ). თალი შეისრულია, რაც მხედველობით მეტ ტანადობას ანიჭებს ხერგლობის პროპორციებს. თავისუფალი ინტერკოლუმნიუმი (5,6 d) და ქვის მოაჯირის გამჭოლი ელემენტები შედგენა ლოჯიის სივრცეს აერთიანებს გარე სივრცესთან.

არქიტექტორი თაღების ცხრა სვეტს ერთსა და იმავე კაპიტელს კი არ ადგამს, არამედ შემუშავებული აქვს სამი ძირითადი სახე კაპიტელისა (ტაბ. 20₁; 20₂; 20₃), რომელთაგან ორს ერთი და იგივე კომპოზიციური საფუძველი აქვს. აღსანიშნავია, რომ თაღებზე ნახატის მიხედვით კაპიტელების განაწილებისას არქიტექტორი გარკვეულ კანონზომიერებას იცავს. ამ სამი

სახის კაპიტელს თაღების მიხედვით რიგ-რიგობით ზევდიან ქვევით განაწილებს. თაღების კაპიტელს კი არ ანაწილებს, არამედ თაღების განაწილება სვეტებზე ერთნაირი კაპიტელების მოთავსებით, თაღების შიგნითკენ მოდის:

| | | | | | | | | | |
|----------|---|----|-----|----|---|----|-----|------|----|
| კაპიტელი | 1 | 2 | 3 | 1 | 2 | 1 | 3 | 2 | 1 |
| სვეტები | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX |

ამით იგი მეტი ნაირფეროვნების ეფექტს აღწევს, რადგან, როდესაც თვალი აგრძელებს აღქმას მეოთხე სვეტიდან შემდეგ, აქ შეექმნე სვეტზე მესამის მსგავს კაპიტელს არ ხვდება, როგორც მოსალოდნელი იყო. ამით განუმეორებლობის პრინციპი მეტად ეფექტური ხდება. მესამე სახის კაპიტელის მკვეთრად განსხვავებული ნახატი, თაღების საერთო აღქმისას, არღვევს ერთფეროვნებას და პირველ შეხედვისთანავე აგრძობინებს თვალს კაპიტელის სხვადასხვა ნახატის არსებობას. ამდენად, ეს ერთი შეხედვით თითქმის უმნიშვნელო მხატვრული კონტრასტი გამიზნულია და სასურველ შედეგსაც აღწევს. კაპიტელები თაღებში მეტად მნიშვნელოვანი ელემენტია. მათი ამგვარი გადაწყვეტა საკმარისი აღმოჩნდა, რომ თაღების მეტრს დინამიკური მომენტი შემატებოდა.

ეს ფასადი სამხრ. — აღმოსავლეთისკენაა ორიენტირებული და თითქმის მთელი დღის განმავლობაში მზის სხივების ქვეშაა. ამიტომ ღოჯია მეტად აცოცხლებს ფასადს. ავტორი ითვისისწინებს ფასადის ორიენტაციას და პროფილთა გამოწვევას ამით საზღვრავს. ასე, მაგ. კედლის საერთო სიბრტყე რომ არ დაირღვეს, თაღების თავზე სრულიად მარტივი პროფილის ორნამენტული სარტყელია გატარებული. აქ რომ დიდი გამოწვევით ყოფილიყო კარნიზი, მისგან დაცემული ჩრდილი თაღების ზედა კედლის ზედაპირს, „ხორცს“ გააქრობდა.

ფასადის კოლორიტი ნათელი და მკაფიოა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრული ქაზის გახსნისათვის. ფასადის შვერილი ნაწილისა და ძირითადი ელემენტების: თაღების, პილასტრებისა და სხვ.



ბუნებრივი ქვით მოპირკეთება კარგად ეხამება კედლის შეღესილ ზედაპირს და გამოყოფს ფასადის არქიტექტურის წამყვან მოტივებს. ფასადის კოლორიტს საზღვრავს ბოლნისის ოქროსფერი ტუფი, რომელიც მზის სხივებით გაშუქებული კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ფასადს.

ფასადის ორი შემადგენელი ნაწილი უფრო კარგად დაუკავშირდებოდა ერთმანეთს, მათი ცოცხლი რომ ერთგვაროვანი ყოფილიყო. ახლა კი, როცა მთავარი მასის ცოცხლი რუსტიკითაა მოპირკეთებული, ხოლო შერეილისა — გლუვი წყობით, ეს ნაწილები ერთმანეთს წყდება. უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს კიბის უჯრედის ვერტიკალური ზოლი და კუთხის ყრუ, სქემატური აივნები.


მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა ეს ფასადი, თავისი მხატვრული გადაწყვეტით, ამკარად გამოირჩევა მთელ შენობაში.

განვიხილოთ პროსპექტის განაშენიანებაში, რა თქმა უნდა, ავტორს ამ ფასადით არც მთავრობის სახლის არქიტექტორმა შეძლო გახსნა ქონდა მიზნად დასახული, როგორც ეს მთავარ ფასადზე უნდა იყოს.

მღებარეობის მხრივ, ნაგებობა მეტად მომგებიანად იდგა. ტერასებად გადაშლილა შიდა ეზო, ფართო მისასვლელები, პარადულ იერს ანიჭებდენ შენობას.

მთავარი არქიტექტურული მოტივი აქ პროპილევების გამოვლი ლერძია. ფართო, საზეიმო კიბეები ტერასებად მიემართება პროსპექტიდან შენობისაკენ. ვინაიდან გარეკი პროსპექტიდან გამოჩნდა, მისი ფასადური მხარე არქიტექტორმა გრანიტის რუსტიკით მოპირკეთა და ამით იგი შენობის მტკიცე საფუძველად აქცია.

ავტორმა, ფასადთა დანაწევრებისას, აქაც დიდი ყურადღება მიიქცია მასათა პროპორციული გადაწყვეტას. ქვედა სართული (წვევან



სურ. 8. ეზოს ფასადი. პროპორციული აივნის სქემა

რუსთაველის პროსპექტზე გამოსული ფასადი, როგორც უკვე არა ერთხელ აღინიშნა, ეზოს ფასადს წარმოადგენდა. მან მხოლოდ შემთხვევით მიიპოვა მთავარი მნიშვნელობა, წინა კორპუსის მშენებლობის შეჩერების გამო (ტაბ. 14). ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენ მას არ

ნარგავემიან ტერასის (დონეზე) ქვევიდან არ ჩანს: მას ფარავს ცოცხლის სართული, რომელიც საკმაო მანძილითაა გამოწეული ფასადის სიბრტყიდან. ქუჩიდან, რთული რელიეფის გამო, ჩანს ფასადის მხოლოდ ზედა შვიდი სართული, ამიტომ არქიტექტორი ეზოს საფასადო კედლის სიბრტყის გა-



დაწყებისას მთავარ ყურადღებას აქცევს შენობის სინაღლეს, კიბეების ზედა ნიშნულის ზევით.

ფასადი დაყოფილია სწორკუთხედებად, რომელთა შორისაც პირდაპირი თუ უკუთანადარლობაა. ამით ჰარმონული ერთიანობაა ფასადის მასების გადაწყვეტაში. მოქმენილია ისეთი პროპორციები, რომ ფასადის ერთიანობა, მისი სხვადასხვა ხერხით ევრტიკალური თუ პორიზონტალურა დანაწევრებისას არ დაირღვეს.

მაგრამ ცხადია, მართლ პროპორციული გადაწყვეტით ამოცანა გადაჭრილი ვერ იქნებოდა. მხატვრული ენის სიჭრელზე, რაზეც ეზოს ფასადებზე განსაკუთრებით იჩინა თავი, თავისი დადი დანაგვა სწორედ არქიტექტურულად სახის მთლიანობას.

გვერდის ფრთების ღია გაღვრვა სასამონგო პროპორციებისა და ისევე როგორც ღია დეკორატიული მის ზედა სართლებზე, კარგად აკავშირებს შენობას გარე სივრცესთან. ზედა ორი სართული, რომლებიც დანარჩენებისაგან ქვის ყრუ პარაპეტით გამოიყოფა, მოპირკეთებულია ბოლნისის მოვარდისფრო-მოყვითალო ტუფისა და მოთეთრო ბუნებრივი ქვის კომბინაციით: წყობაში რომელიც ნახატია შექმნილი. ამით როგორც ჩანს, ავტორს შენობის არქიტექტურისათვის „აღმოსავლური“ იერი უნდოდა მიეცა. ნაშედეგად კი კედელს დაეკარგა დამაჩერებლობა, დეკორატიულად, ბუტაფორიად გადაიქცა. მისი მასალა — ქვი — საესეებით დაეკარგა: შორიდან შეხედვისას მწელი მისახედრია, რომ ეს ზოლები ქვისგან არის, ფერად შელესვის უფრო გავს. ქვის კედლები პორიზონტალური რიგების შექმნის ნაკვალად, რასაც კონსტრუქციული ლოგია მოითხოვს, აყირავებულია რომელ ნახატის შესადგენად. ამგვარად, დარღვეულია კედლის ტექტონიკობა, ქვის წყობა არაბუნებრივია.

კუთხის აივნები, კიბის უჩრდის ევრტიკალური ზოლები, აივნები გვერდით და

მთავარ კორპუსის გადაკეთობისთან კვირბრტულ ფანჯრებით დასერილი კედლის იხრტყე, კონსტრუქციისტულად ახლოს პირდაპირი გადაწყვეტება, რაც ღიდად მოქმედობს და ამცირებს ფასადის არქიტექტურულ სახეს.

გვერდითი ფრთების კუთხური მოცულობანი, რომელთა შეწყვეა მესამე სართულზე ღია ტერასას იძლევა, ამოვარდნილია შენობის საერთო კომპოზიციიდან. ფანჯრების სხვა მეტრი, დაცილებული ერთმანეთისაგან ხეველობები, მათ შორის გლუვი შელესილი სიბრტყით, აღარბებს ფასადის არქიტექტურას (ტაბ. 17).

როგორც დაეინახეთ, მთავრობის სახლის ამ კორპუსის არქიტექტურაში არ არის ერთიანი, მილიანი მხატვრული სახე. მისა არქიტექტურა აჭრელებულია სხვადასხვა არქიტექტურული მოტივებითა და ელემენტებით. ფასადების არქიტექტურა არ არის შეკრული ერთ მილიან ორგანიზმში. შენობაში დეკორატიულ-მხატვრული ელემენტთა გამოყენებაც ასეთ სახესვე ატარებს. ბევრი მთავანი შემთხვევითაა მოტანილი და მოდერნისტული იერი აქვს მიცემული. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისევე, როგორც შენობის მთელ არქიტექტურაში, დეკორატიული ამოცანების გადაწყვეტისასაც, შემოქმედებითი ძიებისას არის გარკვეული მიღწევები. შენობის მორთულობის ძიებისას ავტორმა ზოგიერთი ამოცანა სავსებით სწორად გადაწყვიტა, მაგრამ ვერ შეძლო მილიანად გააყოლოდა ამ გზას, ე. ი. იგი პრინციპად გადაიქცია. სწორედ ამან გამოიწვია დეკორატიულ-მხატვრულ ელემენტების გამოყენებისას ეკლექტიზმი და მილიანობის დარღვევა, მათი უსისტეობა.

ხეოლოგიური ფასადების არქიტექტურაში ორნამენტულ სამკაულს თავშეკავებულად ხმარობს. მისი ადგილი ძირითადად სწორად არის მოქმენილი. შესასვლელების ხაზგასამელოდ, ცენტრის გასაძლიერებლად, თუ სხვა რაიმე აქცენტისათვის იყენებს იგი



ორნამენტულ მოტივებს. ასეა მაგ. ზორტალის მოზარჩობა, ერკერის დამუშავება, მცენარეულ ორნამენტისაგან შემდგარი კარნისი, კაბიტელები, ხის ორნამენტული ჩანადგარები კიბის უჯრედზე და სხვა. ზაგრამ თუ აქ მათი არსებობა გასაგებია, არაფრით არ არის გამარტებული ათარბეჯოვის ქუჩის ფასადზე კუთხის ლოჯიბთან დეკორატიული სვეტის დაყენება, ან კიდევ პროსპექტივასკენ გამოშვებული ფასადის გვერდით ფრთებზე კუთხეების ხაზგასამართლად ორნამენტული სარტყლის მიდგმა, ათარბეჯოვის ქუჩაზე გამოსულ აივნის ორნამენტული მოზარჩობა და სხვა.

როგორიღა თვით ცალკეული დეტალები? მთელ შენობის საერთო არქიტექტურულ სახეში ყველაზე მეტ ყურადღებას იმყრობს თალედის სვეტების კაბიტელები. მათი სადა, მაგრამ დახვეწილი ნახატი, სასიამოვნო პროპორციები და კარგი შესრულება შესანიშნავი ეფექტს დაწვევენ. არქიტექტორი კაბიტელების ორ ძირითად ტიპს იძლევა: პირველი — მცენარეული ფოთლებისაგან და მეორე — კაბიტელის ნახატში საბჭოთა ემბლემატის გამოყენებით შედგენილი კაბიტელები. უკანასკნელში ორი განსხვავებული სახეა: ორივე მხარეს ტრაპეციული დაქანებული გვერდებით და მრგვალ ზარზე კუთხეების მკაფიოდ აქცენტირებით შექმნილი.

ორივე ტიპისათვის კაბიტელის ნახატი სადაა, არ არის გადატვირთული სხვადასხვა ელემენტებით. ავტორი აქ შეუჩინდელით გამოიწვევს ეფექტს დიდ ყურადღებას აქცევს. ამიტომ იგი აბაკის ქვეს ზნექს შიგნითყენ, ფოთლები თავში დიდი ნაშვერითაა გადმოწვეული, ტრაპეციული კაბიტელის ზედაპირი მარაოსებრივ გადაშლილ სამკუთხა გვერდებისაგან შედგება და სხვ. კაბიტელის კომპოზიციაში ორგანულად არის ჩამშული საბჭოთა ემბლემატია, რაც ყოველთვის კარგად იკითხება.

თუ პირველი ტიპის კაბიტელები მოგველია და თვალი ცურავს მათი ნახატის რადგან ერთიდაიგივე ელემენტის გამეორება შეადგენს აქ მთელ ნახატს — მეორე ტიპის კაბიტელები, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ფასადურია“ ე. ი. ოთხივე მხარეს მას ზედაპირზე ცალკეული ნახატია („ფასადურია“ შეზნექილ აბაკიანი მრგვალი კაბიტელიც. აქ ერთ მხარეს წნულში, როგორც ითქვა, ნაშვალი და ჩაქუჩია ჩაწნული, რაც ხაზს უსვამს კაბიტელის სწორედ ამ გვერდს). მხარეთა მჭიდროდ ნაკვეთირებისათვის, გარდა თვით კომპოზიციური ერთიანობისა, არქიტექტორი დიდ ყურადღებას აქცევს კუთხეებს, ფოთლებისა და კრონშტეინების მოთავსებით კუთხეები კრავენ მთელ კაბიტელს.

კაბიტელების ნახატი, მათი საერთო გადაწყვეტა, არქიტექტორს მოცემული აქვს სიბრტყობრივად. კაბიტელის დეტალები იმდენად მოცულობითი-პლასტიკური არ არის, რამდენადაც სიბრტყობრივი, მაგრამ რეალეფი არ არის დამალი და ჩრდილსინათლის წყალობით ნახატი მკაფიოდ იკითხება. შეიძლება კაბიტელების ასეთი გადაწყვეტა ოდნავ სიმშრალესაც კი ანიჭებდეს მათ, მაგრამ უფრო პლასტიკური ნახატი, მხატვრული მახვილის ნაცვლად, გამოთიშავდა მათ ფასადის საერთო არქიტექტურრიდან.

ორივე ტიპის კაბიტელებში ჩანს ავტორის თავშეკავებული მხატვრული ალღო და ოსტატობა. ამ კაბიტელების გამოყენება აცოცხლებს არქიტექტურულ სახეს, თუმცა უნდა ითქვას, მათ ოდნავი სიმშრალე მიინც ახასიათებთ.

სრულიად სხვა პრინციპზე აგებს არქიტექტორი „დღი ორდერის“ დეკორატიულ გადაწყვეტას. უკაბიტელო და უზაზო ქვედა იარუსი, ზევით კი მცირე ბურთობიანი ან დაწოლილ პრიშმებიანი კაბიტელები, რომლებზედაც გაურყვეველი რელიეფური ნახატია, ისევე როგორც გვერდით ფასადზე



მცენარეული მოტივის კარნიზი — მშრალი გეომეტრიზმით ხასიათდება.

პორტალის მოჩარჩოებისათვის ავტორმა ისევ გეომეტრიული ხასიათის ხალხური ორნამენტი აიღო. ასევე, გეომეტრული ნახატის შემცველია პორტალის ნიშში ორნამენტული ვერტიკალური ზოლები.

თუ პირველ შემთხვევაში, შერჩეული სამკუთხა გეომეტრული ორნამენტი თავისი ბუნებით ეფარდება ფსაღის საერთო არქიტექტურას, პორტალის ნიშის ვერტიკალურ ზოლებს მხოლოდ სიმშრალე შეაქვთ კედლის დამუშავებაში.

აქ აღარ მჩერდებით კედლის დეკორატიულ დამუშავებაზე, რაც ქვის კედლის სიბრტყის რომბებად დაყოფით გამოიხატა, და რომელიც, როგორც ზევით დავინახეთ, სავსებით ყალბი და აბექტონიკურია.

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ როგორც ავტორის მიდგომა დეკორატიულ-მხატვრულ ელემენტთა გამოყენებისადმი, ისე, როგორია თვით ამ ელემენტთა გააზრება მის მიერ. ავტორი დეკორატიულ ნიშნებს იყენებს მხოლოდ იქ, სადაც ამაჲ იდეურ-მხატვრული ამოცანა თხოვლობს: იგი ორნამენტით ხაზს უსვამს შესასვლელს, პროილევებს, აქცენტს აცეთებს ამა თუ იმ არქიტექტურულ მოტივზე, რომელსაც იგი გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს საერთო არქიტექტურულ კომპოზიციაში (აქვე აღვნიშნავთ, რომ ამას ზოგჯერ იგი ვერ იცავს — მაგ. დეკორატიული სვეტები ლოჯიაზე ათარხდგოვის ქუჩაზე, ორნამენტული ზოლი გვერდის ფრთებზე ეზოში და სხვ. მაგრამ ძირითადი მიდგომა მაინც ასეთი იყო).

რაც შეეხება თვით დეკორატიულ მოტივთა დამუშავებას, არქიტექტორი სიბრტყით გადმოცემას ამკობინებს პლასტიკურ ფორმებს და მარტივი ნახატის დაცვით, უშუალოდ ალწევს ეფექტს. მაგრამ დეკორატიულ-მხატვრულ ელემენტთაგან თუ ზოგიერთი კარგად არის დამუშავებული და მათი მხატვრული სახეც დამთავრებულია,

მეორენი შემთხვევით მოტანილ წარმოადგენენ, რაც დისჰარმონიის იწვევს და არა ლევებს აღქმის მთლიანობას.

როგორც არქიტექტურულმა ანალიზმა დავეანახა, საქართველოს მთავრობის სახლის ზედა, ე. წ. კორპუსი „ბ“, მიუხედავად იმისა, რომ მის არქიტექტურულ კომპოზიციაში ბევრი საინტერესო მომენტი იყო (რაციონალური გეგმა, პროილევების გამჭოლი ლერძი-ცენტრი კომპოზიციისა, ტერასებად გადაშლილი შიდა ეზო, მასათა პროპორციული თანაფარდობა, ლოჯია — თუდრი ფასადზე და სხვ), ვერ წარმოადგენდა მხატვრულად დამთავრებულ ნაწარმოებს. მას აელდა სტილისტიკური ერთიანობა, ორგანულობა, ზოგიერთ კარგად დამუშავებულ და გააზრებულ არქიტექტურულ მოტივთა გვერდით ვხვდებით შემთხვევით მოტანილ ფორმებსა და ელემენტებს. ავტორს არ აქვს დამკვიდრებული სქემატიზმი, რომლის გამოძახილი ამ კორპუსის არქიტექტურაში (კუთხის აივნები, კიბის უჯრედთა ვერტიკალები, უსაპირო ფანჯრებით დაცხრილული ნიშნული კედლები და სხვა) არღვევს მის იდეურ-მხატვრულ ჩანაფიქრსა და ერთიანობას.

თვით ამ ერთ არქიტექტურულ ნაწარმოებშიაც კი მკაფიოდ ჩანს ახლის ბრძოლა ძველთან, დრომოქმულთან ჩვენს არქიტექტურაში. ნაგებობის არქიტექტურულ სახეში ჩანდა ძირითადი ტენდენცია საბჭოთა არქიტექტორის შემოქმედებითი მიმართულებისა. ავტორი სწორად საზღვრავს შენობის მასშტაბს ქალაქის არქიტექტურულ სახეში. იგი ცდილობს გასსნას შენობა ფართო კიბეებით, პროილევებით: ვრცელი ვესტიბიულებით, ფართო სამუშაო ოთახებით წარმოადგინოს ჩვენი ეპოქის შესაფერი ადმინისტრაციული შენობა, სადაც ხალხის საკეთილდღეოდ შრომობენ მათივე რჩეულები. ავტორმა მიზნად დაისახა ეროვნული ფორმებით შექმნა სოციალისტური შინაარ-



სის გამოხატველი ნაწარმოებია¹. ეს, მართალია, ძირითადად მხოლოდ ადგილობრივ პირობებთან შეფარდების ცდითა და ამა თუ იმ არქიტექტურულ მოტივისა და ორნამენტების გამოყენებით განისაზღვრებოდა, მაგრამ ამოცანა მაინც დასმული იყო, და ამჟამად ჩანდა მისი პროგრესული განვითარების პერსპექტივი. ავტორი ჯერ ძიების პროცესშია, სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებით გზაზე შემდგარს, მას ჯერ ხელს უშლის მანვე კონსტრუქციისტული გადმონაშთები, თვით ნაციონალური ფორმის გაგებაც ჯერ მეტად ცალმხრივია.

ყველაფერი ეს შემთხვევითი როდი იყო.

პირველი ხუთწლეულის ბოლო და მეორის დასაწყისი მთელ საბჭოთა არქიტექტურაში გარდამტეხი მომენტი იყო. საბჭოთა საქართველოს არქიტექტურაც სხვადასხვა ფორმალისტურ მიმდინარეობებთან ბრძოლაში, მემკვიდრეობისადმი ნიჰილისტურად დამოკიდებულებასთან ბრძოლაში, შედგა ნამდვილად სოციალისტური ხელოვნების შემოქმედებითი შეთოდის გზაზე. თუ წინა წლებში მთელი მუშაობა მიმართული იყო პირველადი საქიროების — კომუნალური მეურნეობის აღდგენასა და მოწესრიგებისაკენ, და პირველი ნახაჯებითა და შემოქმედებითი მიღწევებით ხასიათდებოდა (ამასთან ეს იყო ბრძოლა არა მარტო ტექნიკურ — მატერიალურ სიმწიფეებთან, არამედ იდეურ — შემოქმედებითთანაც), ახლა დაიხუა ყოველგვარ ბურჟუაზიულ-ფორმალისტურ გადახრათსა-ბოლოო ლიკვიდაციის ამოცანა, სოციალისტური შინაარსის ღრმად გახსენისა და მისი ეროვნულ ფორმებში ამტკყველების ამოცანა.

ეს ეტაპი, ისევე როგორც სხვა მომემრესპუბლიკებშიც, საქართველოშიც, ხასიათდებოდა კონსტრუქცივიზმის თანდათანობით გადალახვითა და ნამდვილი არქიტექტურული ოსტატობისადმი დაუფლების მისწრა-

ფებით. ბურჟუაზიულ — ფორმალისტული არქიტექტურის ერთ-ერთი ნაწარმოებია — კონსტრუქცივიზმი, უარყოფს კლასიკურ მემკვიდრეობას და არქიტექტურას მხოლოდ ტექნიკისა და მანქანების დანამატად თვლის. ამ მიმართულების ფენისმოყიდება ჩვენს არქიტექტურაში, მისი განვითარების პირველ ეტაპზე (პირველი ხუთწლეულის ბოლომდე) აიხსნება ბურჟუაზიული ესთეტიკის შეხედულებათა გადმონაშთებით ცალკეული ოსტატების შემოქმედებაში და იმით, რომ ახალი შინაარსის სწრაფი განვითარება წინ უსწრებდა არქიტექტურის მხატვრული პრინციპების ჩამოყალიბების პროცესს. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანად საბჭოთა არქიტექტურის განვითარება, ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებიდანვე, ახალი, საბჭოური ხელოვნების შექმნის გზაზე იდგა. ისახება გზები სოციალისტური შინაარსის ეროვნულ ფორმებში გამოხატვისა და არაფრით არ შეიძლება კონსტრუქცივიზმს მიენიჭოს განსაზღვრელი როლი საბჭოთა არქიტექტურის ისტორიის ამ ეტაპზე.

პირველი ხუთწლეულის ბოლო და მეორის დასაწყისი დამაბული შემოქმედებითი ძიების პერიოდი. ყალიბდება საბჭოთა არქიტექტურის პრინციპები, ნაგებობათა ახალ ტიპებთან ერთად ყალიბდება მათი მხატვრული სახე და მხატვრული ფორმები. ამაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს, რომლებიც ახლ პერსპექტივებს უსახავდნენ ჩვენ არქიტექტორებს.

საბჭოთა ქალაქმშენებლობისა და არქიტექტურათა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის დიდი როლი ენიჭებოდა სკპ(ბ) ცკ-ს 1930 წლის 16 მაისის დადგენილებას ყოფაცხოვრების გარდასაქმნელად მუშაობის შესახებ. 1931 წლის ივნისის სკპ(ბ) ცკ პლენუმმა მიიღო დიდმნიშვნელოვანი დადგენილება ქალაქების გეგმარებისა და კეთილმოწყობის შესახებ. პლენუმ-

¹ ეროვნული მემკვიდრეობის ათვისების შესახებ იხ. თავი IV.



მა დასახა მთელი რიგი რეალური ღონისძიებანი მოსკოვის მეტროს, მოსკოვ-ვოლგას არხის მშენებლობის შესახებ, ქალაქის მეურნეობის განვითარების შესახებ. ამ ისტორიულ დადგენილებას საბჭოთა არქიტექტურა ახალ საფეხურზე აყვავდა. იგი გაზდა მისი შემდგომი ზრდისა და ქალაქთა რეკონსტრუქციის საფუძველი. განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა სოციალისტური რეალიზმის განვითარების გზაზე საბჭოების სასახლის კონკურსმა (1931—1933 წ. წ.), რომელმაც სხვადასხვა ფორმალისტურ მიმდინარეობათა უმწეობა აჩვენა. ეს კონკურსი წარმოადგენდა გარდამტეხ მომენტს სოციალისტური არქიტექტურის ისტორიაში. მან ჩვენი არქიტექტურა სოციალისტური რეალიზმის ფართო გზაზე დააყენა. საბჭოთა არქიტექტურთა სახელმძღვანელო პრინციპად გადაიქცა საბჭოების სასახლის მშენებლობის საბჭოს 1932 წლის 18 ივლისის დადგენილება, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ «Не предвзятой определению стилия, Совет строительства считает, что поиски должны быть направлены к использованию как новых, так и лучших примеров классической архитектуры, одновременно опираясь на достижения современной архитектурно-строительной техники»¹.

1932 წ. 23 აპრილს სკ(ბ) ცკ-ში მიიღო ისტორიული დადგენილება ლიტერატურულ-მხატვრულ ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ, რომელმაც გააერთიანა ჩვენი ქვეყნის ხელოვნების მუშაკები ერთ მონოლითურ არმიად. ამ დადგენილებით საბოლოოდ განადგურდა ყოველგვარი ჯგუფობრივობა, რაც ხელს უშლდა ჩვენი ხელოვნების სწრაფ ზრდას.

ყველა ეს დიდმნიშვნელოვანი დადგენილება და ღონისძიებანი, რომელთა სახელმძღვანელო დოკუმენტებს წარმოადგენენ საბჭოთა ხელოვნების მუშათათვის, ახალ ძაღსა და ენერჯის მატებლენ არქიტექტორებსა და მშენებლებს შემოქმედებით მუშაობაში.

ბუნებრივია, ყველა ამ დადგენილებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა საქართველოს, ისევე როგორც ყველა მოძმე რესპუბლიკის არქიტექტურისათვის, რომელთა განვითარების მთელი ისტორია მკიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან.

საქართველოს მთავრობის სახლის „ბ“ კორპუსი და კონკურსი მის დაპროექტებაზე წარმოადგენს სწორედ ჩვენი არქიტექტურის ისტორიის ამ ეტაპის დამახასიათებელ მოვლენას. მთავრობის სახლის არქიტექტურაზე მუშაობა თანხდა ამ ისტორიულ მოვლენებს საბჭოთა არქიტექტურულ ცხოვრებაში. ამიტომ მასზე მკაფიოდ ჩანს პროგრესული და დრომოქმედის წინააღმდეგობანი.

მიუხედავად მთელი რიგი ნაკლოვანებისა, სერიოზული ნაკლოვანებებისა, რაც ჩვენ შენობის არქიტექტურული ანალიზის დროს ვაჩვენეთ, საქართველოს სსრ მთავრობის სახლის „ბ“ კორპუსის ავტორი ვიქტორ კოკორინი თავისი მუშაობის მეთოდს ძირითადად სწორად განსაზღვრავდა. ე. ი. მას უკვე გაგებული ჰქონდა ძირითადი პრინციპები სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდისა. არქიტექტორს განსაზღვრული ჰქონდა მთავრობის სახლის იდეურ-მხატვრული მნიშვნელობა ქალაქის არქიტექტურულ სახეში. იგი მას დიდი მასშტაბითა და მოცულობებით გამოაჭყოფს გარეშეშო განაშენიანებისაგან. შენობა ქალაქის ბევრ წერტილებიდან აღიქმება, იწყობს ყურადღებას. შენობის დაგეგმარების კომპოზიციური საფუძველად ავტორი გამოიყენებდა სივრცით ღერძს ილებს, შენობის ხსენის მომსვლელობისათვის, ხალხისათვის. შენობის გეგ-

¹ «За Социалистическую архитектуру» М. 1937, стр. 10.



მას მოხერხებულად, მკაფიოდ და სადად წყვეტს. ვესტიბიულები, სამუშაო ოთახები, ნათელი და ვრცელია, დერეფნები განიერია და კარგად აკავშირებენ ოთახებს ერთმანეთთან. ღია ტერასები კარგ გადასასვლელებს ქმნიან შენობაში. არქიტექტორი მომუშავეებს უქმნის სათანადო პირობებს, ჩანს ზრუნვა საბჭოთა აღამიანებისადმი. შექველდრობის ათვისებას არქიტექტორი თვითმიზნად არ აქცევს. ფართოდ იყენებს მასათა და ფორმათა კლასიკურ პროპორციულ გადაწყვეტას. ნაციონალური მემკვიდრეობის გამოყენება ჯერ ძირითადად მხოლოდ ცალკეულ მოტივთა ხმარებაშია, მაგრამ ავტორი შენობას ძველი არქიტექტურის ასლად კი არ აქცევს, არამედ სრულიად თანამედროვე სახეს ანიჭებს მას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრეთვე ახალი კონსტრუქციული და საამშენებლო მასალების თამამი გამოყენება, რაც პირდაპირ კავშირშია სოციალისტური რეალიზმის ბუნებასთან.

საბჭოთა არქიტექტურის განვითარების ამ ეტაპზე აშკარად გამოჩნდა, რომ ფორმალისტური მიდგომით ვერ გადაწყდებოდა საბჭოთა არქიტექტურის წინაშე მდგომი

ამოცანა. ცხადი იყო, რომ არქიტექტურულ ფორმათა კონსტრუქციისტული ხარისხი და გააზრება არ შეეფერებოდა, ხელს უშლიდა ახალი, სოციალისტური არქიტექტურის წინსვლას. ეკლექტიზმი და ცალკეულ მოტივთა დახვეწილობა კი არა, არამედ არქიტექტურული ორგანიზმის ერთიანობა და მთლიანობა, მაღალი იდეური ჩანაფიქრის მაღალხატვრული ფორმით ამეტყველება, — აი რა საკითხი იდგა მთელი სიგრძე-სიგანით არქიტექტორთა წინაშე.

მთავრობის სახლის არქიტექტურულ სახეში გამოჩნდა ეს ტენდენცია ჩვენი არქიტექტურულ-შემოქმედებითი მიმართულებისა. ამავე დროს მან აჩვენა, რომ ფორმალისტურ მიმართულებებს არ ძალუძს გადაწყვიტოს, დააკმაყოფილოს ხალხის ესთეტიკური მოთხოვნილებანი. ახლისა და ძველის ბრძოლა, შემოქმედებითი ძიება — სოციალისტური არქიტექტურისათვის ბრძოლის პროცესს წარმოადგენდა. სწორედ ეს საზღვრავს საქართველოს მთავრობის სახლის ზედა, „ბ“ კორპუსის მნიშვნელობას ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორიაში.



1. ქალაქთმშენებლობითი მნიშვნელობა

მთავრობის სახლი თავისი ღრმა იდეური შინაარსითა და დანიშნულებით წამყვან არქიტექტურულ ნაგებობას წარმოადგენს სოციალისტური ქალაქის ანსამბლში. ამიტომ მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქმშენებლობის თვალსაზრისითაც. მთავრობის სახლს უმეტესად ქალაქის ცენტრალურ-ადმინისტრაციულ მოედანზე აგებმარეზენ ხოლმე, სადაც ტარდება საზეიმო მანიფესტაციები და სხვ. მეორე შემთხვევაში მთავრობის სახლისათვის ადგილი ირჩევა რომელიმე მთავარ მაგისტრალზე და მისი

საქართველოს მთავრობის სახლისთვის ადგილი რუსთაველის პროსპექტზე, მის სამხრეთ ნაწილში — ლენინის მოედანთან ახლოს, ყოფ. სამხედრო ტაძრის ადგილზე, იქნა შერჩეული.

თავიდანვე, პროექტის შედგენის დროსავე, არქიტექტორი ვ. კოკორინი იყენებდა რართულ რელიეფს, მთავრობის სახლის კომპლექსს ისე წყვეტდა, რომ მას პროსპექტზე, და საერთოდ, ქალაქშიაც, დომინანტის მნიშვნელობა მოეპოვებინა. 1933 წელს აშენებული „ბ“ კორპუსი ამას აღწევდა კიდევ მაგრამ, თუ მთავრობის სახლის ზედა კორპუსი ქალაქის მრავალ ადგილიდან იპყრობს ყურადღებას, მაინც უნდა ითქვას, რომ ამას იგი აღწევს უფრო თავისი აბსოლუტური ზომებით, ვიდრე მხატვრული გადაწყვეტით. თვით მშენებლობის კონკრეტული ადგილი, გარშემო მკიდრო განაშენიანებით, არ იძლეოდა საშუალებას მიეღო ქალაქისათვის — ვერტიკალური მოცულობისა, თუ მსგავსი გადაწყვეტის შექმნით, მორგანიზებული დომინანტის სწორედ აქ დანისათვის. (ამიტომ სამართლიანად მიუთითებდნენ არქ. ლ. ჭანელიძის საკონკურსო პროექტზე, სადაც ვერტიკალური მოცულობით იყო წარმოდგენილი შენობა, როგორც ნაკლებად რეალურზე და რომელიც არ ითვალისწინებდა კონკრეტულ პირობებს). რუსთაველის პროსპექტის ანსამბლში ჩაწე-



სურ. 9. რუსთაველის პროსპექტი. სქემა

მხატვრული სახე წყდება ისე რომ საერთო განაშენიანებაში დომინანტის მნიშვნელობა კმინდეს. საქართველოს სსრ მთავრობის სახლი მეორე შემთხვევას შეეფერება.



როსს ავტორებმა სწორად გადაწყვიტეს ამოცანა.

რუსთაველის პროსპექტის განაშენიანებას მსხვილი მასშტაბებია, რაც საქართველოს მეზუემის რეკონსტრუქციით (არქ. ნ. სევეროვი, 1929) დაიწყო და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობაში (არქ. ა. შნუსევი, 1933) უკვე სრულიად ჩამოყალიბებული სახე მიიღო, მთავრობის სახლის არქიტექტურაში საბოლოოდ დამკვიდრდა. შეიქმნა მთელი პროსპექტისათვის ერთიანი მასშტაბი. მთავრობის სახლისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის შენობის მთავარი ფასადის აბსოლუტური ზომები თითქმის ერთნაირია. ფასადის არქიტექტურის ძირითადი ელემენტი — კოლონადა ორივეგან თითქმის ერთი სიმაღლისაა, (ინსტიტუტი — 16,75 მ., მთ. სახლი — 16,05 მ.). პროსპექტის საერთო განაშენიანების სიმაღლის დაცვით, მთავრობის სახლი ორგანულადაა ჩაყვრილი პროსპექტში. ავტორებმა საერთო განაშენიანებიდან აბსოლუტური ზომებით კი არ გამოჰყვეს ნაგებობა, არამედ მისი იდეურ-მხატვრული გადაწყვეტით.

შენობა შეწყულია ქუჩის სიღრმეში. მთავარი ფასადის ქუჩის ანსამბლში ჩართვისას, მისი პროპორციული გადაწყვეტა დაკავშირებულია ფასადის აღქმის ყველაზე ხელსაყრელ პირობებთან. ფასადის სიმაღლისა და ქუჩის სიგანეს შორის პროპორცია ისეა შერჩეული, რომ აღქმისათვის რაც შეიძლება უკეთესი პირობა იყოს შექმნილი: რუსთაველის პროსპექტის მეორე მხრიდან, საიდანაც ყველაზე მეტად იკითხება ფასადის ფორმალური კომპოზიცია, მთავრობის სახლის სიმაღლე 30°-იან, ე. ი. ოპტიმალურ ხედვის კუთხეში თავსდება.

შენობა შეწყულია წითელი ხაზიდან 15 მეტრით. კბეების გარეთ გამოწვევითა და პროპორციების ორივე მხარეს ქანდაკებათა ჯგუფების დადგმით, შენობის წინ მუვანე ნარგავებთან, ცოკოლთან მკიდრად დაკავშირებული ტერასებით, ავტორებმა პროსპექტში მონუმენტურ ფორმებში გადაწყვეტით, მას წამყვან როლს ანიჭებენ პროსპექტზე.

რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ ანსამბლს, ბუნებრივია, ქმნის, როგორც ახალი, ისე ძველი შენობებიც. პროსპექტის განაშენიანებაში არის როგორც მწკრივი მდგომი სახლები (საქ. მუზეუმი, „ინტერსტი“, კინო „რუსთაველი“, სასტუმრო „თბილისი“, რუსთაველის სახ. თეატრი, ოფიცურთა სახლი და სხვ.), ისე გამოყოფილი შენობები (გალერეა, თეატრის თეატრი, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი). სამხატვრო გალერეასა და თეატრის თეატრს, თუმცა ორივე მხარეს აბზაცებში აქვთ შექმნილი გამწვანების სახით რასაც პროსპექტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ძირითადად მიანიჭებენ მწკრივში (წითელ ხაზზე) დგანან.

პროსპექტის განაშენიანებაში მთავარ აქცენტებს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის შენობა და მთავრობის სახლი სვამენ. უკანასკნელს დომინანტის მნიშვნელობა აქვს მიანიჭებული. იგი ორმადაა პროსპექტზე შიგნით შესული. მის მეფიოდ გამოყოფას, ცხადია იდეურ-ფუნქციური საფუძველი აქვს უმაღლესი სახელმწიფოებრივი ორგანოების შენობა, რომელიც ჩვენი დროის მონუმენტურ ძეგლს წარმოადგენს.

მთავრობის სახლის ქუჩის სიღრმეში შეწყვეა ამ მონაკვეთზე შესაძლებელი გახდა იმითაც, რომ გვერდზე მდგომი პიონერთა სასახლე და სკოლა აგრეთვე უკანა დაწვეული (რეკონსტრუქციის გეგმით სკოლის წინ ერთსართულიანი უნივერსიტეტი აღებული უნდა იქნას). რუსთაველის პროსპექტიდან მთავრობის სახლის ფრონტი უცბად კი არ შედის სიღრმისკენ, არამედ თანდათანობით — პიონერთა სასახლისა და სკოლის მხრიდან. ამიტომ შენობის სიღრმეში შეწყვეა ორგანულად ირთება პროსპექტში. რომელმაც ამ ადგილზე იცვალა მასშტაბი, არა

მარტო მთავრობის სახლის სიდიდის გამო, არამედ ქუჩის დიდი სივანის გამოც.

მთავრობის სახლი, როგორც თქვა, დომინანტია პროსპექტზე. მაგრამ იგი არ არღვევს პროსპექტის დინამიკას, რადგან მთელ ფონტზე ერთიანი თაღლითაა გადაწყვეტილი და გვერდებზე რიზალიტები სწორედ ამიტომ არ არის საჭირო (ზოგიერთი კრიტიკოსი ამას ნაკად უთვლის შენობის ფასადს). ცენტრის მკაფიოდ გამოვლენა, რაც საესეებითაა მიღწეული ფასადზე, საკმაო მახვილს სვამს, გვერდითი რიზალიტები კი

შენობის არქიტექტურას უფრო მოედინათ თვის შესაფერის გახდიდა ვიდრე ქუჩისთვის. სკულპტურული გამოსახულებანი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალსა და მთავრობის სახლის ფასადებზე — ძლიერ იდეურ შინაარსს ანიჭებენ პროსპექტს.

როგორც დაინახეთ, მთავრობის სახლის ავტორებმა შენობა ორგანულად ჩართეს ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალში და მას დომინანტის მნიშვნელობა მიანიჭეს. იგი თავიდანვე იპყრობს მხახველის ყურადღებას და თავისი ამაღლებული მასშტაბურობით გამოირჩევა განაშენიანებაში.


2. გეგმა და ინტერიერი

1953 წელს დამთავრდა საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მთავარი (წინა) კორპუსის მშენებლობა.

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მთავარი კორპუსი, ზედა, „ბ“ კორპუსს პროსპექტისაკენ წინ დაედგა და ამით მთავარი მნიშვნელობა მოიპოვა. შენობის წინ

სკულპტურული ჯგუფები. ტროტუარსა და ტერასებს შორის ფართო მისასვლელია ავტომანქანებისათვის.

შენობა ზეით, ეზოს მხარეს, უერთდება ძველ კორპუსს. იგი მინისტრთა საბჭოსა და უმაღლეს საბჭოს ფრთებისაგან შედგება, რომლებიც განცალკევებულია, შუაში შე-



სურ. 10. გენერალური გეგმა

გამწყანებული ტერასებია, ტერასების შუაში საზეიმო ფართო კიბეებს პროპილეგებში მივყავართ. კიბეების ორივე მხარეს, ფასადის წინ, კვარცხლბეკებზე დაიდგმება

4. 5. ჯანბერიძე

ნობის მთელ სიღრმეზე, პროპილეგების გამოკლი ღერძით. ეს ორი ფრთა ერთმანეთს უკავშირდება ზედა სართულში მოწყობილი გადასასვლელებითა და მთავარი ფასადის



ერთიანი თაღედით. მთელი შენობა წარმოგვიდგება, როგორც ერთი მთლიანი არქიტექტურული ორგანიზმი (ტაბ. 1).

მაღალი თაღედი, რომელიც თავისებურ, ერთიან ორდერს ქმნის, მთავარ ფასადზე მოცულობითაა, გვერდის ფასადებზე კი კედლის სიბრტყეზე აყოლებული პილასტრების სახითაა მოცემული. შენობის საფუძველს რუხი ფერის კერსების ტენიონტის ცოკოლი წარმოადგენს. ამ ცოკოლზე დგას ოთხკუთხა, მძლავრი ბოძები ოთხი სართულის სიმაღლისა, რომელზედაც თაღედია დაყრდნობილი. შენობის ცენტრი პროპორციების თავზე დაგვირგნებულია რელიეფურსა და სარკულად ფორმირებით: გადაშლილ დროშათა ფონზე მოცემულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი. ფასადის ორივე განაპირა მხარეს, თაღედის კამარის სივრცეს ანტები ფარგლავენ. თაღედის ღია ხუთმეტრალიან ცენტრალური სამი თალი შეესაბამება შენობის ორ ფრთას შუა დატოვებულ გასასვლელს — პროპილევებს. თუ სხვა თაღედი ამ ფრთების ფონზეა, ეს სამი გახსნილია და შენობის სიღრმეში ქმნის სივრცოვანი ღერძს.

პროპილევების ფართო კიბეებს შეეყვართ ღია ეზო-ვესტიბიულში. აქ, მარჯვნივ, უმაღლეს საბჭოს, ხოლო მარცხნივ — მინისტრთა საბჭოს მდიდრულად მორთული შესასვლელია. პროპილევები გრძელდება მთელი გამჟოლი ღერძის გაყოლებით — აღწევს შიდა ეზოს, რომლიდანაც ფართო კიბეები ათარბეგოვის ქუჩისაკენ მიემართება. ამრიგად, გამჟოლი ღერძი გადის მთავრობის სახლის მთელ სიგრძეზე და შენობას ერთ კომპლექსად კრავს.

ფასადის თაღედი, ამ ცენტრალური ღერძის ორივე მხარეს, ფრთების წინ, ჰქმნის მაღალ ლოჯიას. ფრთების კედლის სიბრტყე თაღედის მალეობის გასწვრივ, შეწყვილებულ ფანჯრებითა და აივნისანი კარ-ფანჯრებითაა დანაწევრებული. მის განაპირა მხარეებში დატოვებულია ყრუ კედლის ზედაპირი.

ფასადთა კომპოზიცია კორპუსის ფრთისათვის ერთნაირია, როგორც მთავარი ისე გვერდის ფასადებზე.

გვერდის ფასადზე, როგორც ითქვამს, თაღედის თემა პილასტრების საშუალებითაა მოცემული. მის ექვს მაღს ფასადის შუა ნაწილი უკავია. პროპილევებიდან ფასადი ყრუ კედლის სიბრტყით იწყება. ჩიტაძისა და პიკინაძის ქუჩები, რომლებისკენაცაა მიმართული გვერდის ფასადები, ძლიერ დაქანებულია. ამის გამო ცოკოლი ორ საფეხურად მიემართება ზევითკენ. კედელი აქაც შეწყვილებულ ფანჯრებითაა დაყოფილი. მეოთხე სართულზე თაღედის მაღს აივნები გასდევს. გვერდის ფასადების ქვემო კუთხეებში მოწყობილია შესასვლელები, ემბლემატურ გამოსახულებიან, თავსართებიანი პორტალებით.

ახალსა და ძველ კორპუსებს შენობის გადასასვლელი ნაწილი აერთებს. გადასასვლელის ქვეშ შიდა ეზოში შესასვლელი თაღითა. ეს გადასასვლელი ნაწილი გამოყოფილია სიღრმეში ოდნავ შეწვეთ. კედლის ქვის პერანგი აქ მოყვითალო შეღესვითაა შეცვლილი.

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის წინა კორპუსის არქიტექტურულ სახეს მისი მაღალი იდეური შინაარსი წყვეტს. შენობის დადგენილების საფუძველს ორი შემადგენელი ელემენტის ფუნქციური ორგანიზაცია შეადგენს. წინა კორპუსში მოთავსებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები: კანონმდებელი — საქ.სსრ უმაღლესი საბჭო და აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. ამ სახელმწიფო დაწესებულებათა შორის მჭიდრო კავშირი არსებობს და ამავე დროს მათ დამოუკიდებელი სახის სამუშაოს შესრულება ევალებათ. სწორედ ამიტომ, ავტორებმა შენობის გეგმა გადაწყვიტეს, როგორც ორი დამოუკიდებელი ჯგუფი, რომელთა შორის გადასასვლელთა სახით ურ-




საქართველოს
საშენობის ინჟინერების
საერთაშორისო უნივერსიტეტი

თიერთკავშირია დამყარებული

შენობის ამ უტილიტარულ — ფუნქციურ-მა დანიშნულებამ და მალაღმა შინაარსმა გადაწყვეტა მისი არქიტექტურის იდეურ-მხატვრული მიმართულება და ჩამოაყალიბა შენობის არქიტექტურული კომპოზიციის ძირითადი მომენტები (პრინციპები).

გეგმაში საფასადო კონტრასტით ერთა წარმოადგენს წაგრძელებულ სწორკუთხედს, რომლებიც ერთიანდება გადასასვლელებით.

უმალღეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ფუნქციური დიფერენცირებით შექმნილ ყოველ ჯგუფში კომპოზიციურ კვანძს გრძივ



სურ. 11. წინა კორპუსი. ცოცხლის სართულის გეგმა
1. მინისტრთა საბჭოს ვესტიბიული, 2. უმაღლესი საბჭოს ვესტიბიული, 3. ტამბური, 4. შადრევანი, 5. კვარცხლბეგი ქანდაკებისათვის, 6. პარტერული გამწვანების ტერასა, 7. ლიფთა, 8. პროაილემები.

არქიტექტორი, რომელიც ჩვენი არქიტექტურის ძირითადი პრინციპით — ადამიანზე ზრუნვის პრინციპით — ხელმძღვანელობს, საბჭოთა მთავრობის სახლის დაგეგმარებასა თანაბრად ქრნდა ითვალისწინებდა როგორც შენობაში მუდმივად მომუშავეთა, ისე მომსვლელთა მოთხოვნილებებს, უნდა ზრუნავდეს მათ დასაკმაყოფილებლად. აქედან გამომდინარეობს, როგორც სამუშაო ოთახთა რაციონალური განლაგება, მათ შორის ურთიერთკავშირის გათვალისწინება, ასევე მოსაცდელების, ვესტიბიულებისა თუ სხვა სადგომთა მოხერხებულად და მალაღმხატვრულად გადაწყვეტა.

და განივ ღერძთა გადაკვეთაზე მოთავსებული ვესტიბიულები წარმოადგენენ. ამ კვანძის გარშემო და მასთან კავშირში ჯგუფდება ყველა დანარჩენი სადგომი. დერაფენები — კულუარები, რომლებიც გარს ერტყმან ვესტიბიულს, აკავშირებენ ამ სადგომებს ერთმანეთთან და სართულებს შორის.

მთავრობის სახლში შემსვლელი პირველად გაივლის პროაილემების თაღებსა და ფართო საზეიმო კიბეებით ხვდება ოთხკუთხა ფორმის ღია ეზო — ვესტიბიულში, რომლის შუაშიც შადრევანია მოწყობილი. ეზოს ორივე მხარეს, მდლარი, მონუმენ-

ტური პორტალები მკაფიოდ გამოყოფენ მარჯვნივ — უმაღლეს საბჭოში, ხოლო მარცხნივ — მინისტრთა საბჭოში შესასვლელს.

შენობაში შესასვლელი ცოკოლის სართულზეა. ვესტიბული ერთ სივრცეში აერთიანებს შენობის ცოკოლსა და ოთხივე სართულს. იგი ზედა სინათლითაა განათებული: მინის სახურავიდან გამოსული მზის შუქი უხვად ფენს სინათლეს დარბაზის მიუღწევ სივრცეს.

ვესტიბულის კედელი ქვედა სართულში ოთხივე მხრივ დაყრდნობილია სვეტებ-



სურ. 12. წინა კორპუსი. პირველი სართულის გეგმა 1—2—ვესტიბულის ზედა სინათლე, 3—კაბინეტები.

ზე. ვესტიბულის ირგვლივ ღია დერეფნებია, რომელთაც ერთკმის სამუშაო, თუ სხვა დანიშნულებების სადგომები.

ცოკოლის სართულში მოთავსებულია გარდერობი, მოსაცდელი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სამდივნო, სამნეო დანიშნულებისა და სხვა სადგომები.

შენობაში შესვლა, გარდა საპარალო შესასვლელისა, შეიძლება აგრეთვე მთავარი ფასადის ლოჯიიდან და ჩიტაძის ქუჩის მხრიდანაც. შენობის კუთხეში, რუსთაველს პარალელურად და გვერდითი ქუჩის გადაკვეთასთან, მოთავსებულია სამსახურებრივი

კიბის უჭრედი ვესტიბული. ცოკოლის სართულის ქვევით სარდალია სხვადასხვა ტექნიკური დანიშნულების სადგომები.

პირველ სართულზე (იხ. სურ. 12) ოთახები ნაწილდება ცოკოლის სართულს მსგავსად. ეს სართული ტიპიურია შემდგომი სართულებისათვის, რომლებშიც სხვადასხვა სადგომთა დანიშნულების მიხედვით კორექტივები და ფართობის ცვალებადობაა გათვალისწინებული.

დერეფანი — გალერეა, რომელიც გარს ერტყმის ვესტიბულს, აივნების სახით გამოდის „ატრიუმის“ მხარეს. სადგომები განაწილებულია ამ დერეფნის გარშემო. მთავარი ფასადის მხარეს, პირველ სართულზე, მოთავსებულია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ერთერთი მოადგილის კაბინეტი, სამუშაო ოთახით, მდივნის ოთახითა და სანკვანძით. სამუშაო ოთახებში მოთავსებულია სხვადასხვა ვანყოფინები.

ეს სართული უკანა მხარეს შიდა ეზოს ღონეზეა. ამიტომ შენობაში შესასვლელი აქედან, ეზოსა და ჩიტაძის ქუჩის კუთხიდანაცაა მოწყობილი.

მეორე სართული ძირითადად იმეორებს პირველი სართულის გეგმას.

მესამე სართული (იხ. სურ. 13.) სხვა სართულებისაგან განსხვავებულია იმით, რომ ამ დერეფანი ვესტიბულის მხარეს დახტურულია და აივნის სახით არ გამოდის.

ამ სართულზე ჩიტაძის ქუჩისაკენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტია, სამუშაო, დასასვენებელი, მდივნის, მისაღებ და სხვ. ოთახებითა და სანკვანძით. ეს ჯგუფი გამოყოფილია, როგორც ცალკეული ბლოკი. ამ ბლოკის მოპირდაპირე მხარეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის კაბინეტია, დამხმარე სადგომებითურთ. აქვეა თანამშრომლისა და მოსაცდელი ოთახები, ამ უკვე ისევ დერეფნი გაერთიანებული. მთავარი ფასადის მხარეს მინისტრთა საბჭოს სხდომათა დარბაზია.



შენობის ძველ კორპუსისაკენ გადასახველ ნაწილში, თაღის თავზე, სამუშაო ოთახებია.

მეოთხე სართული შენობაში აერთიანებს საფასადო კორპუსის ორივე ჯგუფს. აქ პროსპექტის მხარეზე და ეზოსაკენ მოთავსებულ გადასასვლელებით მყარდება კავშირი მინისტრთა საბჭოსა და უმაღლეს საბჭოს ჯგუფებს შორის. ეს სართული მთავარ ფასადის მხარეს ყრუ კედლის სახით გამოდის. ამ კედლის „უკან“ ორივე ჯგუფში, შუაში მოთავსებულია ღია ტერასა, რაც ფასადისკენ გამოჩეკლ სადგომთა განათების საშუალებას იძლევა და დასვენების ადგილსაც წარმოადგენს. მინისტრთა

მოთავსებული, რადგანაც მას შესაძლებელია ნათება არ ესაქიროება, იგი მინისტრთა რე ყრუ კედელზე.

უმაღლეს საბჭოს ფრთის გეგმაც იმავე პრინციპზეა აგებული, რომელიც მინისტრთა საბჭოს უდევს საფუძვლად. აქაც ვესტიბული წარმოადგენს ცენტრალურ ბირთვის, რომელსაც გარს ერტყმის სამუშაო ოთახები. მაგრამ უმაღლეს საბჭოს ჯგუფში, გარდა სამუშაო ოთახებისა, არის სხდომათა დარბაზი, რამაც ბუნებრივია, ცვლილება შეიტანა როგორც ზედა სართულების გადაწყვეტაში (დარბაზი ორსინათლიანია), ისევე ქვედა სართულებში (სამი სართულის სიმაღ-




სურ. 13. წინა კორპუსი. მესამე სართულის გეგმა.
 1—მინისტრთა საბჭოს ვესტიბიულის ზედა სინათლე,
 2—მცირე დარბაზი, 3—კაბინეტები, 4—უმაღლესი საბჭოს დარბაზი, 5—ფოიე.

საბჭოს ჯგუფში ამ ტერასაზე გამოდის სამკითხველო, ბიბლიოთეკა და სხვა სამუშაო ოთახები.

გადასასვლელ დერეფნებს, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ საფასადო კორპუსის ორ ფრთას, ორმხრივ ოთახები გვერის. პროსპექტის მხარეს კინო დარბაზია

ლის ვესტიბიული დარბაზის ქვეშ, ცხადია, ზედა სინათლით აღარ ნათდება).

როგორც თავში აღვნიშნეთ, საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში შევდივართ ღია ეზო — ვესტიბიულიდან. მსგავსად მინისტრთა საბჭოს ჯგუფისა, ტამბურიდან ვხვდებით სამსინათლიან ვესტიბიულში. ვესტიბიულის



ძირითად სივრცეს ერთკმის ღია დერეფნები, რომლებიც მესამე სართულზე დახურულია. ვესტიბულის სივრცე დაგვირგვინებულია მძლავრი, ჭვაროვანი კამარით.

ცოკოლის სართულზე სამუშაო ოთახები უკავიათ სანებბა ბიუროს, მისაღებს, კომუნდატურასა და სხვა განყოფილებებს.

პირველ სართულზე (იხ. სურ. 12), პროსპექტის მხარეს, გამოდის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის კაბინეტი, სამუშაო ოთახი, თანაშემწის, პირადი მდივნის ოთახებით და სანკვანძით.

მეორე სართულზე, პროსპექტისაკენ, მოთავსებულია უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კაბინეტი მოსაცდელით, მდივნის, სამუშაო, დასასვენებელ ოთახებითა და სანკვანძით. ამ სართულზევეა სხდომათა მცირე დარბაზიც. პროპილეების მხარეს, ისევე როგორც ქვედა სართულზე პოლია.

ამ ფრთის ზედა ორი სართული უმაღლეს საბჭოს სხდომათა დარბაზს უკავია.

შენობა მესამე და მეოთხე სართულზე უკავშირდება ზედა კორპუსს.

ასეთია საქართველოს სსრ მთავრობის სახლის საფასადო კორპუსის გეგმა.

როგორც დავინახეთ, შენობის გეგმა წარმოადგენს ორ დამოუკიდებელ ნაწილისაგან შემდგარ ერთ მთლიან ორგანიზმს. დაგეგმარების ძირითადი პრინციპი ორივე შემადგენელ ნაწილისათვის საერთოა. ეს არის გეგმის ძირითადი კომპოზიციური ბირთვი — ვესტიბული და მის პერიმეტრზე სადგომთა და კიბის უჯრედის განაწილება. ეს უღვევს საფუძვლად როგორც მინისტრთა საბჭოს, ასევე უმაღლეს საბჭოს ჭკუფთა გეგმას.

ერთი სართულის გეგმა თითქმის ტიპიურია სხვა სართულებისათვის (ვიმეორებთ. სხდომათა დარბაზი გამოიწყოლის შეადგენს) ავტორები დაგეგმარების ერთიან, ძირითად პრინციპს იცავენ და ავითარებენ მას სადგომთა ფუნქციური დანიშნულების მიხედ-

ვით. თუმცა უმაღლეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ჭკუფები ატარებენ სივრცით, სიათს, ემორჩილებიან დაგეგმარების ერთიან სისტემას, ისინი სრულიად ინდივიდუალური არიან.


გეგმთა კომპოზიცია მკაფიო და სადაა. სადგომთა მოხერხებული განლაგება ქმნის სასურველ პირობებს, როგორც იქ მოსამსახურეთა, ისე მიმსვლელთათვის. მინისტრთა საბჭოსა და უმაღლეს საბჭოს ჭკუფების ცალკაღე, ერთმანეთისაგან იზოლირებული გადაწყვეტა, მათ შორის კავშირის დაქვეით, აადვილებს მიმსვლელთა ორიენტაციას.

მთავრობის სახლის წინა კორპუსის დაპროექტებისას გარკვეულ როლს თამაშობდა უკვე აგებული კორპუსის დაგეგმარების სისტემა. ავტორებმა ეს გაითვალისწინეს და მიზნად დაისახეს ძველი და ახალი კორპუსებით შეექმნათ ერთიანი არქიტექტურული ანსამბლი. იმაზე, თუ როგორი გამოხატულება ჰპოვა ამ კავშირმა ახლანა და ძველი კორპუსების ფასადთა გადაწყვეტისას, ლაპარაკი გვექნება ქვემოთ. ახლა კი აღვნიშნავთ, რომ გენერალური გეგმისათვის ეს ამოცანა სრულიად სწორადაა გადაჭრული.

ძველი (ზედა) კორპუსის II-სებრი გეგმა, რომელიც კურდონერად გამოდიოდა პროსპექტზე, ახლა მეოთხე მხრიდანაც ჩაეცეტა და რუსთაველის პროსპექტზე შეიქმნა ერთიანი შენობა. ის ძიება პროპილეების გადაწყვეტისა, რაც თან სდევდა ძველი კორპუსის კონსტრუქციის ეტაპებს, აქ გადაწყდა, მიიღო საბოლოო სახე. პროპილეების გამოქოლი ღერძი გახდა საერთო კომპოზიციის ცენტრი. ამ ხერხის მთელი დირაქება იმაშია, რომ იგი ფუნქციურად საესეათ გამოართებულა. ამ შინა კომპოზიციის დერძის შექმნით დამყარდა კავშირი შენობისა გარემომცველ სივრცესთან. მთლიანი ორგანიზმის დაუმლეულად მოხდა ფუნქციური დიფერენციაცია შემადგენელ ჭკუფთა შორის. გამოიყო ოთხივე მხარის გარშე-

მორტყმული შიდა ეზო, როგორც დაგეგმარების ერთერთი შემადგენელი ელემენტი, ე. ი. შინა კომპოზიციური ცენტრის ეს ფორმა გამართლებულია არქიტექტურული ორგანიზმის უტილიტარულ, ფუნქციური შინაარსით და, ამავე დროს, ესაბუყება შენობის მაღალ იდეურ შინაარსს, იგი ვაჟი-ხატავს, რომ შენობაში მოთავსებული მა-

ღალი დაწესებულებები საყოველთაოდ მი-საწვდომია. ამგვარად, პრივილეგიები როგორც მაგისტრის კომპოზიციურ-მხატვრული ელემენტი, ხელს უწყობს მის როგორც იდეურ, ისე ფუნქციურ შინაარსის გახსნას. ამავე დროს, იგი შენობის შიდა და გარე სივრცეს ერთ-მანეთთან აკავშირებს, თუ შეიძლება ასე




სურ. 14. წინა კორპუსის მუხამე სართულისა და ზედა კორპუსის პირველი სართულის გეგმა.

ითქვას, გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს ესტერიერიდან ინტერიერისაკენ.

არქიტექტურის ისტორიის მიუღ მანძილზე, გარედან შიდა სივრცეში გადასვლის პრობლემის გადაჭრა დამოკიდებული იყო თვით ამა თუ იმ ეპოქის მსოფლმხედველობაზე. სხვადასხვაგვარად წყდება ეს საკითხი

განზე თანდათანობით გადასვლის თვისებურ საფეხურს. ადამიანი ჯერ პრ. პირის შენობაში შესული, მაგრამ მათი არქიტექტურული ნაგებობის „მაორგანიზებული გავლენის“ ქვეშ იმყოფება (ტაბ. 34; 32; 33). აქედან შენობაში შესვლისას მას ხედება მაღალი, ნათელი ვესტიბული ერთიანი სიე-



სურ. 15. გრძივი განაკვეთი პროპილეგზე.

ბერძნულ თუ გუთურ ტაძარში, რენესანსულ თუ ეგვიპტურ არქიტექტურაში.


თანამედროვე არქიტექტურაში ეს ამოცანა ახლებურად წარმოგვიდგება. გარე სივრცეიდან შინაგანზე გადასვლის პრობლემა წყდება იმ საერთო ამოცანების შესაბამისად, რომლებიც დგას ჩვენი ხუროთმოძღვრების წინ. სადაც არ უნდა იმყოფებოდეს — აღმინისტრაციულ თუ საცხოვრებელ სახლში — ადამიანი გარე სამყაროსაგან მოწყვეტულად კი არა გრძნობს თავს, არამედ კონტაქტშია მასთან. გახსნილ, მზით საცეს სადგომებიდან ჩანს ქალაქისა თუ სოფლის პეიზაჟი.

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის წინა კორპუსში ავტორებმა შეძლეს გარე სივრცეიდან შენობის შიდა სივრცეზე პარმონულ გადასვლისათვის მიეღწიათ. ამ ასპექტში განსაკუთრებით ლოგიკურია შენობაში მთავარი შესასვლელების სწორედ პროპილეგების ღია ეზოდან მოწყობა.

მთელი ნაგებობის წამყვანი კომპოზიციური ღერძის — პროპილეგების სივრცეობლივი გადაწყვეტა ქმნის გარე სივრცეიდან შინა-
56


რციით, რის შემდეგ იგი შედის სამუშაო ოთახებში. ე. ი. აქ სივრცეობლივი გადაწყვეტის თანდათანობითი აღქმა ხდება. გარე სივრცე შიდას ჰარმონულად უკავშირდება. შიდა და გარე სივრცე თითქოს ერთიანდება.

ჩვენ დაინახეთ, რომ შინისტრუა საპქოს შენობის სადგომთა შორის მთაჯარა ვესტიბული წარმოადგენს ცენტრალურ კვანძს, რომლის გარშემო ჯგუფდება სხვა ოთახები. მას მთავარი ადგილი აქვს მიკუთვნებული, რაც ხაზგასმულია როგორც თვით მისი ადგილით ვეგმაში, ისე სხვადასხვა მხატვრული ხერხებისა და საშუალებების, არქიტექტურულ — სივრცეობლივი, თუ მათჯარული მორთულობის ელემენტების გამოყენებით. მისი სივრცე აერთიანებს შენობის სადგომებს, როგორც ჰორიზონტულად, ისე ვერტიკალურად. ყოველი სართული უკავშირდება მას. შექმნილია კომპოზიციის ვერტიკალური ცენტრული ღერძი, რომელსაც ემორჩილება მთელი დაგეგმარება. ინტერიერის ცენტრული კომპოზიცია საზღვრავს მის არქიტექტურულ სახეს (ტაბ. 22; სურ. 16).



ვესტიბულში შემსვლელი მაქსიმალურად აღიქვამს სივრცეს, მისგან მთლიან შთაბეჭდილებას ღებულობს. იმის გამო, რომ სალარბაზო კიბეები შესასვლელი კარების პირდაპირ კი არ არის, არამედ გვერდზეა, სივრცის აღქმა უფრო მთლიანად ხდება. მაყურებელი პირდაპირ კი არ შეუღებება

ვესტიბული მოყვითალო ტონითაა მონაცემული, რომელიც ძალიან ნათელია, თუმცა არა მყვინარია. ზეფითევენ ეს ტყვინარაღდება. ჰერისათვის სასიამოვნო სალათისფერი — მოთეთრო ტონია შერჩეული, რაც კარგად უერთდება გუმბათისმავარ გადახურვის მჭრქალ მინის ფერს.



სურ. 16. მინისტრთა საბჭოს ფრთა. გრძივი განაკვეთი.

კიბის მარშს, არამედ ჯერ გარეშემო სივრცეს მიმოიხილავს.

უხეი სინათლის ნაკადი ზეუოჰან, არქიტექტურული ელემენტების მოცულობანი, სვეტები — მათ შორის თავისუფლად ჩადგმული გამკვირვალე მოაკირაჰ — მთელი არქიტექტურა „სუნთქავს“ ჰაერით. აქ შზის მუქი წარმოადგენს ინტერიერას: სავრცობლივი ორგანიზაციის გამოვლენის ერთერთ ფაქტორს. ძირითადი კომპოზიკურა კვანძის მეტი მუქით მოფენა ხაზს უსვამს მის წამყვან ადგილს კომპოზიკიაში.

ვესტიბულში საზვიამო განწყობილებისა და შთაბეჭდილების შექმნას ღდალ უწყობს ხელს საერთო ფერადოვანი ეფექტი: ვესტიბულის მსუბუქი, მაჰორული კოლორითი.

ვესტიბულის საერთო კოლორითი ფერთა დაპირისპირებზე იგება. კელუბის მოყვითალო ტონს, ძლიერ მგლევი, პოლიტრომიული ნახატით შედგენილი იატაკი უპირისპირდება (ტაბ. 24). ასევე გამოიყოფა ვესტიბულში სვეტები, რომელთაც მუქი ყვითელი ფერი აქვთ. მიცემული. იატაკის მუქი ფერები, გეომეტრიული ნახატი, მტკიცე საფუძემდლს წარმოადგენს ინტერიერის საერთო კოლორითში. წითელი, ნაცრისფერი, მოშავო და თეთრი ფერების სხვადასხვა ვარიაციები ერთიან ფერადოვან გამას ადგენენ, რაც ნათელ ვესტიბულში მტკიცე აქცენტს იძლევა.

იატაკი ვესტიბულის არქიტექტურაში ერთერთ წამყვან როლს იკავებს. მისი ნახა-



ტი მოცემულია ისე, რომ თავიდანვე იგრძნობა სადგომის ცენტრული კომპოზიცია.

თეთრი მარმარილოს ფართო კიბეები ორგანულადაა ჩართული ვესტიბულში. ყრუ, სადა შოაჯირი (იმავე მასალისავე რაც საფეხურებია) მკაცრ გამომეტკეულებას აძლევს და ხაზს უსვამს მის მონუმენტურობას.

მინისტრთა საბჭოს მთავარი ვესტიბულის კომპოზიციას საფუძვლად ორღერული საწყისები უდევს. მაგრამ თვით ორღერის ხორცშესხმაში გამოხატულია მხატვრული ფორმის ახალი გაგება.


ძირითადი, მზიდავი კონსტრუქციული ელემენტი აქ სვეტია. ქვემო სართულში ბურჯებია, მათზე მიყრდნობილი კორინთული ნახევარსვეტით. ზედა სართულის თაღები უფრო მსუბუქი და მცირე ზომისაა. ინტერკოლუმნიუმში მცირდება, თალიც მსუბუქდება და ვიწროვდება. მაღლა, შერია არქიტრავულ გადახურვას უკავია, სვეტები „ღარბაზულ“ დედაბოძის ფორმისაა, ქვევითკენ შევიწროვებული ფუძით.

მესამე სართულის კედლის სრულიად სადა სიბრტყის ცენტრში შეწყვილებული თაღედია, შუაში გრეხილი სვეტით (ტაბ. 23). ეს მცირე დეკორატიული მომენტი, მხატვრულ კონტრასტს ქმნის კედლის გლუვ ზედაპირთან და აცოცხლებს მას. კედელი არაა მძიმე, მასზე აქცენტები (წყვილი საკმელო, ნიშები, მათი განლაგება და შეფარდება კედელთან) ერთგვარად „ამსუბუქებს“ მას.

შესასვლელის მოპირდაპირე კედელზე ყრუ ფანჯრები, ნიშებია გაკეთებული, ეს კედელი ავტორებს მთლიანად რომ ყრუ დავტოვებინათ, იგი გამოეთიშებოდა კედლის ერთიან გადაწყვეტას და დისონანსს შეიტანდა საერთო შთაბეჭდილებაში. სწორედ ამიტომ, ავტორებმა ამ კედელზე ნიშები მოათავსეს, რაც ესიტყვება ვესტიბულში კედლის საერთო დამუშავებას.

ვესტიბულის ცენტრულა კომპოზიცია, მისი ვერტიკალური ღერძი, გაწონასწორებულია

ბულია ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დანაწევრებათა ურთიერთკავშირით. ვერტიკალურ ელემენტთა მეტრული განლაგება ქმნის ჰორიზონტულ რიგს, რაც ვერტიკალურ ღერძს აწონასწორებს. კედლის დანაწევრება, მისი პროპორციები: მკაფიოდ ხდის ინტერიერის კომპოზიციურ გადაწყვეტას, ააღვილებს მის წაკითხვასა და გაგებას. არქიტექტურული ფორმები ზევიითკენ მსუბუქდება. ასეა სვეტებიცა და ვალერეთა პარაპეტებიც.



სურ. 17. მინისტრთა საბჭოს ვესტიბულის პროპორციული აგების სქემა

სინათლე ვესტიბულში, როგორც უკვე ითქვა, ზევიდან შემოდის. ავტორებმა ამავე პრინციპს დაუმორჩილეს ხელოვნური განათებაც. ისევე, როგორც გუმბათისებურ გადახურვის შიგნით, მეოთხე სართულზე, ზედა სვეტების ქვემოთ, მთელ პერიმეტრზე „ღლის სინათლის“ ელემენტრიათურებიანია სოფიტია, რომელიც ისევ ზევიდან ჰყვანს შუქს ვესტიბულს. ამის გამო, პლაფონის გადაწყვეტა ღამითაც არ ჰკარგავს ლოგიკურობას.



ამრიგად, შინსიტრთა საბჭოს ვესტიბიული თავის მასშტაბით და ჰორიზონტული დანაწევრების მშველი რიტმით, თავისუფალი ერთიანი სივრცით, მკაფიო და ფერადოვანი ელვადობით — მიუხედავად თავისი დიდი აბსოლუტური სიმბოლისა, კი არ აწევება ადამიანს, არამედ ეფარდება მის მასშტაბს და საზეიმო განწყობილებას ქმნის.

ვესტიბიულის არქიტექტურულ გადაწყვეტას აქვს ზოგიერთი ნაკლავებანი. მაგალითად, მეორე სართულზე შეცვლილია ქვედა თაღების ბიჯი, რაც თაღების სიმბოლითაა გამოწვეული და კედელზე, კიბეების მხარეს, ვერ იქნა აცილებული მხატვრული უთანხმოება, რაც ცენტრალურ სვეტზე აშკარად ჩანს: რადგანაც შუა თაღი ამაღლებულია და კედლის შუბლი მცირდება, ზედ ნაღს შუაში დადგმული სვეტი უსიამოვნო გრძნობას იწვევს (ტაბ. 22).

კორინთული კაპიტელი და სვეტის პროპორციები მეტ დახვეწას საჭიროებენ. აკანთება კაპიტელზე ზედმეტად გადმოშლილია, რაც პირველ შეხედვისთანავე თვალში ეცემა ჩაყურებელს. ნაკლებად უკავშირდება ერთმანეთს კაპიტელის და მოაჯირის ორნამენტის ნახატი, რაც მათ შორის სტილისტურ უთანხმოებას იწვევს.

განხილულ ვესტიბულში ყველაფერი თავდაპირველი განზრახვის მიხედვით არაა შესრულებული: ზოგან ფორმები შეიცვალა, ზოგან მასალა. მაგ. თავდაპირველად მოაჯირები გაფიქსირებული იყო ლითონისაგან, შემდეგ კი ცემენტითა და თაბაშირით შეიცვალა. მასალის ცვლასა საჭირო იყო მეტად შეცვლილიყო ნახატი. ახლა პირველი სართლის მასიური მოაჯირი აქრული მოტივებით, რომლებიც ხელოვნურადაა ჩართული ორნამენტში — მიუხედავად იმისა, რომ ფაქტურა კარგად არის იმიტირებული, მაინც არ ტოვებს სასურველ შთაბეჭდილებას.

თუ შინსიტრთა საბჭოს ვესტაბიული თავისი ერთიანი თავისუფალი სივრცით, დი-

დი გამომეტყველებით, მაინც, მკაცრ საქმიან სახეს ატარებს, უმაღლესი საჭიროების ვესტიბიული მეტად არის მორთული დიდი რაოდენობის მხატვრული ელემენტებით და უფრო საზეიმოდ გამოიყურება (ტაბ. 25; 26). ეს ასეც უნდა ყოფილიყო: უმაღლესი საბჭოს ვესტიბიული ემსახურება როგორც ამ ფრთის სამუშაო ოთახებსა და კაბინეტებს, ასევე სხდომათა დარბაზს, რომელიც მთელ შინობაში ხალხით ყველაზე მეტად დატვირთული სადგომია.

გრანდიოზული ჯვაროვანი კამარით გადახურული ვესტიბიულის სივრცე აერთიანებს შინობის სამ სართულს. ჯვაროვანი კამარა ეყრდნობა ვესტიბიულის პერიმეტრზე განლაგებულ 22 მძლავრ სვეტს. სართულები მკაფიოდაა გამოყოფილი, როგორც აივნებად გამოსული დერეფნების, ისე მძლავრი ანტაბლემენტის საშუალებით.

შინსიტრთა საბჭოს ვესტიბიულთან შედარებით აქ სულ სხვა პროპორციებია, არქიტექტურა მასიური, მძიმეა.

დანაწევრების მთავარ ელემენტს დიდი ორდერი წარმოადგენს. გარდა თავისი არქიტექტურული ფორმებისა, იგი თავის ფართობს გამოიყოფა ინტერიერში. ხელოვნური მარმარილოს შავი სვეტები, მეტი ფრიზი და კაპიტელები — ბრინჯაოსმავარი იერთი — მკაფიოდ გამოირჩევიან საერთო კოლორიტში.

სვეტების სიმძლავრე რომ გამოყონ, ავტორები იყენებენ ცნობილ ხერხს: მათთან ათავსებენ ვიწრო, ერთმანეთსაგან დაშორებულ რიგებს და ამ კონტრასტითაც აღწევენ საერთო არქიტექტურაში სვეტებისათვის ხაზგასმას.

თუმცა სადარბაზო კიბეები თვით ვესტიბიულის ფარგლებიდან გატანილია, მისი შესასვლელი მკაფიოდაა ხაზგასმული. შესასვლელის ღია შუა მალი, ორნამენტული ხალიჩით დაფარული პილონები, ღია ლუნეტი ორნამენტირებულივე არსით — ერთ-




ბაშად ხედება შემსვლელს თვალში (ტაბ. 26ა).

ვესტიბიულის არქიტექტურული სახე მხატვრულ კონტრასტებზეა აგებული. მდიდრულ, მაგრამ სადა გეომეტრული ნახატის მქონე მარმარილოს იატაკს, ორღერის მოდულსა და მუქ ფერს, კამარის ორნამენტირებულ კუთხეებს, ლუნეტის დეკორატიულ მონარჩობებს უბირისპირდება ჭვაროვანი კამარის გლუვი ზედაპირი, კამარისა და კედ-

თულობის მასშტაბი. დიდი ზომის კონკრეტული გრეხილი თითქოს უნდა უფრო მაგრამ ვესტიბიულის საერთო, მსხვილ მასშტაბთანაა შეგუებული და უკავშირდება მის ერთიან არქიტექტურულ სახეს.

უმაღლესი საბჭოს ვესტიბიულის არქიტექტურა თავისი მასშტაბურობითა და ფორმათა მონუმენტალობით ამაღლებულ განწყობას ქმნის მომსვლელში, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ის შთაბეჭდილება, ის ტონუ-



სურ. 18. წინა კორპუსი. ვანიი განაკვეთი

ლების ღია ტონი, პარაპეტა ეიწრო რიკულები და ა. შ.

ერთერთი მთავარი როლი ვესტიბიულის არქიტექტურაში გრანდიოზულ ჭვაროვან კამარას და მის მორთულობას ენიჭება. კამარას კუთხეებში მცენარეული ორნამენტი ავსებს. ქართული ჰედერი ხელოვნების ნიმუშებიდან აღებული მოტივები, რთულ, მაგრამ მკაფიოდ აღსაქმელ ნახატს ქმნიან. ყლორტები ორგანულად ერთვის გრეხილ „თოქს“, რომელიც კამარის წიბოებს მისდევს. იგი შუაში ქმნის ერთმანეთში გადახლართულ ფოთლების ოთხკუთხა კვანძს, რაც კლასიციზმის საფუძველს წარმოადგენს. ავტორებს კარგად აქვთ მოძებნილი ამ კუთხეების რელიეფური ორნამენტული მორ-

სი, რაც მინისტრთა საბჭოს ვესტიბიულშია, მაინც არ არის. ამაში თავის როლი ითამაშა შექმნა: ბუნებრივი განათების ნაკლებობამ შესაძლებელია, ამაზე მოქმედებდეს ფერთა კონტრასტებზე აგებულ საერთო კოლორიტში, მუქი შავი სვეტები და ანტაბლემენტოც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვესტიბიულის არქიტექტურა მსხვილი მასშტაბით არის გადაწყვეტილი. მაგრამ ავტორები ზოგჯერ სცილდებიან საზღვარს და ზოგიერთ ელემენტებს ზედმეტად ზრდიან, რაც რა თქმა უნდა, მასშტაბურობასთან პირდაპირ პროპორციული არ არის: მასშტაბურობას მართო ცალკეულ ელემენტთა აბსოლუტური ზომები როდი განსაზღვრავენ. ორღერის



მოცემისას სვეტებისა და კაპიტელების ურთიერთფარდობა ისეთია, რომ კაპიტელი ზედმეტად მასიური ჩანს. ამას კიდევ უფრო ამოიკრებს სვეტების ენტაზისი. სვეტი ყელთან განსაკუთრებით ვიწროა. ამის გამო სვეტისათვის თუ ცალკე აღებული შეფარდება ავტორების მიერ ვესტიბულისათვის შერჩეულ მასშტაბს—სვეტთან ერთად (და ასე იეთხება იგი ყოველთვის) იგი ჰარმონიულობას ჰკარგავს, სვეტს ეკარგება სიმშაბრე. სინამდვილეში მზიდავი—დეკორატიულს ემსავსება.

ამ სვეტისათვის ზომები ზედმეტი სიმძიმის შთაბეჭდილებას ტოვებს აგრეთვე ბირეული სართლის გალერეაში.

ვესტიბულიდან ზევით ასელების მომსვლელობა უნდა გაიაროს პირველი სართულის დერეფნის ქვეშ. მისი სიმაღლე მხოლოდ სამ მეტრს აღწევს. მაღალ, სამსინათლიან ვერცელ ვესტიბულიდან ამ დაბალ გადახურვის ქვეშ გავლა უსიამოვნო გრძნობას იწვევს (ტაბ. 26).

ფართო, სადარბაზო კიბეებს ვესტიბულიდან ზედა სართულებზე აყვავართ. ამ კიბეების გაბარატები, მასალა, მოაჯირი და განლაგება, ზუსტად იმეორებს მინისტრთა საბჭოს კიბეების სახეს. ამ კიბეებით ავლივართ უმაღლეს საბჭოს სსდომათა დარბაზშიც.

უმაღლეს საბჭოს სესიათათვის განსაზღვრული სსდომათა დარბაზი 920 კაცს იტევს (ტაბ. 26).

დარბაზი გევამში წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს. იატაკი თანდათან წაღრღობა და ხედვისთვის კარგ პირობებს ქმნის. დარბაზის არქიტექტურა ისეა გადაწყვეტილი, რომ თავიდანვე იგრძნობა კომპოზიციური მახვილი პრეზიდუმის ადგილზე: ესტრადა ზანგასმულია ინტერიერის ყველა მხატვრულ საშუალებათა შესანიშნავი მართვით. შეწყვილებული სვეტები, მათ შორის დიდი თავისუფალი მალი, შეტეხილი

არქიტრავი და კედლის შებენიანი ელემენტური კარტუში, აქცენტს სვამენ მასზე. დარბაზის მხატვრული სახის მართვით ბებაზე ძირითადად მოქმედებენ ზედა განათების პრინციპი და იარუსებია შოთავსება—რომელიც იწვევენ როგორც პლაფონის გადაწყვეტას, ისე ორდერს შერჩევასაც.

დარბაზის ინტერიერის ძირითად დანაწევრებას ორი სართულის სიმაღლის დიდი ორდერი წყვეტს. ავტორები, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში (მაგ. ვესტიბულის ორდერი), არც აქ მისდევენ ბრძედ კლასიკურ ორდერთა აგების სქემას, მოცეკული ამოცანიდან გამოდიან და ამის მიხედვით წყვეტენ ორდერის საერთო პროპორციას. სხდომათა დარბაზში ანტაბლემენტი ჰაღალია და წონასწორობა მის დამქვერ სვეტების გაზარდით კი არ არის მიღწეული (ზადან უფრო მასიური სვეტები დაამძიმებდა ინტერიერის არქიტექტურას), არამედ ერთი მხრივ სვეტების შეყენებით მაღალ კვარცხლბეკზე—ხლო მეორე მხრივ თვით ანტაბლემენტის დამუშავებით. ანტაბლემენტი გადაწყვეტილია ისე, რომ პლაფონთან ერთ მთლიანშია გაერთიანებული; რაც არ თიშავს ანტაბლემენტს ცალკე და ამიტომ მისი აბსოლუტური ზომა არ ამძიმებს არქიტექტურას. მცენარეული ორნამენტით შემკული ფრაზი, ანტაბლემენტის თითქმის ყოველ წერტილიდან რაყურსში ათვისების გამო, თითქმის ამთავრებს მთელ სიმაღლეს, რაც მხედველობით ამცირებს სვეტებზე დაყრდნობილ სიმძიმეს.

მრგვალი სვეტების წახანაგოვანი კვარცხლბეკი მოპირკეთებული მოკრიალებული ხით, გაერთიანებულია ლოყების მოაჯირთან. რაც დარბაზის მთელ პერიმეტრზე სვეტებისათვის საერთო საფუძველს ქმნის.

ჭერის ძირითადი არე უკავია ნინის გადახურვას.ჭერი საფეხურებდა გადადის კედელზე. ქვედა საფეხური, ქედური ხლოვნების ნიმუშებიდან აღებული მოტივის ორ-



ნამენტი მორთული, მხოლოდ დარბაზის გრძელ მხარეებზეა და ამითაც ხაზი ესმება დარბაზის წაგრძელებულ ფორმას.

უნდა აღინიშნოს, რომ კეთილშობილი და კონსტრუქციების სქემატური გადაწყვეტა ეწინააღმდეგება ფრინისა და ქერის საფეხურის ორნამენტთა მდიდრულ ბუნებას და ერთგვარი სიმშრალე შეაქვს პლაფონის მთლიან სახეში.

ღამით დარბაზი ნათდება ისე, რომ ზევიდან განათების პრინციპი ძალაში რჩება. ქერის მიწიან ზედაპირზე, ფრინა და ქერის საფეხურის კარნიზში ჩადგმულაა დღის სინათლის ნათურები. შუქი თანაბარია, ისევე როგორც დღისით. მაგრამ რადგან სოფიტები ქერს ქვევიდანაც ანათებენ, მისი დეკორატიული გადაწყვეტა შუქ-ჩრდილის ეფექტით ამ დროს მეტადაა გამოვლენილი.

დარბაზში შექმნილია ერთიანი თავისუფალი სივრცე. ქერის საფეხურიკანი დაყოფა, პლაფონის ზედა და ქვედა პლანები აძლიერებენ სივრცობრივ კომპოზიციას.

დარბაზის მხატვრული გადაწყვეტა კიდევ უფრო მიმნიშნავს იქნებოდა, რომ ყველაფერი ბოლომდე დახვეწილი იყოს.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მახვილი ესტრადაზეა დასმული. ორნამენტული ფრინი კედლის შუბლზე, შუაში წყდება და ხაზს უსვამს კარტუშის ადგილს. მაგრამ მხატვრულად ეს ამოცანა მთლიანად დასრულებულად არ არის გადაწყვეტილი. დიდი თავისუფალი არეა დატოვებული კარტუშის გარშემო, რაც ცენტრს აღაიბებს.

აარუსის პარაპეტი, რომელიც ყრუ სიბრტყითაა მოცემული „მძიმეა“ (სქემატური ორნამენტული წნული ვერ ძლევს მას), მაშინ როცა მოკრიალებული ხით მოპირკეთებული ქვედა ლოყები უფრო „მსუბუქად“ გამოიყურებიან, თანაც, როდესაც ისინი სვეტებისათვის ერთგვარი საერთო საფუძველს წარმოადგენენ. იაკრუსთა ასე გადაწყვეტა მდგარადობას უკარგავს მათ.

ესტრადის კედელზე ფრინი კედლის სიბრ-

ტყიდან ძალიან მცირედაა გამოწეული და არ ჩანს — რითაც დეკორატიული ეფექტის სვეტების დამთავრება გაუმჯობესდება. დარბაზს მოცემული აქვს ააჩქარე, ღია ოქროსფერი კოლორირტი, მისი ნოთოფერო-მოყვითალო საერთო ფერი კიდევ უფრო ნათელს ხდის მას, აქ ყოველთვის უხვი სინათლეა. ორნამენტთა ფრინის მოცისტრად დაფერვა გამოყოფს და მკაფიოდ ხდის მათ ნახატს.

სკამების მეტი ფერი, მოკრიალებული ხის მეტი ყავისფერი ზედაპირი ძლიერ აქცენტს წარმოადგენს დარბაზის ფერადოვან გამაში.

თუ ხედიასათვის დარბაზში დამაკმაყოფილებელი პირობებია, არის ადგილები სადაც ცუდად ისმის. დარბაზის აქუსტიკა უკეთესი უნდა ყოფილიყო. ამაშია მისი ყველაზე სერიოზული ნაკლოვანება¹.

დარბაზს გარშემო ვრტყმის ფოი და კულუარები, რომელთა არქიტექტურა სადად არის გადაწყვეტილი. კულუარები არ არის ვალდებულებული დეკორატიულ-მხატვრულ ელემენტებით და მათი სისადავე ინარჩუნებს საქმიანს სახეს.

უნდა აღინიშნოს ვრტყლი ფოიეს უქონლობა დარბაზთან, რაც ასე მრავალადგილიან დარბაზისათვის აუცილებლად საჭირო იყო.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტები ვრტყლი და ნათელია. დამსმარ ოთახები მუშაობისათვის კარგ პირობებს გვაძლევენ.

¹ ჩვენ ვინაგარიშეთ დარბაზის აქუსტიკური მონაცემები. ანგარიშმა არადამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა: საჭიროა დარბაზის აქუსტიკური გასწორება. დარბაზში ნორმალური აქუსტიკური პირობების შესაქმნელად საჭირო შეიქნება დამატებითი ხმის ჩახშობა, რისთვისაც ყველაზე იოლ გზად შეიძლება კედლების მძიმე მატერიალიდან დრაპირება ავირილით (დრაპირება თავისი ხასიათის მიხედვით ხმის ჩახშობის დიდ კოეფიციენტს იძლევა $\alpha = 0,5 \pm 1$) გაანგარიშების საფუძველზე, ჩვენი დარბაზისათვის საჭირო იქნება 200—400 მ² კედლის სიბრტყის დრაპირება.



მინისტრთა საბჭოს სხდომათა დარბაზში შეწყვილებულ თეთრ სვეტებზე მდგომ კომპიუტერულ დაყრდნობილი ჭერი, რომელიც შიგნით კიდევ არის წახნაგებით დაყოფილი, მოცულობითი ორნამენტებით მორთულ პლაფონი, ქმნიან ერთგვარ ცენტრს. ეს მხედველობით ამცირებს სადგომის ნამდვილ ზომებს და, გარდა ამისა, უხერხულობას იწვევს ფართობის მთლიანად ათვისებაში. ეს დარბაზი ზედმეტადაა გადატვირთულ სამკაულებით.

სამუშაო ოთახები სადად და უბრალოდ არის დამუშავებული. ოთახთა პროპორციებს შიგნიდან კარგად ეთანხმება შეწყვილებული ფანჯრების ზომები და მათი შეფარდება კედლის სიბრტყესთან. ისინი, გარდა იმისა, რომ სინათლის მეტ შუქს იძლევიან, სასიამოვნო, წყნარ წონასწორობა ქმნიან ოთახთა გადაწყვეტაში. მაგრამ ავტორებმა ვერ ახერხებენ ყოველთვის დაცვას ეს ასე მაგალითად, მეოთხე სართულზე, გვერდის ფასადზე ფანჯრებს ფასადისათვის კარგად აქვთ ნაპოვნი ადგილი, ინტერიერში კი აშკარად არაღმავაყოფილებლად გამოიყურებიან. ფანჯრები ოთახებში დაბლაა მოთავსებული, ძალიან დიდია მანძილი ფანჯრიდან ჭერამდე.

მოავრობის სახლის ამ კორპუსის შიდა დაგეგმარებას აქვს სერიოზული ხასიათის შემდეგი ნაკლი: აქ არის ოთახები, რომლებიც ემსხვერპლენ ვესტიბულოთა გარშემო ოთახთა განლაგების პრინციპს და უნებრივად სინათლით საკმაოდ არ ნათლებიან (განსაკუთრებით პროპილეების მხარეს გამოშვავილი ოთახები).

შენობაში კინო დარბაზისათვის ადგილი მეტად მოხერხებულადაა ნაპოვნი. დარბაზი მოთავსებულია ერთი ფრთიდან მეორეში გადასასვლელ ნაწილში, ფსადის უბლის „უკან“. მას ბუნებრივი სინათლე არ ესაჭიროება და ამიტომ ეს ადგილი სწორედ მისთვისაა შესაფერი. მაგრამ დარბაზის არქიტექტურა მეტ სისადავეს თხოულობდა. პი-

ლისტრთა უხეში, წაგრძელებული სვეტების თაყვი და სოფიტები — უმასშტაბოა, რიბის და ზედმეტ ელემენტს წარმოადგენენ.

მოავრობის სახლის ინტერიერში ფერი არქიტექტურის განუყოფელი ელემენტია. ყველა სადგომი მოცემულია ღია, ნათელ ფერებში, რაც ხალისიან განწყობას უქმნის ადამიანს. ფერის შერჩევა უკავშირდება ამა თუ იმ სადგომის არქიტექტურულ სახეს და ეხმარება მის მთლიან გამოვლენაში.

ორნამენტული დეტალები, კარნიზები, კაპიტელები, კრონშტენები ფერთაყვანიერებზე უტარდობს. ეს მათზე საერთო ფონიდან ფერის ჰარმონულ გადასვლითაა გამოწვეული.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ცენტრალური ბირთვის გარშემო სადგომთა განაწილების პრინციპი, რომელიც საფუძვლად ედება გეგმას, ასეთი დანიშნულების ნაგებობისათვის სრულიად შესაფერია და მახვილდაა ნაპოვნი. მაგრამ ავტორებს თვით სამუშაო ოთახთათვის მეტი ადგილი უნდა დაეთმოთ და ამით გავზარდათ შენობის სასარგებლო ფართობი.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თუ ფასადთა არქიტექტურის გადაწყვეტისას, ავტორები ინარჩუნებენ ერთიან მხატვრულ ენას, შენობის ინტერიერში ამას ყოველთვის ვერ სძლევენ. ეს აშკარად ჩანს ორი მოთავარი ვესტიბულის შედარებისას. უმაღლეს საბჭოს ვესტიბულის ნაკლოვანებას ნაწილობრივ ამის შედეგად წარმოადგენს. მინისტრთა საბჭოს ვესტიბულის ნათელი კოლორიტი, ფორმათა სიმსუბუქე, დახვეწილი პროპორციები — იმ პრინციპულ მომენტებს წარმოადგენენ, რომლებიც ჰქმნიან საერთო შთაბეჭდილების ტონუსს, ამაღლებულ განწყობას. უმაღლეს საბჭოს ვესტიბულის ავტორებმა ვერ შესძლეს ეს იმავე მასშტაბით გადმოეცათ, როგორც მინისტრთა საბჭოში, ე. ი. ამ პრინციპებს მილიანად ვერ მოუძებნეს სათანადო მხატვრული შესალებანი, რაც მასურებელს თვალში



ხდება განსაკუთრებით მინისტრთა საბჭოდან უმაღლეს საბჭოში გამოსვლისას. ფასაღთა არქიტექტურაში კი ავტორებმა, იუხუდავად სხვადასხვა ფასაღთა აქცენტირებისა საერთო მოცულობაში, მთავარისა და მეორადი მნიშვნელობის ელემენტთა მკაფიოდ გამოვლენისა, შექმლეს თავიანთი მიდგომა ამოცანის გადაწყვეტისადმი, ერთიანი მხატვრული ენით აემეტყველებინათ.

მიუხედავად ამისა, შენობის ინტერიერის დამუშავება, განსაკუთრებით კი მინისტრთა საბჭოს ეესტიბიულის გადაწყვეტა, მინახელზე დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს.

საქართველოს სსრ მთავრობის სახლში ინტერიერის არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტა გამოძინარეობს შენობის მაღალ იდეურ შინაარსიდან და ამა თუ იმ სადგომის ფუნქციური დანიშნულებიდან შენობის საერთო დაგეგმარებაში. ეესტიბიულის გარშემო სადგომთა განაწილების პრინციპზე დაყარებულ გეგმაში მიღწეული კომპაქტურობა და სადგომთა რაციონალური განაწილება აადგობებს შენობაში

მუშაობის პროცესს. როგორც უმაღლესი ერთეულ აღინიშნა, სადგომთა მხატვრული სახე დამოკიდებულია მათ მნიშვნელობაზე შენობის საერთო იდეურ-მხატვრულ ჩანაფიქრში და ამის მიხედვით ხდება მათი დამუშავება. უმთავრესი ყურადღება ემცევა სადგომს, რომელიც ყველაზე მეტად არის დატვირთული ხალხით, რომლიდანაც ხდება მომსვენელოა რეგულირება შენობაში და მნიშვნელოვანია იქ მიმდინარე მუშაობის მიხედვით.

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ დაგეგმარების პრინციპი მთავრობას სახლში სწორად არის გადაწყვეტილი. მართალია, ჩვენ მიერ აღნიშნული ნაკლოვანებანი ნაწილობრივ ხელს უშლიან ავტორთა ჩანაფიქრის სათანადოდ ხორციელებისას და ამით უკვე სვამენ თავის დაღს ინტერიერისაგან მიღებულ შთაბეჭდილებაზე, მაგრამ ავტორების მიერ აღებული პრინციპის მნიშვნელობას, საერთო ამაღლებულ განწყობას — ისინი ვერ ცვლიან.

3. შ ა ს ა დ ე ბ ი

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის წინა კორპუსი (ტბ. 1, 21) მოცემულია, როგორც ერთიანი არქიტექტურული ორგანიზმი, რომელშიაც ძირითად წყაყვან თემას მონუმენტური თაღედი წარმოადგენს. საერთო კომპოზიციაში, ფასაღთა გადაწყვეტასა და დანაწევრებაში, მზოდავ და სახიდავ ელემენტთა გამოვლენაში ეს თაღედა, რომელიც თავისებურ ორდერად ვეგვიწინება, მთავარ როლს თამაშობს. იგი მკაფიოდ საზღვრავს მთელი არქიტექტურული მოცულობის მასშტაბს. იგია განმსაზღვრელი შენობის მხატვრული სახის შექმნაშიაც. თაღედი აერთიანებს შენობის იდეურ-მხატვრული სახის გასხნის ყველა კომპოზიციურ ხერხს (მაღალი ლოჯია, პროპილეები, საზეიმო კიბეები და სხვ.). სწორედ ამიტომ, ფუნქციურად დიფერენცირებული ჯგუფებ-

ბი უმაღლესი სახელმწიფოებრივი ორგანიზებისა (მინისტრთა საბჭო — უმაღლესი საბჭო), იკითხება არა როგორც ურთიერთისაგან მოწყვეტილი, არამედ როგორც ორი ნაწილისაგან შედგენილი, ერთი ორგანული მთლიანი.


ფასაღის გადაწყვეტა მაღალი თაღედის ერთიანი ორდერით, ხაზს უსვამს ნაგებობის მნიშვნელობას, რელიეფური ფრაონტონი, საზეიმო პროპილეები, შენობის ხაზგამსული მასშტაბურობა, ფორმათა მონუმენტულობა, მთელ ნაგებობას საზეიმო იერს ანიჭებენ.

შენობა თანდათან აღიქმება მასთან მიახლოებისას. მისი ფრაონტალური კომპოზიცია ბოლომდე იხსნება მაშინ, როცა მყურებელი შენობის წინ, ცენტრში დგას. სხვა შემთხვევებში თაღედის მეტრი, პერსპექტიული შემეცირების გამო, უკნე რტკმდ

ქცული, შეადგენს შენობის ერთ მთლიან ფრონტს, მკაფიოდ გამოსახული ცენტრით (ტაბ. 21).

თაღები მოცულობითი არქიტექტურული ფორმაა, რომელიც დაკავშირებულია და ემორჩილება შენობის ძირითად ფრონტალურ გადაწყვეტას, კედლის ერთიან სიბრტყეს. შენობის ფასადი ერთ მთლიან სიბრტყედაა გადაწყვეტილი, რაც პროსპექტის განაშენიანებაში მის ერთიან მოცულობას

მზიდავი ნაწილების იერს. უკიდურეს პერსპექტივულ ხედშიაც კი ისინი ერთმანეთს (ტაბ. 34), რაც იმით აიხსნება, რომ ბოძისა და ინტერკოლუმნიუმის პროპორციები სწორად არის ნაპოვნი, თავადის ბოძებში მთელი ფასადის კომპოზიციას ვერტიკალურად ანაწევრებენ. ბოძის ვერტიკალობა კიდევ უფრო ხაზგასმულია გვერდებზე წერალი, მოპირგვალებული კუთხისვეტებით, რომლებიც მას ოთხსავე კუ-



სურ. 19. მთავარი ფასადი

ავლენს. ფასადის მთელ ფრონტზე თაღებს თანაბარი მალეები და სიმაღლე კარგად არის ჩაწერილი ქუჩის დინებაში და დინამიკურა მომენტი შეაქვს მასში. აგებობები, ამასთან ერთად, შენობის კომპოზიციის ცენტრზე, საიდანაც შენობაში შესასვლელია, განსაკუთრებულ მახვილს სვამენ, მაგრამ ისე, რომ შენობის მთავარი ფასადის სიბრტყე არ დაირღვეს, რომ ფასადის დანაწევრება პროსპექტზე თანაბარი რიტმით ვითარდებოდეს. თაღების ბოძები გეგმაში წაგრძელებული ოთხკუთხედის მოხაზულობისაა. აქ აგებობებს გაუთვალისწინებიათ ის გარემოება, რომ პერსპექტივულ ხედში სვეტი ეიწროვებოდა და გეგმაში კვადრატი რომ ყოფილიყო, მას დაეკარგებოდა ტექტონიკურობა, ვერ „აიკანდა“ მასზე დაწოლილ კედლის სიმაღლეს. ბოძები ხეღვის ყოველ წერტილიდან ინარჩუნებენ კონსტრუქციულ 5. 6. ჯანბერძენი

თხეში მთელ სიმაღლეზე მიჰყვება. კუთხისავეტს ამთავრებს აკანთოვანი კაპიტელი (ტაბ. 38). თვით ბოძის ზედაბირი გლუვად არის დატოვებული და შერწყმულია ბოძებსზედა კედლის სიბრტყესთან. აქ დამახასიათებელი ისაა, რომ ბოძის წინა პირა კაპიტელით მთლიანად გაჭრილი არ არის. ამით მას მეტი ტანადობა ენიჭება. ბოძი ამსუბუქებს კედლს, რომლის თავისუფალი დიდი სიბრტყე აღარ ჰქმნის სიმაღლის შთაბეჭდილებას. ამრიგად, აგებობებმა თაღების სრულიად ახლებური დამუშავება უწყვეტ კედლის სიბრტყის მოცემისათვის გამოიყენეს; ფასადზე, მთლიანი კედლის შთაბეჭდილების შესაქმნელად, მათ იხმარეს თავისუფური ზერზი: კაპიტელებით არ დაამთავრეს ბოძები. ბოძისა და კედლის სიბრტყე

1 ამის შესახებ იხ. აგრეთვე თავი IV.

ორგანულად ერწყმის ერთმანეთს, რამაც დიდად შეუწყო ხელი შენობის ცოკოლამდე, მიუხედავად თაღების ხერგლობებისა, კედლის ერთიანი სიბრტყის გადმოცემას.

ბოძების ვერტიკალები გაწონასწორებულია შენობის ჰორიზონტული დანაწევრებით, რუხი ტემენიტის დამჭლარი ცოკოლის ზოლითა და კარნიზებით. ამას გარდა, კუთხისეგეტების აბაყის ძლიერი შეერღულების წყალობით, კაპიტელების დონეზე ტარდება ერთგვარი ჰორიზონტული ხაზი. ეს ხაზი, თითქოს ჰკვეთს ამ დონეზე შენობას და ქმნის აბზაცს შენობის ჰორიზონტულ დანაწევრების აღმასვლაში (ეს აბზაცი მკაფიოდ იკითხება შორიდანაც, მაგ. შტეტრის სანაპიროდან და სხვა). იგი გარკვეულ რილს თამაშობს შენობის ფასადზე ვერტიკალურ და ჰორიზონტულ დანაწევრებათა შორის კავშირის დამყარებაში.

ფასადის საერთო კომპოზიციის ფრონტალურ გადაწყვეტას, სავსებით ეთანხმება შუაში სივრცობლივი ღერძი (ტაბ.28). იკა წამყვანი ელემენტი ფასადის საერთო არქიტექტურულ კომპოზიციისათვის. დღის მეორე ნახევარში პრობილეებში გამავალი მზის შუქი, მაშინ, როცა მთელი ფასადი ჩრდილშია—მთელი ძალით ამეტყველებს გამჭოლი ღერძის მხატვრულ სახეს.

ღია თაღებში მაღალ ბოძებზე დაყრდნობილი ჭვარციანი კამარების ეფექტური კომპოზიცია სასწიშო განწყობას უქმნის მომსვლელს (ტაბ. 34), რომელიც შემდგომი ეგზო—ვესტიბულიდან მდიდრულად მორთულ პორტალებით შედის თვით შენობაში (ტაბ. 29, 30, 31). ამგვარად, მთავრობის სახლში შემსვლელს თავიდანვე ამაღლებული, სასწიშო განწყობა ექმნება.

ცენტრის გამოყოფის მთავარ ელემენტს, უპირველეს ყოვლისა, მაინც ფრონტონი შეადგენს. გარდა მისი აზრობრივი ფუნქციისა ე. ი. ნაკვეობის იდეური შინაარსის პლასტიკური ენით გამოხატვისა, მასვე ეკისრება პერსპექტივში შენობის აღქმისას

მხვილის დასმა, რადგანაც ცენტრის სივრცობლივი ღერძი ამ დონეზე გადის. ყველა არქიტექტურული ელემენტი მიმართულია ამ ამოცანის—ე. ი. ცენტრის მეკეთრად გამოვლენის ამოცანის გადასაწყვეტად. ემოციური ზემოქმედება თანდათანობით იზრდება ცენტრისაკენ. ფრონტონზე გადასვლა არქიტექტურული ლოგიკით მზადდება: დამავიჯირვენიებელი, ჩუქურთმიანი კარნიზი, რომელიც ცენტრთან წყდება და ცენტრისაკენ უფრო ღრმად შეესვლა ყრუ პარაპეტის სადა კარნიზი, ქმნიან ამ მოსამზადებელ საფეხურებს ფრონტონზე გადასასვლელად. კარნიზების ამგვარი რიტმი არა მარტო ხელს უწყობს ცენტრის გამოვლენას, არამედ ორგანულადაც აკავშირებს ფრონტონის არეს მთელი ფასადის კედლის სიბრტყესთან. შენობის ცენტრი ხაზგასმულია აგრეთვე პრობილეების კიბეების წინ გამოწევით, ფასადის წინა ტერასების შეწყვეტით ცენტრში და შესასვლელის ორივე მხარეს ქანაღებების მოთავსებით.

შენობის ცენტრის გამოყოფის აგრეთვე თაღების შუა ორი სვეტის განსხვავებული გადაწყვეტა: თუ სხვა სვეტები ცოკოლზეა დაყრდნობილი, აქ სვეტებს დაბალი კვარცხლბეკი აქვთ, რაც სვეტებს უფრო ტანდალს ხდის, თანაც აქ, აღამაინის სიმაღლეზე აფართოვებს ინტერკოლუმნიუმის მალს და ათავისუფლებს პრობილეების სივრცეს.

ცენტრალური სამი თაღის მალები და სიმაღლეც მეტია დანარჩენებთან შედარებით. ეს მცირე კორექტივი იძლევა საშუალებას შენარჩუნებულ იქნას მთელ საფასადო ფრონტზე ერთიანი ორღერი. შუა სვეტებს რომ იგივე სიმაღლე და ინტერკოლუმნიუმი ჰქონოდა, რაც მთელ თაღებსა, ეს ოპტიკურად შეამცირებდა შუა თაღებს.

ფრონტონი (ტაბ. 36), გარდა იმისა, რომ შენობის ცენტრის გამოვლენაში მთავარ როლს თამაშობს, როგორც იდეურ-მხატვრული მახვილი შენობისა, ამთავრებს ფასადის არქიტექტურულ სახეს და იმორჩილებს

ფასადის გადაწყვეტის ყველა მხატვრულ ხერხს. ფრონტონის რელიეფური გამოსახულება მკაფიოდ იძლევა საბჭოთა საქართველოს, როგორც მოწინავე სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიული ქვეყნის სახეს.


ფრონტონის არე კედლის სიბრტყიდან გამოყოფილია მცირე კრონშტეინებზე დაყრდნობილი სარტყელით. კრონშტეინები აქ ცოტა უეჭოდ გამოიყურებიან, ჩადგანაც არც ფორმითა და არც მასშტაბით არაერთგვაროვანი გამოძახილი არ გააჩნიათ ფასადის სხვა ელემენტებში.

რელიეფის ნახატი მკაფიო და სადაა. შენობის ეს ფასადი უმეტეს წილად ჩრდილშია და ამიტომ რელიეფი ღრმადია დამუშავებული და კარგად იკითხება. მართალია მზის სხივები მას გარკვეულ ცხოველბრუნობას ანიჭებენ, მაინც უნდა ითქვას, რომ მისი ნახატი ზედმეტად გრაფიკულია. გერბი უფრო მეტად მოცულობით — სკალპტურული რომ ყოფილიყო — ეს გააძლიერებდა მის მამორგანიზებელ როლს ფრონტონის კომპოზიციაში.

ავტორებმა დიდი ყურადღება მიაქციეს შენობის ცენტრის პროპორციებსაც. ჩადგანაც როგორც ვთქვით, ფასადის კომპოზიცია ფრონტალურია და ყველაზე სრულად მისი აღქმა სწორედ ცენტრში დგომის დროს ხდება. როგორც აღინიშნა, კომპოზიციის ცენტრი-ფრონტონით დაგვირგვინებული ღია სამი თალი — მყურებლის მიმართ ქეჩაზე აღქმის ნორმალურ პირობებშია.

ცენტრალური ნაწილის პროპორციული გადაწყვეტა ასეთია: თუ მთელი საზღვრული M^0 მიღებულია, მაშინ თაღედის სიმაღლე თაღის თხემამდე M^1 , ხოლო ფრონტონი კედლის სიბრტყესთან ერთად M^2 . ამ „ოქროს კვეთის“ ტრიადის გარდა, საყურადღებოა ფრონტონისა და თაღედის თავზე კედლის თავისუფალი სიბრტყის ურთიერთფარდობაც აქ კრონშტეინებზე დაყრდნობილი სარტყელი აწეულია და ამითაც კიდევ უფრო უსვამს ცენტრს ხაზს. ამ სარტყელის

ზევით აწევა ამავე დროს აღიქმავს საერთოდ შენობის ცენტრალურ ნაწილს პროპორციებს. რომ შევეფარდოთ კედლის სიბრტყე სარტყელის ჩათვლით ფრონტონის სიმაღლეს — ისინი დაახლოებით ისეთსავე დამოკიდებულებაში არიან, როგორც ზეოთა მოყვანილი ნაწილები. ამრიგად, კედლის თარაზული დანაწევრება ჰარმონულ თანაფარდობაშია. აღსანიშნავია ის, რომ ავტორები მექანიკურად არ გაჰყვეს პროპორციათა აგების სქემას, რაზედაც ღიად და მცირე მინაკვეთთა თავისუფალი აღება მეტყველებს.



სურ. 20. მთავარი ფასადი, ცენტრალური ნაწილის პროპორციული აგების სქემა

ფასადის ფრონტალური კომპოზიცია გადაწყვეტილია მკაცრ, მაგრამ ღიად და მეტყველ ფორმებით. ყოველი ელემენტი და დეტალი გამიზნულია და თავის როლს თამაშობს ფორმათა საერთო ანსამბლში. ქვის კედლის თავისუფალი, სადა სიბრტყე სიდიადეს ანიჭებს შენობის არქიტექტურას.

როგორც აღვნიშნეთ, ავტორები მთელ ფასადს ერთ მთლიან სიბრტყედ წარმოგვიდგენენ. სწორედ ამიტომ, როგორც უკვე ითქვა, არ ჰყვეთენ ბოძებს პორიზონტულად კაპიტელებით: კედელი გრძელდება ბოძებში. თაღედის არქიტექტურული თემა თავი-



სუფლად უერთდება მთელი ფსალის ერთიანი კედლის სიბრტყით გადაწყვეტის ამოცანას. უკანა მხრიდან და გვერდებთან კაპიტელი გაერთიანებულია ერთიანი აპიკით, რაც ლოჯიის კამარის დაყრდნობას ბურჯებზე გასაგებს ხდის; საბჯენი თაღები ეყრდნობა კაპიტელს (ტაბ. 33).

დამაგვირგვინებელი კარნიზის პროფილი მარტივია. შუა ნაწილი — ბატიყელა — სადა, მცენარეული მოტივითაა მორთული (ტაბ. 36). ნახატი ცერული კვეთითაა. რაც პლასტიკურს ხდის მას, ავლენს მას მოცულობით ფორმებს. ამას ფონის სიღრმე და არეც უწყობს ხელს. ყველაფერი ეს ნახატს თავისუფლად წყაობის შესაძლებლობას იძლევა.

პარაპეტი აგრძელებს კედლის თავისუფალ სიბრტყის არეს. მისი სადა კარნიზი, არ შეკამათება“ დამაგვირგვინებელ კარნიზს, 36 ტად გამოჰყოფს, ხაზს უსვამს მას.

ლოჯიის კედელი. მიუხედავად იმისა, რომ დაცხრილულია ფანჯრებით, კვლავ კედლის სიბრტყის სადად, თავისუფლად მოცემის ამოცანასვე წყვეტს.

ეს კედელი რომ მშრალი არ ყოფილიყო, ავტორებმა შეწყვილებულ ფანჯრებს შორის პილასტრები მოათავსეს — ორნამენტული სვეტისთავეებით. თაღების რიტმს რომ კარგად დაუკავშირდეს ზედა ფანჯრების ალათები თაღოვანი მონაზულობითაა გაკეთებული.

საფასადო ლოჯიის მთელ კედელზე დეკორატიული მახვილები მეტად ზომიერად და შეკავებულადაა დასმული. პროპიონლებთან კედლის სიბრტყეზე თაღების ორდერის პილასტრები მეორედება. მარტივი ორნამენტით მორთული სვეტის თავებუ (ტაბ. 32; 32; 32) — რომელთათვის ოთხი სხვადასხვაგვარი ნახატია შერჩეული, მესამე სართლის გადახურვის სიმძლავრე ნახევარსფეროსებური გრეხილი „ოოკისაგან“ შემდგარი როზეტები და ანტებში სავენტილაციო ხერხების გაფორ-

მება — აი, ის დეკორატიულ-მხატვრობით ელემენტები, რომლებიც მთავარ ფსალის შიდა კედლის სიბრტყეს.

ეს კედელი თითქმის მთელი დღის განმავლობაში ჩრდილია და ამის მიხედვით არის შერჩეული მარტივი ნახატები სამკაულთათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია მრგვალი სავენტილაციო როზეტის ნახატი (ტაბ. 33). საპირთ იყო დიდი დამეტრის სავენტილაციო ხერხის დახურვა აყურული ბადით, რომელიც არქიტექტორებმა სტილიზებული მცენარეული მოტივის სახით გადაწყვიტეს. აქ ფონს თვით ხერხი წარმოადგენს და მასზე კარგად იკითხება ორნამენტის სადა, დინამიკური დინება. ცემენტის როზეტი ბრინჯაოსფრად არის შელებილი და ბოლნისის ტუფის მოვარდისფრო ტონს კარგად ესაგება.

ლოჯიის კედელზე საბჯენი თაღები, როგორც ვთქვით, კრონშტეინებს ეყრდნობა — ავტორებმა ამით თავიდან აიცილეს კედლის სიბრტყის ზედმეტი დანაწევრება სვეტებით.

საფასადო ლოჯიის კედლის ხერხელებთა ზომები თავისუფალ კედლის სიბრტყესთან შედარებით მცირეა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ თვით სლავომათვის ისინი ძირითადად საკმარის სინათლეს იძლევიან — ფასადზე ვიწროდ ჩანან, რაც, ბუნებრივია, მოქმედებს საერთო შთაბეჭდილებაზე. განაპირა შეწყვილებულ ფანჯრებში იმპოსტების გვერდით, კედლის სიბრტყის დატოვებით, კიდევ უფრო საგრძნობი ხდება ეს სივიწროვე. ზედა ფანჯრების ალათთა თაღისებრი მოპრგვალებაზე მხედველობით ავიწროებს ფანჯრის გაბარტებს. აივნის პორიონტულ ზოლს შეელო ნაწილობრივ გაესწორება ეს, რომ ქვის პარაპეტი შეტეხით არ გადადიოდას კედელზე.

როგორც აღვნიშნავდით, შენობაში მომსვლელი ხვედბა საზეიმო, პარადული შესასვლელით. პროპიონების სვეტნარის საზეიმო რიტმი მეტად ეფექტური და მდიდარია. შენობასთან მიხსლოვებისას, მაყურებელი

ალიქვამს ლოჯის დიდებულ, ჯვაროვან კამბარას და თაღედის მწყობარ რიტმს (ტაბ, 341). შემდეგ ეზოსაკენ მცირე ინტერვალი კიბის ერთი მარშით. აქ შენობის პროპორციებში გამომაველი ფასადები დამუშავებულია მსგავსად მთავარი ფასადის ლოჯის კედლისა. ამ ინტერვალის შემდეგ მომსული შედის ღია ეზო — ვესტიბული (ტაბ. 291; 292), სადაც შენობის ორივე ჯგუფში შესასვლელი მკვეთრად არის ხაზგასმული ეკლარის თეთრი ქვით შესრულებულ მდიდრულად ორნამენტირებულ პორტალებით.

ამ მცირე ზომის ეზო — ვესტიბულის „მაღალი“ სივრცე გახსნილია, მაგრამ ამავე დროს მაინც შემოფარგლული: ორ მხარეს სვეტების საშუალებით, ხოლო მეორე ორ მხარეს კი კედლის სიბრტყით. ამ ეზოში შესვლისთანავე ერთბაშად იპყრობს ყურადღებას მძლავრი პორტალები, რომლებიც მასშტაბით, თვალსაჩინოებით, ხერხობძოდ ვერის ნიერ მათთვის მიკუთვნებული ადგილითა და მნიშვნელობით, მასალათ, — თანაბარმნიშვნელოვანია და იმავე დროს, მკაფიოდ ინდივიდუალიზებულიც (ეს ერთი შეხედვითვე იგრძნობა).

მთელი შენობის ფასადთა არქიტექტურის დეკორატიულ-მხატვრული მომენტი აქ ყველაზე მეტად ძლიერდება. მკაცრ, თავშეკავებულ და ამავე დროს ნაძვლიად საზეიმო არქიტექტურულ ფორმებს ავტორებმა მხატვრული კონტრასტი შეუქმნეს შენობაში შესასვლელთან. საპარადო შესასვლელთა ამგვარი დამუშავება ხაზს უსვამს თვით შენობის მაღალ მნიშვნელობას. ფასადთა დანაწევრებაში წამყვან თემას, თაღედს, აქ პორტალის მაღალი სწორკუთხედი ცვლის. ეკლარის ქვის თეთრი ფერი კიდევ უფრო გამოყოფს მას.

მიუხედავად იმისა, რომ ეზო — ვესტიბულიში მთავარი ყურადღება გვერდის მხარეებისაკენაა მიპყრობილი (პორტალები), იგი მაინც არ არის ამოვარდნილი სივრცეში

ლერძის რიტმიდან. იგი ამ ლერძის ერთი მთავარი რგოლთაგანია. ამ ეზოდან სუბო ეზოსაკენ მიმდევნო კიბეები, რომლებიც ღია სივრცითი ლერძი, თავისთავად აძლევს ადამიანს ამ მიმართულებას. მაგრამ მთელ გასასვლელის ლერძზე ამ ეზო — ვესტიბულიზე, საიდანაც შენობაში შესასვლელდება, კეთდება პაუზა. ამ თვალსაზრისით აქ გამართლებულია პროსპექტისაკენ მიმართულ კედელზე შუა სარკმლის გამოყოფაც: მცირე მახვილი, რომელიც ზედმეტ მნიშვნელობას არ იჩენებს. პროპორციების სივრცითი ლერძის აღქმისას, ეს ხაზს უსვამს ღია ეზო — ვესტიბულის ადგილს.

მინისტრთა საბჭოს შესასვლელის პორტალი მოცემულია ორნამენტული ხალიჩის სახით, მასზე მიდგმული შეწყვილებული სვეტებითა და შესასვლელის მოჩაჩრობებით. ეს ფონი მთლიანად დაფარულია ორნამენტული მაქანით. ვიწრო, ღრმა ღარები, რომლებიც ცალცალკე გამოყოფენ ორნამენტულ კვანძებს, ევლებიან გარს მის კონტურს და შექმნილით გამოყოფენ მთელ ზედაპირზე. თვით ეს ორნამენტული ხალიჩა წარმოადგენს ფონს დეკორატიულ სვეტებისათვის, რომლებიც ორ სართულად იზიდებიან ბაზიდან. ამ შეწყვილებულ სვეტების პორიზონტულად ორად დაყოფა, დაბლა შედარებით მძიმე, გრეხილი სვეტებით და ხერხელების დაწოლილი სწორკუთხედები აწონასწორებენ მთელი პორტალის ვერტიკალურ სწრაფვას და ამავე დროს ტანადს ტოვებენ მას. ორნამენტული ხალიჩის აქურზე კონტრასტით გამოიყოფა შესასვლელის სადა, მარტივად პროფილირებული მოჩაჩროება და შესასვლელის თავსართი. S-ის დინების მსგავს ორნამენტულ გრეხილში ჩადგმული საბჭოთა საქართველოს გერბი იდეურ სიმანვილეს აძლევს დეკორატიულ ელემენტს. აქურული ფონისა და მარტივი, სადა და მკაფიო ფორმათა სვეტი იქნება ეს თუ შესასვლელის საპირე — მხატვრული კონტრასტი გამოყოფს ორნა-



მენტელ ხალიჩას და საერთოდ, მთელ პორტალს მეტად ეფექტურს ხდის. ეს ორნამენტული ხალიჩა, შედგენილი მცენარეულ მოტივებისაგან შემდგარ კვანთაგან, გრაფიკული ხასიათითაა დამუშავებული. ცალკეული კვანძები ორგანულადაა ერთმანეთში გადაწეული და თვალი ცურავს ორნამენტით დაფარულ მთელ სიბრტყეზე. (ტაბ. 31).

შესასვლელის თავსართზე მარტვი გეომეტრიულ წნულზე დგას S-სებრი გრებილი, რომელიც თავისი მასშტაბითა და საღა ნახატით მკვეთრად გამოიყოფა ფონიდან და ამით თვით ვერბი, რომლის ნახატის წერილი დანაწევრება არ იძლევა თავისთავად მის ამ ფონზე გამოყოფის შესაძლებლობას, S-სებრი საფუძველთაა გამოყოფილი. ამით მისი მნიშვნელობა საერთო კომპოზიციაში: მკაფიოდაა ხაზგასმული.

აღსანიშნავია, რომ ჩანაფიქრისა და კომპოზიციის სიახლესთან და ორიგინალურობასთან ერთად — ამ პორტალს აქვია მხატვრული დამთავრებულობა, ერთგვარი „მოწარმოება“. ზევიდანაც კი, არსებული კარნიზი ვერ უჩვენს პორტალს და მასხატურს.

თუ ეს პორტალი თხოვლობს, ასე ვთქვათ, „ჩაკეტვას“, ამ მხრივ, მეორე, უმაღლეს საბუჯს შესასვლელის პორტალი დასრულებულ, მკვეთრად ჩამოყალიბებულ სახეს ატარებს (ტაბ. 30).

ავტორებმა, სრულიად სამართლიანად, ორივე პორტალი სხვადასხვაგვარად გადაწყვიტეს, რითაც კიდევ უფრო გაუსვეს ხაზი შენობის კორპუსთა სხვადასხვა ფუნქციურ დანიშნულებას, მათ ინდივიდუალურ ხასიათს. თუ მინისტრთა საბუჯს პორტალის კომპოზიციას საფუძველად მდიდრულად ორნამენტული ფონის სიბრტყე და მასზე საღა, მოცულობით ფორმათა მხატვრული კონტრასტი უდევს, უმაღლეს საბუჯს მხარეს პორტალის კომპოზიციას წყვეტს ფართო ხერხელობები, რომლებიც, აქაც სამი სართულის სიმაღლეზე, შემოფარგლულია რთული პროფილის ორნამენტული არხით.

ეს პორტალი წარმოადგენს გეომეტრიულად აზიდულ სწორკუთხედს, სწორკუთხედს შესასვლელითვე. მისი მოხარჩობის ორნამენტი მცენარეულ მოტივისა და გეომეტრიული წნულის კომპოზიციითაა შექმნილი. მის საფუძველში ფართო გეომეტრიული წნულია დადებული, რომლისგანაც ორგანულად გამოდის სტილიზებული ფოთოლი. ფოთოლი მთლიანად დაფარულია ორნამენტით. წნულიდან გამოსულ ფოთლების კვანძებს შორის არეს საწინააღმდეგოდ წამოსული ფოთოლი აესვებს. მისი აწეული წვერი, ღარებში ჩაწოლილი ჩრდილი, ამბტურცული წნული, ცხოველბატულ სურათს ქმნიან.

პორტალის მოწარმოება ქვევით კუთხეებში, ორივე მხარეს, შიგნიითვე სწორი კუთხითაა შეტეხილი და იქვე წყდება. აქ ორნამენტის ნახტო თითქმის შემთხვევით იჭრება, რაც მოკლებულია ბუნებრივობას და ამიტომ ვერ ტოვებს სასურველ შთაბეჭდილებას.

თვით შესასვლელი იმავე პროპორციებისა და ფორმისაა და ძირითადად იმავე პროფილისაა, რაც მინისტრთა საბუჯის. მისგან განსხვავებით, აქ შუა დიდი არე დაფარულია S-ბრტყელი ორნამენტით. თავსართს ზევით ხუთქიმიანი ვარსკვლავი ამთავრებს. მაგრამ იგი ამოვარდნილია მთელი კომპოზიციიდან, როგორც ნახატითა და თავისი სიუსით, ისევე ფასადური ზედაპირის მეტად წვრილად, თითქმის ფილიგრანული დამუშავებით. ამიტომ ვერ დგას მყარად თავის ადგილზე.

როგორც დავინახეთ, ორივე პორტალი მკვეთრად გამოხატულ ინდივიდუალურ სახეს ატარებს. ავტორები სხვადასხვაგვარად წყვეტენ ამოცანას, მაგრამ ორივე პორტალის ადგილი, პროპორციები, შეფარდება მთელ ფასადთან — ერთია და ეს ადვილდებს მთელ ეზო — ეესტიმულის მხატვრული სახის თავისუფლად აღქმას.



ამრიგად, ავტორებმა, თვით შენობაში შესასვლელთან შექმნეს ძლიერი კომპოზიციური აქცენტები, რომლებიც მეტ სიმახვილეს ანიჭებს ნაგებობის იდეურ — მხატვრულ სახეს.

პროპორციების კომპოზიციურ გადაწყვეტაში კიბეებზე განსაკუთრებული მახვილია დასმული. იგი იწყება შენობის გარეთ და ერთ მთლიანში აერთიანებს პროპორციებს, როგორც შენობის ნაწილს, გარე სივრცესთან (ტაბ. 28).

კიბეები ნაგებობის ორგანული ნაწილია, მთელ შენობასთან გაერთიანებული ცოკოლისა და კიბეების მასალის ერთიანობის საშუალებითაც.

გარე კიბეებთან ერთად შენობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს გამწვანებული ტერასები მთავარი ფსადის წინ, რომლებიც შეზრდილია ცოკოლში და ქუჩიდან მასზე კარგ გადასვლას ქმნიან.

მთავრობის სახლის არქიტექტურაში ქანდაკებისა და არქიტექტურის სინთეზი დიდ როლს თამაშობს. ფრონტონის თემატიკური რელიეფის სიმბოლური თხრობა სოციალისტურ საბჭოთა საქართველოზე გრძელდება შესასვლელის წინ, ორივე მხარეს ქანდაკებათა ჩველებში, ფიგურულ კომპოზიციაში, რომელიც გათვალისწინებულია პროექტით¹.

¹ ქანდაკებათა ჩვენებები დადგმულია შენობის წინ ყრუ კედლის ფონზე. პროპორციებიდან პირველ თაღებში, თალი თათვის მომარჩობას წარმოადგენს მათთვის კვარცხლბეკი ორგანულადა ჩართულ ფსადის წინა გამწვანებულ ტერასებში. ქანდაკებათა ჩვენებები, მუხტელადე იმისა, რომ ცალკე დგანან — მაინც შენობის არქიტექტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

მართალია, ქანდაკებათა გადაწყვეტა არ შეიძლება არქიტექტურისა და მოქანდაკის ერთიანი შემოქმედე-

მთავრობის სახლის გვერდის კედლებზე (ჩიტაძისა და კვიციანიძის ქუჩებზე) კარგად შეიციურად ერთნაირადაა გადაწყვეტილი. ისინი ზუსტად იმეორებენ ერთმანეთს.

ბოთი ძიების გარეშე — ჩვენ შემოხვევაში კი ვერ საკმე მოქანდაკედ არ მისულა — ავტორები მაინც იძლევიან თავიანთ აზრს ქანდაკების შესახებ და ამის მიხედვით კვარცხლბეკები უკვე ავაშულია.

ქანდაკებათა ზომების განსაზღვრა წარმოადგენს ერთერთ რთულ ამოცანას, რომელიც დღას შემოქმედლის წინაშე.

მთავრობის სახლის წინ ქანდაკებების დადგმისას გათვალისწინებული უნდა იქნას მათი აღქმა ხელეის სხვადასხვა წერტილიდან, როგორც შორიდან, ისე სრულიად ახლო წერტილებიდან. მათი მასშტაბი განისაზღვრება ერთი მხრივ აღმართის დეტრის ზომებით, ბოლო მეორე მხრივ გარემომცველ შენობათა ზომებით.

აქ ამოცანას ის ართულებს, რომ ქანდაკება უშუალოდაა მიდგმულია შენობასთან (მანძილი 2,8 მ.) და ამიტომ თუ სხვა წერტილებიდან სასრულო იქნება მისი ზომების გაზრდა, ამის შესაძლებლობა შეიძლება თვით ფანა — ვ. ი. შენობამ არ მოგვეცეს. ავტორებმა მოხუშენების სიმაღლე პროექტზე განსაზღვრეს შენობის მასშტაბთან შეფარდებით. პროექტის მიხედვით მისი სიმაღლე 9 მეტრითაა განსაზღვრული (კვარცხლბეკთან ერთად). კვარცხლბეკის სიმაღლე აწეულია ცოკოლიან შედარებით, რითაც ქანდაკება კიდევ უფრო გამოყოფა (მის აბსოლუტურ სიმაღლეს, შენობის ფონზე, ემატება მხედველობითი, რაც კვარცხლბეკის წინა პლანზე დგომითაა გამოიყველი). ბრინჯაოს ქანდაკება მრთეტით ბრინჯაოს ქანდაკებები უნდა იყოს კარგად წაითხება ბოლნისის იქროსფერი ტფვის ყრუ კედლის ფონზე.

საკამარისა თუ არა პროექტით გათვალისწინებული სიმაღლე და როგორი იქნება ქანდაკებათა აღქმა სხვადასხვა წერტილებიდან?


ცხადია, რომ მონუმენტების აღქმის რიგე მხარეებზე ან კანონი არ არსებობს, რადგანაც ყოველი ქანდაკება თავისი ინდივიდუალური თვისებებით ხასიათდება — საერთო მოხაზულობა თუ მისი პლასტიკური დამუშავება იქნება ეს. მაგრამ ფიზიოლოგიური პიტიკის კანონების მიხედვით შეიძლება განსაზღვრულ იქნას საშუალო მანძილი და ეტყებ მონუმენტების აღქმისა (ამის შესახებ იხ. Г. Н. Покровский — «Архитектура и законы зрения», М. ИАА. 1936; М. Г. Круглова — «Монументы в архитектуре городов», М. 1952).

ჩვენ ნახაზე მოცემულია პროსპექტის ანსამბლში ქანდაკებების აღქმის ძირითადი წერტილები. ცწერტილი წარმოადგენს უახლესს წერტილს, ხოლო



ავტორები ცდილობდნენ გვერდის ფასადები მჭიდროდ დაეკავშირებინათ მთავარი სათავის და აშიტომ გვერდის ფასადებზე იმეორებენ იმავე მხატვრულ ხერხებს, რომ-

კორპუსის ფრთებს და გვერდით ფასადებს გადაწყვეტისას გამოვიდნენ-მხოლოდ მთავარი კორპუსის ერთიანი მხატვრული სახეს შექმნის ამოცნილან.



სურ. 21. ჩიტაძის კუჩის ფასადი.

ლითაც იქმნება მთავარი ფასადის არქიტექტურული სახე.

გვერდითი ფასადების არქიტექტურა მჭიდროდ უკავშირდება მთავარი ფასადის გადაწყვეტას, მაგრამ ისე, რომ წამყვანი როლი ხაზგასმით ენიჭება უკანასკნელს.

ავტორებმა გვერდის ფასადები თავისებურად გადაწყვეტეს. ისინი არ დევრიდნენ იმას, რომ აქ ხედებოდნენ უწინ აგებულ

გვერდის ფასადის კომპოზიცია მარტივი არ არის, მაგრამ სადაა. ფასადი თითქოს ორ ნაწილისაგან შედგება: თვით კორპუსისა და

წინ. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ აღებული სიმაღლე ნორმალურია და კარგად წაითიხება განაშენიანების ფონზე.

f წერტილისათვის მონუმენტის სიმაღლე სავსებით სკანდინავია, მისი შემტობა კი აღქმისათვის საზიარია. (ერთგვლად დასახლებულ წიგნში მონუმენტის მხატვრული გაყურების ზღვარს 5-70 ზონაში თვლის. მონუმენტისთვის აღებული სიმაღლისას, აღებული წერტილები ხედვის ობიექტურ კუთხეებში თავსდება ყველაზე უკეთესი წერტილი ხედვისათვის ხ არის.

უნიდან ქანდაკებები დაიდგება უშუალოდ შესავლელთან, აშიტომ მისი ღამუშავეებისას ამ ფაქტს დღი ყურადღება უნდა მიექცეს. კბეებზე მდგომისათვის ძირითად უნდა მოილოდ დიდი ქანდაკება ანაწი — კვარცხლბეკის ვარშე. ამ წერტილიმ ქანდაკება აღიქმება რთული რაყურსებით. თუ დავეყრდნობით იმას, რომ 400-ან ხედვის კუთხიდან ქანდაკება უნდა ნაწილდება აღიქმება, აშიტომ c-წერტილისათვის (აქ აღქმის კუთხე 35-40°-ია) რომ შევიჩინოთ ხედვის ნორმალური პირობა, ჩვენი აზრით კარგი იქნება, თუ ქანდაკების იმავე სიმაღლისას, კვარცხლბეკის ფუძიდან განაპირა კედლის ხაზს გასწვრივ (პროპილედების ღერძისკენ), გავერდება ერთგვარი „ლობი“ — ფიქვით ტერასის ვაგარქელება, რითაც მყუდრებულს „ეპიბულეში“ არ დაარღვიოს ხედვის ნორმალური კუთხე.


f—კი დამორბეულს. უნდა ითქვას, რომ ავტორების მიერ შერჩეული სიმაღლე ქანდაკებისა ყველა წერტილებიდან აღქმისათვის სასურველ კუთხეებში თავსდება. ბუნებრივად, შესაძლებელია ცალკეულ წერტილისთვის უკეთესი კუთხის შერჩევა, მაგრამ ვიმეორებთ, აქ ამოცანა კომპლექსურად უნდა გადაწყვედეს, უნდა მოიძებნოს ისეთი ზომები, რომელიც დამაკმაყოფილებელი იქნება როგორც ახლი, ისე შორი წერტილებისათვის.

როგორც გრაფიკულმა ანალიზმა გვაჩვენა (მოცემულა, ნახაზი ესკიზებია, მსჭაბი არ არის დაცული) ყველაზე დამორბეულ ხედვის წერტილისათვის f—გან წერტილი მუზეუმის შენობის წინ მარჯვენა მხარეს არის, რის შემდეგაც გაწივანება და სხვ. სრულიად ფარავს ქანდაკებას ხედვის კუთხე 5°-ს შუადგენს. ფრონტალური აღქმისას a წერტილისათვის (ნასტუმრის წინ) — 10°-ია, შენობის წინა ტროტუარზე, b წერტილისათვის — 27°, ხოლო განაპირა c და d წერტილებისათვის — 12° (პროპილეთა საზღვარს და სკოლის

შენობის გადასასვლელი ნაწილებისაგან. მარტივი საშუალებებით, მაგრამ მაჟიოდ არის გამოყოფილი ფასადის დასაწყისი. ყრუ კედლის დიდი ზედაპირი, ტეშენიტის საღა პორტალი, სხვა ფანჯარებისაგან განსხვავებულ კვადრატულ ფანჯარათა ვერტიკალური მწკრივი (ეს სამსახურებრივი კიბის უკრედის ფანჯარებია), რომლის პორიზონ-

დი თითქოს „დაკოვლდა“), უზარმაზ ზედ მეტ ვერტიკალურ აქცენტს წარმოადგენს, ფასადის კომპოზიცია ამას არ თხოულობს.

დაპროექტების დროს იყო ასეთი ვარიანტი (სურ. 23, b), სადაც თაღები გადიოდა ერთ ღონეზე. მაგრამ ოთხი სართულის სიმაღლისა კი არ იყო როგორც მთავარ ფასაღზე,



სურ. 22. ქანდაკებათა აღმა ზედვის სხვადასხვა წერტილიდან.

ტული ხაზები არ ეთანხმება შეწყვილებულ ფანჯარათა ზოლს, ორნამენტული მრგვალი როზეტი და შემდეგ დამაგვირგვინებელი კარნიზი, შენობის მხოლოდ ამ ნაწილზე, — ამხვილებენ ყურადღებას პროსპექტისაკენ, ზევიდან მომავალს აგრანობინებენ მთავარის თანდათან მოახლოვებას.



ქუჩის ციკაბო აღმართს არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა გვერდის ფასადის კომპოზიციაზე. ეს ძირითადად ცოკოლის ხაზის გატარებაში გამოიხატა.

ავტორებმა ცოკოლი ორ საფეხურად გადაწყვიტეს. ამიტომ თუ თაღების ექვსი მაღიდან პირველი სამი ოთხი სართულის სიმაღლეზეა, დანარჩენები სამი სართულის სიმაღლისაა. ცოკოლის ამ საფეხურს გარკვეული დინამიკურობა შეაქვს ფასადის კომპოზიციაში. მაგრამ ამავე დროს იგი ერთგვარად „წყვეტს“ ფასადს შუაში (თაღ-

არამედ სამი სართულისა. ასეთი გადაწყვეტა უფრო დაწყნარებულ კომპოზიციას ქმნიდა, მაგრამ ქონდა ნაკლები ჯერ ერთი, შენობის არქიტექტურის აღქმისას პროსპექტიდან, მთავარ და გვერდის ფასადებს სხვადასხვა მასშტაბი ეძლეოდათ, მაშინ როცა ა ვარიანტზე თავში იმავე ორდერის გამოყენებით დაცულია კავშირი მასშტაბითაც გვერდისა და მთავარ ფასადებს შორის. ამავე დროს, გვერდის ფასაღზე დეკორატიული თაღები, ხილი მთავარზე მოცულობითი, — პროსპექტის ფასადს მთავარ როლს ანიჭებს. მეორე კი, პორტალის ჩართვა ცოკოლში და ცოკოლის ხაზის შეტეხვა პორტალის გვერდით, ფასადის თავშივე, ე. ი. ყველაზე მნიშვნელოვან ადგილზე, არალოგიკური იქნებოდა, რადგან ამ ადგილზე თვალი ჯერ ვერ გრანობს, რომ ცოკოლის შეტეხვა რთული რელიეფის გამო იყოს გამოწყვეული.

ამშენებელ ვარიანტზე კი ეს აშკარად იგრძნობა!

ამრიგად, მთავრობის სახლის გვერდის ფასადის ცოკოლის ორ საფეხურად გადაწყვე-



სურ. 23. გვერდის ფასადის გადაწყვეტის ვარიანტები

ტა გამოიწვია ქუჩის ციცაბო აღმართმა. ამ საფეხურს გარკვეული ღინამიყურობა შეაქვს ფასადის კომპოზიციამში.

1 აღსანიშნავია, რომ ციცაბო აღმართის გამო, ცოკოლის ხაზი ავიკლებლად უნდა შეტყდეს. კომპოზიციის ყველა შესაძლებელ ვარიანტს დადებითან ერთად უარყოფითი მხარეებიც აქვს. ასე, მაგ. თუ C ვარიანტზე (სურ. 24) ცოკოლის ყოველ თაღთან საფეხურებად დაყოფა თავისებურ, წყნარ გადასვლას ქმნის — ამასთან ერთად ზედმეტად აქცეპაცებს ცოკოლის ხაზს და უარგავს მინიმენტალობას.

d ვარიანტზე კი ეს დაწერილობაზე თავიდან არის აცალკეულ და ცოკოლის ხაზის შეტყება კინოზოფილად მიიღს. ამ ვარიანტის ის ნაკლი აქვს, რომ საფეხურები მაინც შიკარ მანძილზეა ერთმანეთთან. მაგრამ აქ, ჩვენი აზრით, თავდის სიმაღლეთა სხვაობა უფრო ლოგიკურია. ვიდრე ერთხელ შეტყების შემთხვევაში. ამიტომ, შესაძლებლეთა ეს ვარიანტი უფრო მიზანშეწონილი ყოფილიყო.

ჩვენ მიერ შედგენულ ვარიანტებზე, როგორც ითქვამს, გამოსავალ წერტილად აღებულია დიდი ორდერის გამოიყენება გვერდის ფასადზე, რაც მთელ არქიტექტურ-

გვერდის ფასადის კომპოზიციის უფრო მეტად მხატვრულ ლეკვს ქმნის — მთავრობის ქართული კედლური ხელოვნების ცნობილი ფოთლოვანი მოტივები კარგადაა შეთანხმებული ცოკოლის გამოვლი დეკორის ხასიათთან; გათვალისწინებულია ორნამენტის დანიშნულება და სპეციფიკა (ტაბ. 37კ). პილასტრთა რიტმი ფასადს გვერტიკალურად ანაწევრებს, მასვე პასუხობს პორტალი და კვადრატულ ფანჯარათა რიგი. ესენი წონასწორობებიან როგორც ზედა სართულის კვადრატული ფანჯრების, აივნათა რიგის პორიზონტალუბით, ისე ცოკოლის გადმოშვერილი კარნიზით.

ტეშენიტის პორტალი გამოიწვლია და მდლდება ცოკოლის ხაზის ზევით, რითაც თავიდანვე იპყრობს ყურადღებას (ტაბ. 35კ). პორტალი მარტოედ არის დამუშავებული: კარების გარშემო, სიღრმიდან საფეხურებად გამოდის სწორკეთთა მოჩარჩოება. პორტალის პრაპორცია თითქმის კვადრატს უახლოვდება, მისი საფეხურებრივი დაყოფა და ზევიდან თავსართის დადგმა კი, — „ამდლებს“, უფრო ტანდს ხდის მას. თავსართები ემპლემატურ გამოსახლებებს წარმოადგენენ. ჩიტაძის ქუჩაზე ნამგალი და ჩაქუჩია მუხის ფოთლით, კივიანძის ქუჩაზე — ხუთქიმიანი ვარსკვლავი. საბჭოთა ემპლემატუკის გამოყენება შენობის მალალ სახელმწიფოებრივ დანიშნულებაზე მეტყველებს.

მაგრამ თვით თავსართის შესრულება და პორტალის საფეხურებად დანიწევრება სექმატური და მშრალია, რაც ხელს უშლის მას მკაღროდ დაუკავშირდეს შენობის საერთო არქიტექტურას.

გვერდის ფასადის არქიტექტურაში ერთერთ რთულ კვანძს გადასასვლელი ნაწილი რულ მოცულობას ერთიან მასშტაბს უკავშირებს, ხოლო რაც შეეხება თავდის ერთი სიმაღლით გადაწყვეტას, რის შესაძლებლობასაც გვერდის ფასადზე ნაკლები სიმაღლის თავდის გამოყენება იძლევა, იგი მაინც ვერ იცილებს თავიდან კომპოზიციის ცოკოლის ხაზის შეტყებით გამოწვეულ ვართულებას.

წარმოადგენს. იგი აერთებს ახალსა და ძველ კორპუსებს. ავტორებმა ეს ნაწილი გამოყვეს მისი სიბრტყის სიღრმეში შეყვებით, აგრეთვე ფასადის დამუშავებითა და მოპირკეთების განსხვავებით — ბოლისის ტუფის ბუნებრივი ქვა აქ ადგის უთმობს მოყვითალო შელესვას.

ავტორები სწორად მოიქცნენ, როცა ეს გადასასვლელი ნაწილი ცალკე გამოყვეს — რათა შეარბილონ ძველიდან ახალ კორპუსზე გადასვლა. მაგრამ მათ ძველ კორპუსის ფასადთან შეერთების, გადაბმის ამოცანა არც დაუსვამთ თავიანთ წინ.

გეგმების ანალიზის დროს, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ წინა კორპუსი გეგმის გადაწყვეტის მხრივ, ძველ კორპუსთან ორგანულადა დაკავშირებული, რაც შეეხება ფასადებს, ახალი კორპუსის ფასადები ეკონტრასტება ძველს. ავტორები არ მოერიდნენ ფასადთა არქიტექტურული სახის სხვადასხვაგვარად გადაწყვეტას.


ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს სრულიად გამართლებულიცაა¹, რადგან ძველი კორპუსის არქიტექტურის ფორმალისტურად გადმონაშთები დიდად მოქმედებენ საერთო არქიტექტურულ სახეზე, ამიტომ მასთან „შემრიგებლური“ არქიტექტურა არაფრით არ შეიძლება აგვეხსნა ანსამბლურების დაცვით. შემოქმედებითი აზროვნების თვალსაზრისით ამ ორ კორპუსს საკმაოდ დიდი მანძილი აცილებს ერთმანეთთან. ამიტომ ავტორები შეგნებულად იძლევიან ახალ და ძველ კორპუსთა ფასადების კონტრასტულ გადაწყვეტას, ერთი შეხედვისათვის საგრძნობს ხდიან ფასადთა კომპოზიციას სხვადასხვაობას.

რაც შეეხება შიდა ეზოს, აქ მეტი შესაძლებლობა იყო დამყარებულიყო კავშირი ძველ კორპუსთან, ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ საკონსტრუქციო პროექტში ავტორებმა

¹ აღსანიშნავია, რომ საკონსტრუქციო პროექტების ყველა ავტორიც ამ ზნას ადგა.

რებს ეს ამოცანა გადაწყვეტილი (ტაბ. 12₂; 13₂).

ეზოს ფასადის კომპოზიცია სიმეტრიულია და ისეა გადაწყვეტილი, რომ ცენტრი მკაფიოთაა გამოვლენილი (ტაბ. 37).



სურ. 24. ვაგენის ფასადის გადაწყვეტის ვარიანტი

ლია სამი თალი დომინანტია ფასადის არქიტექტურაში და ამით მკეთრადაა გამოყოფილი პროპილეუბის სივრცობლივი დერძის მნიშვნელობა.

აქვე უნდა ითქვას, რომ თალიდის ბოძებში სავენტილაციო ხერვლების მოთავსება და თანაც მათი დეფარვის ნაცვლად, ყურადღების გამძლეობა მხატვრული აქურული ბადით — მოკლებულია არქიტექტურულ ლოგკას, რადგანაც ბოძებს ტექტონიკურობას უკარავას.

ზედმეტად რომ არ გამოყონ ეს ფასადი, ავტორები მას მარტივად და სადად წყვეტენ. ფასადი შელესილია. მაგრამ ფასადს აღებრალოებს ხერვლებითა სქემატური გადაწყვეტა (ვიტრაჟები, მესამე საართლის ოთხმალაიანი ფანჯრები, აუნები და სხვ.)



საქართველოს
წიგნიერების
კავშირები

ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ შიდა ეზო მთავრობის სახლში, მის საერთო არქიტექტურაში კომპოზიციის მნიშვნელოვანი კომპონენტია და ამიტომ მისი მხატვრული სახე მეტ ყურადღებას მოითხოვდა.

მთავრობის სახლის შიდა ეზოს ცენტრში, პროპილედების ღერძზე, მრგვალი, სადა შედრეგანია. წყალი ცენტრში მოთავსებულ უბრალო მილიდან ამოდის. აუცილებლად უნდა დაისვას საკითხი ამ შედრეგნის და ეზოს ზედაპირის მხატვრული დამუშავებისა, რაც კიდევ უფრო აქტიურად იმოქმედებს საერთო ამაღლებულ, საზეიმო განწყობაზე, რასაც პროპილედებში გამკლავი გრძნობს.

ამრიგად, როგორც ფასადთა არქიტექტურულმა ანალიზმა დაგვანახა, მთავრობის სახლის არქიტექტურა ისეა გადაწყვეტილი,

რომ ძირითადი ყურადღება, მთავრობის ბეტის — ფასადზეა მიპყრობილი. შემდეგ გვერდის და ეზოს ფასადებზე. ავტორებმა, შენობის ერთიანი არქიტექტურული სახის დაცვით, შეძლეს მკაფიოდ გამოეყვინათ მთავარი და მეორეხარისხოვანი.

ყურადღების ღირსია ერთი მომენტიც. ეს არის ღამის განათების საკითხი, რომელიც ავტორებმა ისევე საერთო ამოცანებიდან შეფარდებით გაიაზრეს. ლოჯიის და პროპილედების კამარებში, თაღდის უკან ჩამალული დღის სინათლის ნათურები უხვ შუქს ფენენ ფასადს, საზეიმო სახეს ანიჭებენ მის არქიტექტურას და განათებითაც გამოყოფენ საერთო განაშენიანებაში.



შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მემკვიდრეობის სწორად, კრიტიკულად ათვისების საკითხს. სოციალისტურ კულტურაში წარსულის მემკვიდრეობის ათვისება ხდება მისი დიალექტიკური უარყოფით, მასში ყოველფე მონაწილის, პროგრესულისა და მზარდის კრიტიკული შერჩევით. „მაგრამ უარყოფა, როგორც ხაზგასმით აღნიშნავდა ენგელსი, არ ნიშნავს უბრალოდ „არას“ თქმას. უარყოფა შეიცავს მემკვიდრეობითობას, იგი ნიშნავს მთელი იმ მონაწილისა და პროგრესულის შთანთქმას, კრიტიკულად გადაამუშავებას და ახალ უმაღლეს სინთეზში გაერთიანებას, რაც უკვე მიღწეულია ადამიანის აზრის ისტორიაში“¹.

მემკვიდრეობის ათვისების პრობლემის გადაჭრა სოციალისტურ კულტურაში უშუალოდ გამომდინარეობს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებიდან ამ საკითხზე. ლენინი გვასწავლის, რომ „მარქსიზმმა, როგორც რევოლუციური პროლეტარიატის იდეოლოგიამ, თავისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა მოიპოვა იმით, რომ მარქსიზმმა არათუ უკუაგლო ბურჟუაზიული ეპოქის უძვირფასესი მონაპოვარნი, არამედ, პირიქით, შეითვისა და გადაამუშავა ყველაფერი, რაც კი ძვირფასი იყო ადამიანის აზრისა და კულტურის ორიათას წელზე უფრო

ხანგრძლივ განვითარებაში. ნამდვილი პროლეტარული კულტურის განვითარებად შეიძლება აღიარებულ იქნას მხოლოდ შემდგომი მუშაობა ამ ნიადაგზე და ამავე მიმართულებით“¹.

ქეშმარიტი ხელნაწების ნაწარმოებებს შესწევთ უნარი მათ წარმომშობ ამა თუ იმ ეკონომიკურ ბაზისზე უფრო ცხოველმოქმედი და სიცოცხლისუნარიანი იყვნენ. ისინი ახალი საზოგადოებრივი წყობის დროსაც განაგრძობენ არსებობას, რადგანაც გარდუვალი ესთეტიკური მნიშვნელობა აქვთ და წარმოადგენენ კულტურულ მემკვიდრეობას.

მემკვიდრეობის ათვისებისას შესწავლის ობიექტს წარმოადგენენ როგორც სამოქალაქო, ისე საკულტო-რელიგიური ძეგლები, რომლებშიც ცოტათი თუ ბევრად არის გამოხატული ერის ფსიქიკური წყობა. არ შეიძლება დავიწყება იმისა, რომ როგორც მატერიალურ, ისე სულიერ სიმდიდრის ნამდვილი შემოქმედი ხალხია. და სწორედ ის ნაწარმოებები უძლეებს საუკუნეთა მსვლელობას, რომელშიც გამოხატულია ხალხის მონაწილეობა.

მაგრამ ჩვენ მიერ მემკვიდრეობის მიღება ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მასში ვითვისებთ მხოლოდ და მხოლოდ პროგრესულ, მონაწილეს ტრადიციებს. ჩვენი არქიტექტურა მტრია მემკვიდრეობის ათვისების ყოველგვარ ფსევდონოვატორულ (მემკვიდრეობის უარყოფა), თუ რესტავატორულ

¹ ა. ჯდამივი — სიტყვა გ. ლენინის წინასწარ დასავლეთ ვერსიის ფილოსოფიის ისტორიის შესახებ გამართულ დისკუსიაზე. „ბოლშევიკი“ № 9, 1947. გვ. 13.

¹ ე. ლენინი—თხ. ტ. 31, გვ. 381.



(ქედის მოხრა ძველის წინაშე) თეორიებისა, რადგან სოციალისტური კულტურა ძველი კულტურის უბრალო გაგრძელება კი არ არის, არამედ ხარისხობრივად ახალი მოვლენაა.

სოციალისტური ხელოვნება მემკვიდრეა ყველა იმ მიღწევისა, რომელიც კაცობრიობამ მოიპოვა კულტურის დარგში თავისი ისტორიის მანძილზე. მაგრამ უმთავრესი ყურადღება და წამყვანი მნიშვნელობა მემკვიდრეობის ათვისებაში ეროვნულ ტრადიციებს ენიჭება. საბჭოთა არქიტექტურის ეროვნული ფორმა ხელოვნებაში სოციალისტური ხალხთაობის ღრმად გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა. ეროვნული ფორმა მხატვრულ ნაწარმოებში სოციალისტური შინაარსის გამოხატვის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. საბჭოთა არქიტექტურაში ეროვნული ფორმა მხოლოდ სოციალისტურ შინაარსთან განუყოფელ კავშირში შეიძლება იყოს.

ამდენად, სოციალისტური კულტურის შექმნაში ეროვნულ ტრადიციათა პროგრესულ, შემოქმედებით გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რაც არაერთხელ იყო ხაზგასმული პარტიისა და მთავრობის დადგენილებებში. დიდ შეცდომას უშვებენ ისინი, ვინც ეროვნული კულტურის განვითარებას ინტერნაციონალიზმის პრინციპებისათვის საზიანოდ თვლიან. პირიქით, კემ-მარიტად ეროვნული ხელოვნების განვითარება მჭიდროდ უკავშირდება ინტერნაციონალიზმს.

არქიტექტურა ათასეულ წლების მანძილზე წარმოადგენდა ქართული ხალხის კულტურის ერთერთ წამყვან დარგს. ამ ქვის მატრიანემ ჩვენამდე მოიტანა დიდი სამშენებლო ხელოვნება, რომელიც მისი შემოქმედის — ქართულის ხალხის მაღალ კულტურულ დონეზე მეტყველებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში, ქართველი არქიტექ-

ტორები ცდილობდნენ შეექმნათ ეროვნული ნაციონალური სოციალისტური კულტურა. საქართველოში რეალისტური არქიტექტურის ჩამოყალიბება წინააღმდეგობათა გარეშე არ ხდებოდა. საბჭოთა ქართულ არქიტექტურაში ნაციონალურ ფორმათა შემუშავების მისწრაფება, დიდ სიძნელებს ხდებოდა: ეს სიძნელებები იყო ერთი მხრივ ნაციონალური არქიტექტურის ცალკეულ ფორმათა და ელემენტთა მექანიკური გამოყენება მემკვიდრეობის შემოქმედებით ათვისების მაგიერ (ტრაპეზოვითა სახლი თბილისში, არქ. ჩისლიევი; საცხოვრ. სახლი ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების კუთხეში, იაყუბოვიჩი; კინოსტუდიის შენობა, არქ. ბუზოლი და სხვ.), მეორე მხრივ კი ფორმალისტური — კონსტრუქტივისტული გამოვლენანი (მაგ. კავშირგაბმულობის სახლი თბილისში, არქ. სოლომონოვი), რაც ართულებდა საბჭოთა არქიტექტურის განვითარების გზებს. მაგრამ ძიების ამ პერიოდში უკვე შემუშავდა ჩვენი არქიტექტურის განვითარების ძირითადი ხაზი, რომელმაც შემდეგში ყოველმხრივი განვითარება მიიღო. და უკვე მეორე და მესამე ხუთწლიელებში იქმნებოდა ქართული საბჭოთა არქიტექტურის ნაწარმოებები, დამყარებული კლასიკურ და ნაციონალურ არქიტექტურულ მემკვიდრეობის უფრო ღრმა ათვისებაზე (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი თბილისში, არქ. ა. შნუსევი; „დინამოს“ სტადიონი თბილისში, არქ. ა. ქურდიანი; პავლიონი სას. საშენურეთა გამოყვანაზე მოსკოვში, არქ. ა. ქურდიანი, გ. ლუქვაძის მონაწილეობით და სხვ.).

ჩვენ მთავრობის სახლის ზედა — „ბ“ კორპუსისა და საოკეანოსო მასალების განხილვისას ვაჩვენეთ, რომ მთავრობის სახლის ძველი კორპუსი ჩვენი არქიტექტურის ისტორიის იმ პერიოდის მეტად დამახასიათებელი მოვლენაა, როცა სხვადასხვაგვარი ფორმალისტურ მიმდინარეობათა დაძლევი-



თა და განადგურებით ყალიბდება სოციალისტური არქიტექტურის ნამდვილი სახე.

როგორც უკვე აღვნიშნავდით, მთავრობის სახლის ზედა კორპუსის დაპროექტება და მშენებლობა ჯერ კიდევ ავტორის შემოქმედებითი ძიების პროცესშია. „ბ“ კორპუსში, როგორც დავინახეთ, ავტორი ჯერ ვერ განთავისუფლებულა მანვე ფორმალისტურ გავლენებისაგან. მაგრამ, ამასთან ერთად, შენობის არქიტექტურაში მკაფიოდ ჩანს მოწინავე მხატვრული იდეები, რომლებიც გამოიხატა ტრადიციების ათვისებისადმი ავტორის მიდგომაშიც.

უკვე ითქვა, რომ არქ. ვ. ყოკორინი თავიდანვე ცდილობდა შეექმნა ეროვნული დორმებით ამერყველებული არქიტექტურული ნაგებობა, რაც უფრო მეტად გამოვლენდა მის სოციალისტურ შინაარსს. მემკვიდრეობის ათვისებას იგი თვითმიზნად არ აქცევს. სრულიად სწორად, იგი ცდილობს ტრადიციულ არქიტექტურულ ფორმათა და მოტივთა მხოლოდ გადამუშავებით შექმნას თანამედროვე არქიტექტურული ნაგებობა. მაგრამ ამ მიზანს მხატვრულ ხორც-შესხმას ვერ უძებნის. რასაც ხელს უშლის ერთი მხრივ თვით ადგილობრივი ტრადიციების და ქართული ისტორიული არქიტექტურის ჯერ კიდევ არასწორი გაგება და მეორე მხრივ კონსტრუქტივისტული რეციდივები მის შემოქმედებაში, რომელიც საცხებით ჯერ არ იყო დაძლეული¹.

ავტორი „ბ“ კორპუსის არქიტექტურას — მასათა და ფორმათა კლასიკურ პროპორციულ გადაწყვეტაზე აგებს. რითაც მასათა ჰარმონიულ თანაფარდობას აღწევს. კლიმატური პირობების გათვალისწინებით იყენებს ლოჯიებსა და ღია გალერეებს. ამ უკანასკნელათათვის ქართული ისტორიული არქიტექტურისათვის მეტად დამახასიათებელ თაღებს ხმარობს.

ორნამენტულ მართულობას ავტორი, როგორც იყო აღნიშნული, თავშეკავებულად

ხმარობს. ქართულ ორნამენტაჟიდან სულ რამოდენიმე ნიმუში აქვს გამოყენებული არ შეიძლება არ აღინიშნოს არქიტექტორის ალლო ორნამენტის გამოყენებაში, რაზედაც კარგად მეტყველებს მაგალითად პორტლის გადაწყვეტა. ქართული ორნამენტის მრავალფეროვან და ურიცხვ რეპერტუარში ავტორი არ დაიბნა და გამოძებნა ისეთი ნახატი, რომელიც ყველაზე მეტად შესაბამებოდა შენობის მკაცრ არქიტექტურულ სახეს. პორტალი მონარჩობელაა სამკუთხოვანი კრის ვეომეტრიული ორნამენტით, რომელიც ძირითადად ხის ხალხურ ორნამენტადანაა აღებული. გრეხილ ჩალიში მოთავსებული ეს ორნამენტი, როგორც თავისი ხასიათით, ისე მასშტაბით, კარგად არის შეხამებული ფასადის არქიტექტურასთან.

როგორც იყო აღნიშნული, მონაკვეთის ტოპოგრაფია და კლიმატური პირობები მოქმედებენ შენობის კომპოზიციურ გადაწყვეტაზე, ადგილობრივი ტრადიციები ამ მხრივაც ბევრის მოქმედი იყო, და მართლაც, როგორც თვით ავტორი წერდა — გახსნილი შიდა ეზოს შექმნის იდეა მას ჩაესახა ქართულ ისტორიულ არქიტექტურულ ანსამბლების გაცნობის შემდეგ². შიდა ეზო მიეწოდება კომპლექსის კომპოზიციის ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი — ჩრდილოვანი გადასასვლელებით და გახსნილი ღერძის პერსპექტივული ეფექტით მეტად შიშინდელია. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ თვით ფასადთა მხატვრული სახე ყოველთვის ვერ ეგუება ადგილობრივ პირობებს. ასე, მაგალითად, თუ ჩიტაძის ქუჩის ფასადის დამუშავება, ჩრდილოვანი ლოჯიის მოცემით, სამარეთის ჰავასთანაა დაკავშირებული — ჭიქინაძის ქუჩის ფასადის მკაცრი არქიტექტურა, თბილისისათვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ცივია“.

¹ იხ. თავი II.

² В. Кокорин — «Дворец Правительства СССР» «Архитектура СССР» № 8, 1934, стр. 12.



როდესაც ადგილობრივ ტრადიციებზე ელაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მოსაპირკეთებელი ქვის გამოყენება ეზოს ფასადებზე. აქ კედლის სიბრტყეზე აყირა-ვეებული ქვებით რომელიც ნახატის შექმნისას ავტორმა არ გაითვალისწინა სამშენებლო ქვის ბუნება. იგი ტექტონიკურ ელემენტიდან, რომელიც საუკუნეების მანძილზე ძირითადად რჩება ქართულ არქიტექტურაში, დეკორატიულად გადაქცეა. ამიტომ მას მოაქვდა ბუნებრივობა და კედელი ფერადი შელესვით შესრულებულს დაემატა. ნაცვლად ქვის კედლის სიმტკიცის შთაბეჭდილებისა, იაფფასიანი ეფექტის შთაბეჭდილება გვრჩება.

საკონკრეტო მასალების განხილვისას ჩანდა, რომ მთავრობის სახლის დაპროექტებისას, ძირითადი ყურადღება და არქიტექტორის აზრი უმთავრესად მიპყრობილი იყო მთავარ, წინა კორპუსის ზღაპრულად დაგანა და კორპუსი მთავრობის სახლის მთელ კომპლექსში, რომელიც, როგორც ითქვა, ოთხ კორპუსისაგან შედგებოდა — უფრო რიგითს წარმოადგენდა. ეს ბუნებრივი იყო და ვასაგებიც. ამან გამოიწვია ზედა კორპუსის უფრო სადა და მარტივი გადაწყვეტა.

როგორც დავინახეთ, მთავრობის სახლის ზედა კორპუსში ქართული არქიტექტურულ ტრადიციათა ათვისება გვხვდება ადგილობრივ პირობების გათვალისწინებასა და ცალკეულ არქიტექტურულ ელემენტთა გამოყენებისას. მთელი შენობის არქიტექტურული სახე ჯერ არ ემყარება მთლიანად ადგილობრივ ტრადიციებს. ამ მხრივ იგი ჩამორჩება იმ დროის წამყვან არქიტექტურულ ძეგლებს, სადაც ნაციონალური ფორმები უკვე ორგანულად არის ჩართული საერთო მხატვრულ კომპოზიციაში. მაგალითისათვის შეიძლება გავიხსენოთ თბილისის „დინამოს“ სტადიონი (არქიტ. ა. ჭურდიანი) და საქართველოს პავილიონი სას. სამ. გამოფენაზე მოსკოვში (არქ. ა. ჭურდიანი, არქ. გ. 80

ლექიას მონაწილეობით), სადაც ავტორებმა შეძლეს ქართულ არქიტექტურულ ტრადიციებზე დაყრდნობით შეექმნათ თანამედროვე ნაგებობის მხატვრული სახე.

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მთავარი, წინა კორპუსის არქიტექტურა — მეორე რიგის მშენებლობა, ქართულ საბჭოთა არქიტექტურის იმ წარმატებებზე მეტყველებს, რომელსაც მან ომის შემდგომ წლებში მიაღწია. მეგვიდრეობის ათვისება მთავრობის სახლის არქიტექტურაში ცალკეულ ფორმათა ან ელემენტთა გამოყენებაში კი არა ჩანს, არამედ, მთელი არქიტექტურული ორგანიზმის გააზრებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორებმა მდიდრად გამოიყენეს როგორც ნაციონალური, ისე უცხოური მეგვიდრეობა — ვერავითარ ანალოგის ვერ ნახავთ ამ შენობასა და წარსულ ეპოქათა არქიტექტურაში. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: საქართველოს მთავრობის სახლის დანიშნულება, მისი მაღალი იდეური შინაარსი მკვეთრად განარჩევდა ყველა ძველ და თანადროულ უცხოურ არქიტექტურისაგან — მასში ახალი საქართველოს სოციალისტური სინამდვილეა ჩაქსოვილი.

მაგრამ ახალი შინაარსის შესაფერ მხატვრულ ფორმათა ძიებას ავტორები ღრმად უკავშირებენ კულტურულ მეგვიდრეობას, მის კრატეულად ათვისებას.

რით შეიძლება ავტორებს შეექმნათ თანამედროვე ნაგებობის ნამდვილად ნაციონალური სახე? შენობის ფასადზე ხომ ვერ დასახილვებთ ვერცერთ არქიტექტურულ ფორმას, რომელსაც შეიძლება მოეტყვნოს პირდაპირი პარალელი ძველ ქართულ არქიტექტურაში. მაგრამ ამავე დროს იგი ნამდვილად ქართული არქიტექტურის მაგალითია.

საერთოდ, ისტორიული ტრადიციების გამოყენება არ შეიძლება იყოს გამეორება რაიმე ნაციონალური არქიტექტურული ფორმისა თუ ელემენტისა, რა გინდ მოწინავე



არ უნდა ყოფილიყო ის თავის დროზე. საბჭოთა არქიტექტურა მოითხოვს ტრადიციათა შემდგომ განვითარებას, ხალხთა ეროვნულ შემოქმედებით მიღწევათა ახალ, უმაღლეს საფეხურზე აყვანას.

სრულიად სამართლიანად, მთავრობის სახლის ავტორებმა კი არ მიჰყვეს ხელი შენობის ქართული ისტორიული არქიტექტურის ფორმებით „გაფორმებას“, არამედ ღრმად ჩასწვდნენ ჩვენი არქიტექტურის არსს, შეძლეს მისი ახლებურად გააზრება და სწორედ ამან განსაზღვრა მათი შემოქმედებითი გამარჯვება.

ცნობილია, რომ „ქართული მონუმენტალური ხუროთმოძღვრების ერთერთი სიმადრდეთაგანია, ერთერთი ძირითადი ღირებულებათაგანია — კედელი, ქვის მტკიცე კედელი“¹. ძველი არქიტექტორი გეგმის ფუნქციურ გადაწყვეტას ფასაზედ შესატყვისი ფორმებით გამოხატავდა და იძლეოდა ერთიანი მოცულობის, თითქოს ქვის დიდი მასივისაგან გამოვყვითლ ნაგებობას, რომლის ძირითადად სადა, გლუვ ზედაპირზე — გარკვეული არქიტექტურული ლოკიით — სვამდა დეკორატიულ ელემენტებს და ამით ხაზს უსვამდა ამა თუ იმ მომენტს კედლის საერთო კომპოზიციაში, ავლენდა მთავარ მასში.

თანამედროვე არქიტექტურაში, როდესაც შენობის უტილიტარული დანიშნულების გამო კედლის მთელი სიბრტყე კარ-ფანჯრების ქსელითაა დაფარული, რთულია ამ ტრადიციის შენარჩუნება.

მთავრობის სახლის არქიტექტურაში ავტორებმა გამოიყენეს კლასიკური ხუროთმოძღვრების ძირითადი ფორმა — კოლონადა და ახლებურად წარმოადგინეს იგი. არქიტექტურულ გადახურვას, ქართული მონუმენტური არქიტექტურისათვის ერთერთი დამახასიათებელი ფორმა — თაღები ამკობინეს,

კლასიკური ორდერული სისტემით არ დანაწევრეს შენობა და შექმნილ თანამედროვე ორდერი თაღების სახით, რომელიც ქმნის ძირითად დანაწევრებას. თვით თაღების თემას ახლებური, თანადროული ჟღერა მისცეს. თაღების ამაღლებული, ხაზგასმული მასშტაბურობა მოწყენჯალობას ანიჭებს ფასადს. შენობის კორპუსთა ფრონტის წინ კოლონადით — თაღებით, ავტორებმა შექმნეს კედლის ერთიანი გლუვი ზედაპირი სწორად გატარებული კვადრების რიგებით. რომ შექმნილიყო მთლიანი კედლის სიბრტყის შთაბეჭდილება, გამოიყენეს არქიტექტურის ისტორიაში სრულიად ახალი ხერხი — კამბიტელით არ გაკურსეს სვეტი და ამით შენობის ცოკოლამდე კედლის ერთიანი სიბრტყის გადმოცემას მიაღწიეს. კედელი რომ მძიმე არ ყოფილიყო, დეკორატიულ ელემენტების ძუნწი, თავშეკავებული ხმარებით გააცოცლეს. კედლის ერთიანი სიბრტყედ წარმოდგენას ხელს უწყობს აგრეთვე ფართო, სადა ბურჯების ერთმანეთთან ახლო დგომა. ზევით კედლის სიბრტყეს ჰორიზონტულად მიჰყვება ქართული მცენარეული ორნამენტით შემკული დამაგვირგვინებელი კარნიზი. კედელი მთავრდება აგრეთვე, ქართული ძეგლებისათვის დამახასიათებელი სადა პროფილის მქონე პარაპეტის კარნიზით. ოთხკუთხა ბურჯების მომრგვალებული კუთხისებრები, ქართული ისტორიული არქიტექტურის კედლის დეკორატიულ სვეტებს მოკავდებენ. თვით შენობის კორპუსთა კედელიც სადად არის გადაწყვეტილი. აქაც გამოვლენილია ერთიანი კედლის თავისუფალი სიბრტყე.

ამრიგად, მაღალი თაღების გადაწყვეტა ნოვატორულია და გამომდინარეობს ქართული არქიტექტურის ტრადიციებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ერთიანი მასივისაგან შექმნილ მთლიანი მოცულობის გადმოცემას, კედლის ერთიანი სიბრტყის შექმნას, არქიტექტორები თვითმიზნად არ აქცევენ.

¹ გ. ჩუბინაშვილი — „ქართული ხელოვნების ისტორია“ თბილისი, 1936, გვ. 156.
6. 6. ჯანაბერიძე



ეს გამომდინარეობს არქიტექტურული სახის გააზრებიდან.

მთავრობის სახლის ფასადის სიღრმე და მკაფიო კომპოზიცია, თავისუფალი კედლის სიბრტყე, სამკაულები წომიერი ხმარება, გაძალღეს ნაციონალური მეწყვეტარების „მოსწინლი“ სახით—ე. ი. კრატეული მიდგომისა და შემოქმედებითი გააზრებების საფუძველზე გამოყენების სურათს.

ინტერიერის გადაწყვეტა, როგორც დავი-ნახეთ, ემყარება ცენტრულ ლერძს, რაც აგრეთვე მკაფილ ახასიათებს ქართულ არქიტექტურას. მთავრობის სახლის ავტორებმა გააღრმავეს და ახლებურად წარმოადგინეს საკუთარი, ხალხური ტრადიცია, მონუმენტალური ნაგებობის სიერკუთხედი გადაწყვეტისა, რომელიც საერთო ხუროთმოძღვრებაში დარბაზით „შემწმინდ სივრციდან გამომდინარეობს“¹.

მთავრობის სახლის ავტორებმა მინისტრთა საბჭოს ეესტიბიული გადაწყვეტის ერთიანი სივრცით. მათ გამოიყენეს მთლიანი ხუროთმოძღვრებაში ცნობილი კომპოზიცია ცენტრალური სივრცის გარშემო გაღვივის მოთავეებისა (თუ გინდ რომის ბაზილიკები, რენესანსული სასახლეები და სხვ.), მაგრამ ვერტიკალური ლერძის ვარშემო მათი განლაგებით ახალი გადაწყვეტა მოგვეცეს. ზევიდან განათება ქართული „დარბაზის“ იდეითაა შთაგონებული. ეს ხაზგასმულია სწორად ზევით, გადახურვასთან დარბაზული — დედაბოძის² ტიპის სვეტების დაყენებით, რაც ზედა განათებას რომაულ ატრიუმებთან, ან სხვა ზედა სინათლის მომცემ კომპოზიციურ გადაწყვეტასთან კი არა, ქართულ დარბაზებთან აკავშირებს, მასთან იწყვიტ ასოციაციას. ე. ი. აქვე ეროვნული ფორმის გახსნისათვის არქიტექტორები ისტორიულ ძეგლებიდან აღებულ ცალკეულ ელემენტებს კი არ ხმარობენ არა-

მედ თვით გააზრებაა დაყრდნობა ერთნაწილი არქიტექტურის ტრადიციებზე. მთავრობის სახლის არქიტექტურაში ფართოდაა გამოყენებული ორნამენტული მორთულობა.

ორნამენტული მორთულობათა გამოყენების საკითხი დიდი მნიშვნელობის პრობლემაა, რადგან სცილდება ამ ერთა შენობის განხილვის ფარგლებს. დღეს-დღეობით საბჭოთა ქართულ არქიტექტურაში, რომელშიც მკაცრად არის ფეხმოკიდებული დეკორის გამოყენება, დეკორის რეპერტუარი მთლიანად ემყარება ძველ ორნამენტულ სახეებს. ცალკე საკითხია, რამდენად მართებულია უკვე ცნობილი ორნამენტული სახეების განმეორებით დაკმაყოფილება. ჩვენ შემთხვევაში ვესვებით მხოლოდ იმას, რამდენად ლოგიკურად არის გამოყენებული ორნამენტული მორთულობა ამ ამოცანის ფარგლებში. ეს საკითხიც თავისთავად დიდმნიშვნელოვანია, რადგან თანაკურთხევე არქიტექტურაში, ბევრჯერ არა მარტო ორნამენტული სახეები მეორდება, არამედ ხშირად ორნამენტაციის გამოყენება მოკლებულია მიზანშეწონილებას და ლოგიკას. ამ მხრივ, მთავრობის სახლი საბჭოთა არქიტექტურაში, დეკორატიულ-ორნამენტულ ელემენტთა რაციონალური გამოყენების კარგ მაგალითს წარმოადგენს.

საქართველოს მთავრობის სახლის ავტორები დეკორის გამოყენებით ზედმეტად კი არ რთავენ კედლისა თუ ჰერის სიბრტყეს, არამედ მხატვრული ტექტით საზღვრავენ ორნამენტის ადგილსა და დანიშნულებას. ორნამენტთა განლაგება იცავს შინაარსობრივ-იდუორ ლოგიკას. ორნამენტული მორთულობანი ხაზს უსვამენ ამა თუ იმ იდეურ-მხატვრულ აქცენტს საერთო არქიტექტურაში.

თავისი დეკორატიული მორთულობით, მთავრობის სახლი გამოირჩევა პორტალებით. თვით შესასვლელთა ხაზგასმით ვაპოყოფა მისი ორნამენტული დამუშავებით, შესასვ-

¹ ვ. ცინცაძე—ილიუთის ნათოსმცემლის გუმბათოვანი ეკლესია. „ქართული ხელოვნება“ ტ. III, თბ. 1950, გვ. 7.



ლელის გადაწყვეტა, როგორც დაუ ნავიობათა ზომების აღმამინსადმი შესაფერ მასშტაბამდე დაყენის ერთერთი ზერხი (ძველ არქიტექტურაში ამისათვის პორტიკებსაც იყენებდნენ) — უკვე ქართული ისტორიული არქიტექტურის ტრადიციებზე მეტყველებენ.

უმაღლესი საბჭოს პორტალის მოპირაზობა იმეორებს ძველი არქიტექტურას, განსაკუთრებით XIII — XIV საუკ. გავრცელებულ ხერხს¹ (დაბა, ქულა, ზარზმა და სხვ.), მაგრამ მისი გადაწყვეტა ემორჩილება კომპოზიციის საერთო ჩანაფიქრს — ამით არის გამოწვეული მისი სწორკუთხა ფორმა. მოჩარხობის ორნამენტის ნახატი არ არის ახალი, იგი გვხვდება ძველ ძეგლებზე (მაგ., სვეტიცხოველი), მაგრამ ორნამენტის ელემენტთა შეფარდება, ჭრის მანერა — განსხვავებულია პროტოტიპებისაგან.

ასევეა, შესასვლელის ვარშემო, S-სებრი ორნამენტის გამოყენებაც შესასვლელის მორთულობაში. ამ ორნამენტის გამოყენებას დიდი ტრადიციები აქვს. იგი ქართულ არქიტექტურაში ერთერთი ყველაზე მეტად გავრცელებული ორნამენტია. შედარებასათვის რომ ავიღოთ მაგალითად სავანის ტაძარი, რომელსაც იგი ყველაზე მეტად გვაგონებს, დაინახათ, რომ ჩვენს შემთხვევაში, სრულად სხვაგვარაა მიდგომა. ჩვენთან S-ის შუაში ერთი ღრმა ღარია გატარებული, რაც ორნამენტის კედლისადმი ვერტიკალურ ჭრასთან ერთად, სხვაგვარაა შეტყველებას აძლევს ორნამენტს. უნდა აღინიშნოს, რომ ძველ არქიტექტურაში S-ის ასეთი სახე არ გვხვდება. შუაში მხოლოდ ერთი ღარის გატარებისას, მთავრობის სახლის ავტორები გამოდიოდნენ ორნამენტული ელემენტის პორტალის საერთო მასშტაბთან შეფარდების ამოცანაშიდან.

სრულად ახლებურადაა მიწისტირთა საბჭოს პორტალი, ძველ ძეგლებზე არ გვხვდება შესასვლელთა მსგავსი გადაწყვეტა, მაგრამ თვით ორნამენტული ხალიჩა ქართული ტრადიციებითაა ნაქარნახევი. ავტორებს ნიმუშად ატენის ენობიოი კანკელი აულით. მაგრამ თუ ატენის კანკელის ფილაზე ორნამენტული ხალიჩა მხოლოდ ზედპირის ფარავს, აცილებს მას, თავისებურად აჩარჩობს სველბურთულ გამოსახულებებს, და ამით ერთ მოლანში აერთებს მათ — აქ ორნამენტული ხალიჩა არქიტექტურული ელემენტის ფონად არის აღებული, რომელზედაც მიღებული დეკორატიული სვეტებისა და შესასვლელის სადა გადაწყვეტა, მათი მხატვრული კონტრასტი, მთელი პორტალის მხატვრული სახის საფუძველს შეადგენს. ავტორებმა მცირე პლასტიკის ნიმუში აკლდის დიდი სიბრტყის დასაფარავად გამოიყენეს, მონუმენტულ დონემდე აიყვანეს იგი და ამით მოკვეცეს კედლის დეკორატიული დამუშავების ახალი მაგალითი.

ყურადღებას იპყრობს შესასვლელთა თავსართის გადაწყვეტაც. ენობიოია, რომ ძველ ძეგლებში კარების ტიპაზე ამახვილებდნენ ყურადღებას (რელიეფებითა თუ სხვადასხვა გამოსახულებებით). ტიპაზე მოთავსებული რელიეფითა სიუჟეტი, წარწერა ხაზს უსვამდა ნაგებობის იდეურ შინაარსს. თუ შორიდან განხილვისას, ასეთ აქცენტებს მაყორებელი საერთო ფორმებში, მსჯელო გამოსახულებებით ხედავდა, ძველთან ასლო მდგომარისათვის ობრობითი (წარწერით თუ რელიეფით) გადმოცემა შესასვლელის თავზე მოთავსებულ ტიპანებზე ხეებოდა.

მთავრობის სახლზე ავტორებმა პირად არ გადმოიტანეს ეს ხერხი, მათ დაარღვეეს ტიპანის ტრადიციული ერთგვარაზანი კომპოზიცია და იგი გადაწყვიტეს თავსართის სახით. ავტორებმა შესასვლელზე შექმნეს სრულად ახალი კომპოზიციური ნახვილი და მასზე საბჭოთა ემბლემატიკის გა-

¹ Р. Шьярлинг. Постройка мавзолеев-ухунеса паря Георгия Бангастельного в сел. Дабა. ქართული ხელოვნება ტ. II, თბ. 1948.



მოყენებით — გააძლიერეს, კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი შენობის მაღალ დასწმულეზას.

აღსანიშნავია, რომ ავტორები, ორნამენტის მოცემისას, კარგად გრძნობენ ფაქტურის როლს. ინტერაერში ყველა დეკორატიული ელემენტი თავაშირისაგან არის ნაკეთები, მაგრამ ფერის გამოყენებით, მათ მიცემული აქვთ სხვადასხვა ფაქტურის სახე. თუ მაგ. მასალა „ბრინჯაოდ“ გამოიყურება, ნახშირია ქედური ორნამენტული ნიმუშები — ე. ი. ავტორები ითვალსწინებენ მასალას, მასთან შეფარდებით ორნამენტის სპეციფიკას.

კარგად შესძლეს ავტორებმა ქართული ორნამენტული მოტივების ახლებურად გააზრება, მაგ. უმაღლეს საბჭოს ვესტიბიულის კამარის კუთხეებზე. ქართული ქედური ხელოვნების ნიმუშებიდან აღებული მცენარეული ორნამენტი სრულიად ახლებურად არის წარმოდგენილი და კარგად შეეფერება ნაგებობის საერთო მასშტაბს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ ორნამენტული მორთულობანი თხოულობენ ნახატის მეტად დახვეწას, მეტ პლასტიკურობას (მაგ. კაბიტელები უმაღლეს საბჭოს ვესტიბიულში, მინისტრთა საბჭოს ვესტიბიულის ქვედა იარუსის კაბიტელები, ორნამენტული არშია ატვის სართულის ფანჯარაზე მცირე ეზო — ვესტიბიულში და სხვ.). მაგრამ მთავარი და ყურადსაღები აქ ის არის, რომ ავტორები ძირითადად სწორად საზღვრავენ ორნამენტის როლსა თუ ადგილს შენობის არქიტექტურაში და იცავენ მორთულობის ლოგიკას — რითაც მიზანსაც აღწევენ: შენობა ინარჩუნებს საქმიან იერს და ამავე დროს მიზიდველიც არის.

საქართველოს მთავრობის სახლის ავტორები ცდილობენ, თითქმის ყველა არქიტექტურულ ელემენტა გადაწყვეტისას, ეროვნულ ტრადიციულ ფორმებს დაეყრდნონ. ასეთი ცდა მათთან ყოველთვის წარმატებით რადი გვირგვინდება.

როგორც ცნობილია, ქართული ისტორიულ არქიტექტურას არ დაუტოვებია ზოგჯერ არქიტექტურულ ფორმათა ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული სახე, „ქართული ხუროთმოძღვრების ნიშანდობლივი თვისებების შემცველად ცნობილი“. ეს უპირველესად შეეხება სვეტს, სვეტისთავს, მათ ურთიერთ თანფარდობას, არქიტრავულ ორღერულ სისტემასა და სხვ. ამიტომ თანამედროვე არქიტექტორები, სრულიად სამართლიანად, ძირითადად ეყრდნობიან კლასიკურ ორღერულ გადაწყვეტას და მისგან გამოდიან. ცალკეულ ელემენტებისათვის ქართული ფორმების მიცემით, ახალი პროპორციებით, ცდილობენ ახლებურად წარმოადგინონ იგი.

ასე წყვეტენ მთავრობის სახლის ავტორებიც, მაგალითად, უმაღლესი საბჭოს ვესტიბიულის ორღერს. სვეტისთავების ნახატი აქ სრულიად თავისებურია, რომლისთვისაც აღებულია ძველი ქართული არქიტექტურიდან კედლის დეკორის ელემენტი სტილიზებული ვაზისებრი სამკაულით. მაგრამ ეს ელემენტი არ არის ორგანულად ჩართული მთელ ნახატში, ხელოვნურად არის მიღგმული დაწვეულ ფონზე, თვით ორნამენტულ გრეხილს სტილიზაციის, მოღერნისტული იერი დაჰკრავს.

ასევე არაა ორგანულად დაკავშირებული, უმაღლეს საბჭოს სხდომათა დარბაზის პლაფონის საერთო დეკორატიულ-გადაწყვეტასთან, ქართული ქედური ხელოვნების ნიმუშთა მიხედვით შერჩეული ორნამენტული ზოლი. იგი არ ეთანხმება კუსონებსა თუ მცირე კონსტრუქციებს, რომელთა მხატვრული გადაწყვეტა სრულიად სხვაგვარია. ორნამენტული ზოლის ნაზი დინება კონსტრუქციის მშრალ გადაწყვეტისაგან განცალკავებით იკითხება. ქვედა კარნიზი, მცენარეული ორნამენტით შემკული, ვერ ასწორებს ამ წინააღმდეგობას. აქვე უნდა ითქვას, რომ ინტერიერში ქედური ორნამენტული ნიმუშების გამოყენება, ჩვენი აზრით, დასაშვებია



მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შერჩეული იქნება ისეთი ზომები, რომელიც ამ ორნამენტს თავის სპეციფიკას არ დაუკარგავს. ჩვენს შემთხვევაში, ორნამენტის ზომები მეტად დიდია და მიუხედავად იმისა, რომ ნახატი ოსტატურადაა შესრულებული, ეფექტი მაინც არ არის მიღწეული.

ავტორები იცავენ განუმეორებლობას პრინციპსაც, რასაც აგრეთვე გარკვეული ტაქტიკით იყენებენ და არ აქცევენ თვით-მიზნად. მაგალითად, კოლონადის სვეტისთა-ვეებისათვის სრულიად სხვადასხვა ნახატს კი არ იღებენ, არამედ იღებენ რამდენიმე ძირითად ტიპს და მათი მორიგეობით (კაპიტლებში მეორე იარუსის თაღედზე მინისტრთა საბჭოს ვესტიბიულში, ზედა კორპუსის ლოჯიის თაღედის კაპიტლები ჩატაის ქუჩაზე და სხვ.), ან თვით მაგ. ერთი და იგივე კაპიტელზე არა ერთგვარი ნახატი მჭირვარე გვერდების ცვლით, აღწევენ მხატვრულ მრავალფეროვნებას.

ძველ ქართულ არქიტექტურაში ოსტატები ხშირად ორნამენტულ მორთულობათა სხვადასხვა ელემენტთა შეფერადებით, უფრო ეფექტურს ხდიდნენ მათ. ფონის დაფერვა მეტ გამოხატულებას ანიჭებს ამა თუ იმ ორნამენტულ მორთულობას. ამ ცნობილ ხერხს კარგად იყენებენ მთავრობის სახლის არქიტექტორებიც. მთავრობის სახლში, ინტერიერში ორნამენტთა ფონი დაფერილია. ასე, მაგ. კაპიტლების (მინისტრთა საბჭოს ვესტიბიული, სხდომათა დარბაზები და სხვ.) თვით ყელი მუქად არის შეღებილი მავან, როცა ამოხსნილ ელემენტებზე აქა-იქ მოთეთრო ტონი აქვს დადებული. რადგანაც ინტერიერში ძირითადად თანაბარი განათებაა, ფერების ცვლა იძლევა ჩრდილ-სინათლის სასურველ ეფექტს.

თვით მოსაპირკეთებელ მასალად ადგილობრივი ბუნებრივი ქვის გამოყენებაც კი, ეროვნულ არქიტექტურის ტრადიციებზე მეტყველებს. კედლებს მხოლოდ ერთი

ქვით მოპირკეთება მონოლითურს ხელსაყველ შენობას. იგი მსგავსად ძველ ეგვიპტეში, თითქოს ერთი ქვის დიდი მასივისაგან არის გამოკვეთილი.

მართალია, შენობის ბუნებრივი ქვით მოპირკეთებამ გარკვეული როლი ითამაშა მშენებლობის საერთო ღირებულებაზე, რადგანაც ჯერ კიდევ ძვირი ჯდება ბუნებრივი მოსაპირკეთებელი მასალა. მაგრამ ნაგებობის ექსპლოატაციის დროს, ბუნებრივი ქვით მოპირკეთებული შენობა უფრო ეკონომიური გამოდის, ვიდრე, ვთქვათ შეღესილი. აქ საკითხი თვით ბუნებრივი ქვის მოპოვებას უკავშირდება: იგი ისე უნდა მოეწყოს, რომ ეკონომიურიც იყოს და უფრო შედეგიანიც დანაკარგებთან ბრძოლაში.

ამრიგად, საქართველოს სსრ მთავრობის სახლის არქიტექტურაში ეროვნული ფორმა გამოხატულია მთელი ნაწარმოების ხასიათში და არა ცალკეულ ცნობილ მოტივთა გარეგნულ მსგავსებაში. ქართული არქიტექტურის ტრადიციულ თავისებურებანი გამოყენებულია ხარისხობრივად ახალი ნაწარმოების შესაქმნელად.

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის არქიტექტურა ჩაკეტილი კი არ არის ეფორი-ნაციონალურ ჩარჩოში, არამედ შეთავსებულია სხვა ერთი მიღწევებთან არქიტექტურის დარგში.

დიდია რუსული კლასიკური არქიტექტურის მნიშვნელობა საბჭოთა ხალხების არქიტექტურისათვის. მისი ღრმად განვითარებული ქალაქმშენებლობის პრინციპები, ანსამბლები, მკაფიო და კომპაქტური დაგეგმარების საფუძველები, სრულყოფილ ფორმათა ლოკიურობა და დახვეწილობა, არქიტექტურაში ფერის როლის გაგება და შეფასება, მშენებლობის ეკონომიურობა — საბჭოთა არქიტექტურისათვის მეტად მნიშვნელოვანი და ყურადსაღები.

ისევე, როგორც ყველა სოციალისტური ერების კულტურისათვის, საბჭოთა ქართულ



არქიტექტურაში დიდ როლს თამაშობს რუსული არქიტექტურის პორაგრესული ტრადიციები.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, რუსული კლასიკური არქიტექტურის პრინციპები ფართო ასპარეზს პოულობენ საქართველოს ხელოვნობაში. რუსული კლასიციზმის დანერგვის პროგრესული როლი ახალ ქართულ არქიტექტურაში განსაკუთრებით ნათელი ხდება, როდესაც მას ვადარებთ კაპიტალისტური თბილისის „შენიშავლიან“ სახლების უპრინციპო არქიტექტურას, რომელიც ხასიათდებოდა ერთი მხრივ მყვარალა უგემოვნო მოდერნიზმით, ხოლო მეორე მხრივ ვითომ „აღმოსავლური“ ეკლექტიკური არქიტექტურით — მსგავსად შრეტერის ოპერის თეატრისა და სამხედრო ტაძრის არქიტექტურისა.

საქართველოში საპიკოთა ხელისუფლები გამარჯვების შემდეგ, მრავალწლოვანი სამუშაოთა სახელმწიფოში ვაერთიანებული ქართული ვრიც ღრმად სწავლობს და იყენებს მოწინავე რუსულ შემკვიდრეობას, როგორც კულტურის ყველა დარგში, ისევე არქიტექტურაშიც.

სოციალისტური ვერების შემოქმედებითი მეგობრობის გამომატეველია ის ფაქტიც, რომ საქართველოს მთავრობის სახლის ავტორებია ვოპში, თანასწორუფლებიან რუს და ქართულ ხალხთა წარმომადგენლები: ვიქტორ კოკორინი და გიორგი ლევავე.

ავტორებმა მთავრობის სახლში გამოიყენეს და გააღრმავეს რუსული კლასიციზმის ზოგვირბი მხატვრული ხერხი.

რუსულ არქიტექტურულ კლასიციზმში ფართოდ არის გავრცელებული შიდა ეზოს პერიმეტრზე შენობის განლაგების ხერხი. (ჩვენ ზვეით აღვნიშნეთ, რომ შიდა ეზოს გამოყენების იდეა ნაკარნახევი იყო ადგილობრივი ტრადიციებით. აქ ვლაპარაკობთ მის კომპოზიციურ გადაწყვეტაზე საერთო არქიტექტურულ კომპლექსში). შიდა ეზო დიდ არქიტექტურულ ნაგებობათა თითქმის

აუცილებელი კომპონენტი. მისი დიდი ფრონტი გამოიყოფილია თაღოვანი შესასვლელით, რაც საერთო კომპოზიციური სივრცობლივ ღერძს ქმნის და არქიტექტურულ ორგანიზმს აერთებს, აკავშირებს გარე სივრცესთან. ცენტრი გამოყოფილია სამკუთხა ფრონტონით, ამაღლებული კარტუშითა თუ სხვა საშუალებებით. ნაგებობის ასეთი კომპოზიციის საფუძვლად უდევს როგორც სასახლეებს (ლეფორტოვო, სტრელნა, აღმირალტეისტო, სენატისა და სინოდის შენობა ლენინგრადში და სხვა), ისე ქალაქის საცხოვრებელ სახლებსაც (ბ. ორდინკაზე მოსკოვში და სხვა). შუაში თავისუფალი გასვლელით, ხშირად ტრიუმფალური თალის თემის გამოყენებით, არქიტექტორები ერთ მხატვრულ სახეში აერთიანებდნენ შენობის განცალკევებულ კორპუსებს¹.

საქართველოს მთავრობის სახლის საერთო არქიტექტურული სახის შემქნაში შიდა ეზო და შუაში გასასვლელი — პროპილევა, როგორც კომპოზიციის ცენტრალური ღერძი, წამყვან როლს ასრულებენ. შიდა ეზო პასუხობს როგორც რელიეფის, ისე ადგილობრივ კლიმატურ პირობებს. სამი მხრიდან მას შენობა ღია გალერეებით ერტყმის, რაც შენობას გარე სივრცესთან ორგანულად აკავშირებს და ზაფხულის ცხელ დღეებში ჩრდილოვან გადასასვლელებს ქმნის. ადგილის რთული დაქანებული რელიეფი

¹ რა თქმა უნდა, ამ ამოცანას არქიტექტორები ყოველთვის თავისებურად, სავითო არქიტექტურულ ამოცანებიდან გამოსვლით წყვეტდნენ. ასე მაგ. არქიტექტორმა როსიმ სენატისა და სინოდის შენობათა გარეთიანებისას გამოიყენა იგივე ტრიუმფალური თალის თემა, რაც ადრე მას მთავარ შტაბზე ჰქონდა. მაგრამ იქ მთავარი შტაბის თაღით იგი ხაზს უსვამდა მოდერნის მთავარ ღერძს და აქ ეს იყო მისთვის მთავარი, სენატისა და სინოდის შენობაში იგი მაქსიმალურად უსყენს ხაზს გავრთიანებულ შენობის ფსადის რთობიანობას და ამიტომ არ ხერხავს დეკაბრისტების მოედანზე მთორფარისოვან ტენის გამოსვლასაც. «История русской архитектуры» Краткий курс. М. 1951, стр. 264.



ტერასებით იყოფა. ამ ტერასებზე აუზების, შადრევნებისა და მწვანე ნარგავთა პარტერის მოთავსება აციცხლებს ეზოს.

ცალკეულ კორპუსთა მონუმენტალური თაღული ერთ მთლიან საფასალო შენობაში გაერთიანება მარტო შუა გასაცვლელი თაღებით კი არ ხდება, არამედ შენობის ფუნქციური ორგანიზაცია თვით ჰქრავს შენობას ერთიან, მთლიან ორგანიზმში: ერთი კაბაჰუსიდან მეორეში გადასასვლელები გვეკვამივე ერთიანებენ ფრთებს. ამრიგად, ცენტრალური სამი თაღი მხოლოდ შენობის გასაერთიანებლად კი არ არის, არამედ წარმოადგენს რა ერთერთ რგოლს თაღუდის საერთო რიტმში, ბუნებრივად „ჰქრავს“ კიდევ ორივე ფრთას. ყრუ კედელი სამკუთხა თემატიკური ფრონტონით გვირგვინდება, რაც მკაფიოდ გამოყოფს შენობის ცენტრს და აცლენს პროპილეების გამკოლ ლერქს. ცენტრი გამოყოფილია ისე, რომ შენობას ფსაადის ფრონტის ერთიანი სიბრტყე არ ირღვევა.

როგორც დავინახეთ, ავტორებმა ყველა ეს ცნობილი კომპოზიციური გადაწყვეტა თავისებურად გაიზარეს, შეუფარდეს მათ წინ დასმულ ამოცანებს და ახლებურად წარმოადგინეს.

საბჭოთა სინამდილეში, სოციალისტური ერების მზარდი განვითარებისას, ნაციონალური არქიტექტურის არჩი არ შეიძლება მხოლოდ ისტორიული, ნაციონალური თუ უცხოური მემკვიდრეობის გამოყენებით განისაზღვრებოდეს. მემკვიდრეობის ათვისება ხდება საბჭოთა არქიტექტურის საერთო განვითარების დროს, მასში უკვე შექმნილ ტრადიციების გათვალისწინებითა და ზრდით.

სოციალისტურ ერთა ზელოვნებაში ნაციონალურ ფორმას მარტო ისტორიული ნაციონალური ტრადიციები როდი განსაზღვრავენ. სოციალისტურ ერთა დიდი კულტურული განვითარება, საბჭოთა საზოგადოების მატერიალური და კულტურული ზრდა,

ახალ, უმაღლეს, სოციალისტურ აზრს ანიჭებს ნაციონალური ფორმის შექმნის ტრადიციების ათვისება. კულტურული მემკვიდრეობის ათვისება ვილეში მჭიდროდ უკავშირდება ახალ, საბჭოთა არქიტექტურის ტრადიციათა ათვისებას.

საბჭოთა არქიტექტურის განვითარების მანძილზე ჩამოყალიბდა სოციალისტური აღმინისტრაციული ნაგებობის — საბჭოთა მთავრობის სახლის იდეურ — მხატვრული სახე. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის სახლის აღმინისტრაციული შენობები აწენებულია სხვადასხვა ქალაქებში, სხვადასხვა დროს, მათ აქვთ საერთო პრინციპები, რომლებიც გამოხატავენ არქიტექტურის ისტორიაში ხარისხობრივად ახალ არქიტექტურულ სახეს. მთავრობის სახლის არქიტექტურის გადაწყვეტა, როგორც მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქთა, ისე მსხვილ ქალაქებში, ერთერთ წამყვან თემას წარმოადგენს საბჭოთა არქიტექტურაში.

საბჭოთა აღმინისტრაციული სახლები თავისი არქიტექტურით სოციალისტური დემოკრატიის პრინციპებზეა დაფუძნებული. ეს ახალი შინაარსი გამოხატულია კომპოზიციის და არქიტექტურულ ფორმათა სისადადეში და სიმარტოეში, მომსგელოთა და მომეშევეთა მიმართ მუდმივ ზრუნვაში, ფართო და ნათელ სამეშაო ოთახებში და სხლომათა დარბაზებში, ღია განიერ შესასვლელებში, არქიტექტურის სიღაღესა და მონუმენტალობაში, შენობის ამოღებულ მასშტაბურობაში და სხვ.

ყველა ეს თვისებები ახასიათებენ სსრკ მინისტრთა საბჭოს სახლს მოსკოეში (არქ. ა. ლანგმანი, 1933—35), ლენინგრადის საბჭოების სახლს (არქ. ს. ტრიცი, 1936—40) უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს სახლს (არქ. ი. ფომინი, 1935—38) და უმაღლეს საბჭოს შენობას (არქ. ვ. ზაბოლოტნი, 1939), სომხეთის სსრ მთავრობის სახლს



(არქ. ა. თამანიანი, 1926—40), აზერბაიჯანში და სხვ. მიუხედავად არქიტექტურულ ფორმათა და კომპოზიციურ გადაწყვეტათა სხვადასხვაობისა, ყველა ამ შენობას აერთიანებს ეს თვისებები საბჭოთა მთავრობის სახლისა. ბელარუსის მთავრობის სახლის არქიტექტურაშიც კი (არქ. ი. ლანგბარდი, 1935), სადაც ავტორი ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა კონსტრუქტივიზმის გავლენისაგან — შენობის არქიტექტურულ სახეში მაინც ჩანს საბჭოთა ადმინისტრაციული სახლის წამყვანი პრინციპები. შენობა აორგანიზებს არქიტექტურულ სივრცეს და ანსამბლში წამყვან ელემენტს წარმოადგენს.

ყველა შემთხვევაში დასახლებული მაგალითი საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ მთავრობის სახლის დაპროექტების პრინციპებზე, რომლებიც საბჭოთა არქიტექტურაში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული. გეგმები რაციონალურადაა გადაწყვეტილი. სამუშაო ოთახები ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ მუშაობა შეუფერხებლად მიმდინარეობდეს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სხდომათა დარბაზს — ყველაზე ხალხმრავალ სადგომს შენობაში, სადაც მნიშვნელოვანი, სახელმწიფოებრივი საკითხები წყდება და სადაც იურიან თავს რესპუბლიკის გამოჩენილი ადამიანები. მთავრობის სახლი ქუჩისა თუ მოედნის განაშენიანებაში მთავარ, მორგანიზებელ როლს თამაშობს. ქანდაკებათა გამოყენება და საერთოდ ხელოვნებათა სინთეზი ხელს უწყობს მისი იდეური შინაარსის გახსნას. ფორმათა მონუმენტალობა სილიადეს ანიკებს მას გარემოცველ არქიტექტურაში. გარე სივრციდან შიდაზე გადასვლისას, სილიადის გა-

მოხატვისათვის, დიდი ყურადღება ენიჭება ვესტიბულების, ფოიეთა და სხვა დეტალებს. დეკორატიულ-მხატვრულ ელემენტთა გამოყენება და მასში საბჭოთა ემბლემატიკის ჩართვა იდეურ სიმახვილეს ანიკებს მხატვრულ სახეს. საბჭოთა მთავრობის სახლის არქიტექტურა ლაკონურ, სადა, მაგრამ დიდი ფორმებით წყდება.

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის ავტორებმა გააგრძელეს საბჭოთა ადმინისტრაციულ შენობათა არქიტექტურის ტრადიციები: მთავრობის სახლს მისცეს საზეიმო, მაგრამ ამავე დროს საქმიანი სახე. მისი არქიტექტურა, ძირითადად, მოკლებულია ყოველგვარ ზედმეტ დეტალს, თავისი ამოღებული მასშტაბურობით იგი გამოირჩევა მთელ განაშენიანებაში, მაგრამ „ჩაეკტილი“ კი არ არის, არამედ ორგანულადაა შერწყმული საერთო განაშენიანებასთან.

ამ მხრივ, განსაკუთრებით ლოკუტრიის პროპილექტების მოცემა, რომელიც წარმოადგენს საერთო კომპოზიციის ღერძს და თავისი გახსნილი, საზეიმო სახით „აკავშირებს“ შენობის არქიტექტურას ქუჩის დინებასთან და ქალაქის ცხოვრებასთან.

ამდენად, საქართველოს სსრ მთავრობის სახლში, ავტორებმა ამოცანა საბჭოთა არქიტექტურაში უკვე შემუშავებულ ტრადიციებზე დაყრდნობით გადაწყვიტეს, მაგრამ მათ შექმნეს სრულიად ორიგინალური სახე მთავრობის სახლისა. მთავრობის სახლის თემის ახლებური გახსნა, საქართველოს სსრ მთავრობის სახლს საბჭოთა არქიტექტურის ისტორიაში, მეტად საინტერესო არქიტექტურულ ნაწარმოებად აგლენს.



საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მშენებლობა, როგორც დავიანახეთ, მკიდროდ არის დაკავშირებული ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორიის მთელ მსვლელობასთან. მისი მშენებლობა, რომელიც ორი რიგისაგან შედგებოდა, წარმოადგენს ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორიის ორ მეტად მნიშვნელოვან პერიოდის ნიშნულს: მშენებლობის პირველი რიგი დაემთხვა საბჭოთა არქიტექტურის ისტორიაში გარდამტეხ პერიოდს, როდესაც საბჭოთა ხუროთმოძღვრება მტკიცედ შედგა სოციალისტურ რეალიზმის გზაზე და ვითარდებოდა სხვადასხვა ანტირეალისტურ, ფორმალისტურ მიმდინარეობებთან გადამწყვეტი ბრძოლისა და მათი განადგურების გზით. ამიტომ, შენობის არქიტექტურა ატარებს იმ წინააღმდეგობათა კვალს რომელთა დაძლევაც ქმნიდა ნამდვილ საბჭოთა რეალისტურ არქიტექტურას. მშენებლობის მეორე რიგი კი, მეტყველებს იმ შექმედებით მიღწევებზე, რომლებსაც საბჭოთა არქიტექტურამ ომის შემდგომ პერიოდში მიაღწია — შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული არქიტექტურის შექმნის გზაზე.

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის ზედა და წინა კორპუსების არქიტექტურა ქართული არქიტექტურის ზრდისა და განვითარების ნათელი მაგალითია. იმ მოწინავე იდეებმა, რაც ძველ კორპუსში მხოლოდ ჩანასახის სახითაა, ახალ კორპუსში ფართო გასაქანი მიიღო.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის სახლის ზედა კორპუსის არქიტექტურა თუ სცილდება აშკარად კონსტრუქციულ ნაგებობებს, როგორც იყო მაგალითად, კავშირგაბმულობის სახლი (არქ. სოლომონოვი, 1932), ვერ აღის მისი თანადროულ ქართული არქიტექტურის მოწინავე ნაწარმოებთა სიმაღლეზე. ასეთებია, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობა, „დინამოს“ სტადიონი თბილისში და საქართველოს პავილიონი სსსოფლო სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში. მეორე და მესამე ხუთწლედების პერიოდისათვის ქართული საბჭოთა არქიტექტურის მიღწევები, სწორედ ამ ძეგლებში იქნა ყველაზე სრულყოფილად გამოხატული. მაგრამ მთავრობის სახლის ზედა კორპუსის მნიშვნელობა ის არის, რომ იგი ერთგვრთ მაგალითს წარმოადგენს, რომელზედაც ჩანს საბჭოთა არქიტექტურის ჩამოყალიბების პროცესი. მან გვიჩვენა, რომ არავითარ ფორმალისტურ მიმდინარეობას არ ძალუძს დააკმაყოფილოს ხალხის ესთეტიკური მოთხოვნებიანი, რომ სქემატიზმი, ეკლექტიზმი და სხვა ამგვარი მიმართულებანი მტრულია საბჭოთა არქიტექტურის წინაშე მდგომ ამოცანებისათვის. რომ ცალკეულ არქიტექტურულ ელემენტთა და ფორმათა დახვეწილობა არ იყო საკმარისი თანამედროვე, საღი შემოქმედებისათვის.

ამასთან ერთად, მთავრობის სახლის ზედა კორპუსის იდეურ-მხატვრულ გადაწყვეტაში ჩანდა ამოცანისადმი სწორი მიდგომა, პროგრესული მომენტები, ეს იყო



მთავრობის სახლის მნიშვნელობის განსაზღვრა ქალაქის არქიტექტურულ სახეში; შენობის კომპაქტური დაგეგმარება; მთავრობის სახლის გახსნილი სახე, პროპორციების გამკვირვებული ღერძის მოცემა, როგორც ილუზორ-მხატვრული მახვილი შენობის კომპოზიციისა; გეგმის სადავო და რაციონალურად გადაწყვეტა. შენობის არქიტექტურულ სახეში არის შემოქმედრობის შემოქმედებითად ათვისების ტენდენციები, ახალ კონსტრუქციითა და სამშენებლო მასალების თანაბი გამოყენება და სხვა.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორიაში, პირველი პერიოდის (1932—1941) პირველ წლებში, სოციალისტური რეალიზმისათვის ბრძოლის თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მთავრობის სახლის დაპროექტების კონკურსს, რომელიც სკოლას წარმოადგენდა საქართველოს არქიტექტურათათვის. კონკურსის მასალების განხილვამ დაგვანახა შემოქმედებითი ძიების, რეალისტური არქიტექტურისათვის ბრძოლის წინააღმდეგობით სახეს რთული პროცესი. კონკურსზე ჩანს, რომ ფორმალისტურ თუ ვალენტუტურ გამოვლენათა დაძლევა, ცალკეულ არქიტექტორებში, დამატულ შემოქმედებით მუშაობას მოითხოვდა. კონკურსის მასალებზე ჩანს სოციალისტური შინაარსისათვის შესაფერვროვნული ფორმის ძიების რთული გზა.

ის მოკლე ისტორიული მანძილი, რაც ძველი კორპუსის მშენებლობას ახალთან ყოფს, გარკვეულ შემოქმედებითი წარმატებით ხასიათდება ქართულ საბჭოთა არქიტექტურაში. საგრძნობლად გაიზარდა არქიტექტურათა პროფესიული ოსტატობა. წყდება მნიშვნელოვანი ქალაქთმშენებლობითი ამოცანები. მემკვიდრეობის გამოყენება ახალ ეტაპზე ავიდა. არქიტექტორები ცდილობენ ცალკეულ პოტივთა გამოყენებით კი არა, არამედ მთლიანი არქიტექტურულ-გაზრებით შექმნან შენობა, რომელიც იქნე-

ბა სოციალისტური სინამდვილის შესაფერვროვნული ნაწარმოები.

მაგრამ, ომის შემდგომ პერიოდში, სწრაფი მოძღვრებაში თავი იჩინა სერიოზულმა ნაკლოვანებებმა. საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივ ნაგებობათა დაპროექტების დროს, არქიტექტურათა ნაწილი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მშენებლობის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა ეკონომიკრობა, შემობათა ფუნქციური გადაწყვეტა და მშრომელთათვის საუკეთესო სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა. ამდროინდელი არქიტექტურის ერთგვარი დამახასიათებელი თვისებათაგანია (თუმცა არა განსაზღვრული) არქიტექტურული დეკორითა და მორთულობით თავშეუკავებელი, თვითმზნური გატაცება. არქიტექტორები დასაძვებს სრულყოფილ უსაფუძვლოდ რთვენ და ტვირთვენ ზედმეტი სამუშაოთა და ამას ამართლებენ იმით, რომ თითქოს ეს საკირო იყოს ეროვნული ფორმის შესაქმნელად. სინამდვილეში ამას არავითარი კავშირი არა აქვს ეროვნულ მემკვიდრეობის ათვისებასთან.

